საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№14 (626)
20 - 26 აპრილი, 2022
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

# ომი გნებავთ? ინებეთ!




**რასაც ამჟამად აშშ სჩადის, მესამე მსოფლიო ომის აშკარა და ცინიკური პროვოცირებაა, რომელმაც შეიძლება დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას წერტილი დაუსვას** 6-7



3 **დასავლეთი რუსეთთან უკანასკნელ უკრაინელამდე იბრძოლებს**



5 **ვერაფერი ძმობაა უკრაინის ხელისუფლების აშკარა მცდელობა, საქართველო ნებისმიერ ფასად ჩაითრიოს ძმათამკვლელ ომში!**




**დასავლეთმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას სრულად აკონტროლებს** 2



რევაზ კილასონია:

**ის კითხვარი ხუთიანზეც რომ შევავსოთ, მაინც არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი** 4

გიორგი გოგოლაშვილი:



8 **ხომ არ სჯობს, ისევ სვანური და მეგრული ენების შესწავლის, მოვლისა და პატრონობის პროგრამები შევადგინოთ და იქვე გამოიკვეთოს სკოლაში სწავლების აუცილებლობაც და საჭიროებებიც**



**მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაცია გეოპოლიტიკურ ბლოკებად** 24



18-19 **ჩაშლილი მაშველობა**



**ქრისტე აღდგა!** 20-21 **ჭეშმარიტად აღდგა!**

დასავლეთის ნაქიები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო კონკრეტულ მხარეს დადგა და უკვე საკუთარს კი არა, უკრაინის ინტერესებს იცავს. სტეფანჩუკმა ისიც თქვა, ქართველ კოლეგებს მოვუწოდეთ, რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს შეუერთდნენო. ეს დამატებით იმას ნიშნავს, რომ სანქციებზე შეერთების შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკა ზუსტად ერთ კვირაში ფიზიკურად აღარ იარსებებს და ეს იცის ევროპამაც, ამერიკამაც, უკრაინამაც და... საქართველომაც. ამის მიუხედავად, ქართულ დელეგაციას იმდენად ხისტი განცხადებების გაკეთება მოუწია, რომ ნაციონალებმაც კი ტაში დაუკრეს.**

# დასავლეთმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას სრულად აკონტროლებს

## სტეფანჩუკის ჭკუის დარიგებაღა გვაკლდა და ახლა ესეც გვაქვს

**გასული კვირის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც უკრაინის რადას სპიკერმა რუსლან სტეფანჩუკმა ქართველი კოლეგა შალვა პაპუაშვილი უკრაინაში მიიწვია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ახსნა-განმარტების მთელი დასტა წაგვიკითხა, რატომ არ აპირებდა წასვლას. ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ უკრაინა წლების განმავლობაში მაღალ თანამდებობებზე ამუშავებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გასამართლებულ პირებს და უფრო მეტიც, უკვე დაპატიმრებულ, საქართველოში უკანონოდ შემოსული უკრაინის მოქალაქის, მიხეილ სააკაშვილის, გათავისუფლებასა და გადაცემას მოითხოვდა. ჰოდა, პაპუაშვილმა გარკვევით თქვა: სანამ ზურაბ ადეიშვილი და გია ლორთქიფანიძე მანდ თანამდებობებზე გყავთ, არსადაც არ ჩამოვალთო, და ეს ყველაფერი შემდეგ უკვე მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ დაადასტურა. კობახიძემ თქვა: „საქართველოს დელეგაცია უკრაინაში რომ წავიდეს, აუცილებელია რამდენიმე პირობის შესრულება, მათ შორის, ადეიშვილისა და ლორთქიფანიძის არა მხოლოდ თანამდებობებიდან გათავისუფლება, არამედ საქართველოსთვის გადმოცემა. ასევე აუცილებელია მასალების მოწოდება იმ განცხადებაზე, რომელიც საქართველოში რუსეთის კონტრაბანდული ტვირთების გატარებას ეხებოდა...“**

გულახდილად რომ გითხრათ, **ირაკლი კობახიძის** განცხადების შემდეგ დარწმუნებული ვიყავით, რომ უკრაინა ქართულ მხარეს უხეშად უპასუხებდა, რა თქმა უნდა, არც არავის გაათავისუფლებდა და არც მასალებს მიაწვდიდა, ანუ კობახიძე-პაპუაშვილის ხმა დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა,“ მაგრამ...

კობახიძის განცხადებიდან ორი დღის შემდეგ საქმეში დასავლეთი ჩაერთო, ჰო, დასავლეთი, და ჩაერთო კულუარულად, რადგან საჯარო განცხადება არავის გაუკეთებია. ისე გამოჩნდა, რომ **კობახიძეცა** და **პაპუაშვილიც** დასავლელმა პარტნიორებმა (პარტნიორებს რატომ უწოდებენ, დღემდე ვერ ვხვდები, მაგრამ რადგანაც ასე მოიხსენიებენ, ჩვენც ავყვეთ) გვარიანად **მიჯირყვნეს** (ამ სიტყვის მშობელი სად დაიკარგა ნეტავ?) და ყველასთვის მოულოდნელად, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა პოზიცია არათუ შეცვალეს, არამედ იმის განხილვას შეუდგნენ, ვინ და როგორ უნდა წასულიყო უკრაინაში და, რაც მთავარია, უნდა წასულიყო ისე, რომ უკრაინელებს არათუ მოსწონებოდათ, არამედ სიხარულით ტაშიც დაეკრათ. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ გადაწყვეტილებას „ნაციონალური მოძრაობა“ სათავისოდ გამოიყენებდა და ასეც მოხდა. ისინი უკრაინაში ცალკე გაემგზავრნენ და, რაც მთავარია, **გიორგი მარგველაშვილიც** იახლეს, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი, რომელმაც, პრაქტიკულად, დაადასტურა, რომ ნაციონალებთან ერთად საერთაშორისო ვიზიტებში მონაწილეობის გამო არანაირ დისკომფორტს არ განიცდის. ჰო, იმ ნაციონალებთან, რომლებიც თითქოს ქვეყნის მტრებად ჰყავდა გამოცხადებული, მაგრამ ბევრი ასეთი პოლიტიკოსი გამოჩნდა, თითქოს რომ არ იყო ნაციონალების მხარეს და საბოლოოდ მათ ნავში მთავარი მენიჩბე გახდა.

ისევ ვიზიტს დავუბრუნდეთ. **თუ ხელისუფლების წარმომადგენლები მანამდე მოზომილები იყვნენ და ხმამაღლა ამბობდნენ, — ჩვენ მხოლოდ საქართველოს ინტერესებით ვხელმძღვანელობთო, უკრაინაში უკვე სხვანაირად აჭიკჭიკდნენ და გარდა იმისა, რომ მოწოდებები გააკეთეს ომის შეწყვეტაზე, რუსეთის ბოსტანში კენჭები კი არა, მოზრდილი ქვები ისროლეს; იმ რუსეთის, რომელზეც ჩვენი ეკონომიკაა ჩამოკიდებული და რომლის გამოც მანამდე თავშეკავებულნი იყვნენ.** კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც შესაძლოა, ყურადღება ბევრმა არ მიაქცია — ქალაქში სიარულის დროს, ქართული დელეგაციის უკლებლივ ყველა წევრს და მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარესაც, უსაფრთხოების მიზნით ჯავშანჟილეტი ეკეთა. სამაგიეროდ, ჯავშანჟილეტის გარეშე იყო პაპუაშვილის უკრაინელი კოლეგა. რა გამოდის? პაპუაშვილს საფრთხე ემუქრებოდა უკრაინაში და უკრაინის რადას თავმჯდომარეს არა? **ხომ არ იყო ეს იმის მოლოდინი, რომ შეიძლებოდა რაიმე პროვოკაცია მომხდარიყო?! ჰო, პროვოკაცია, გასროლა ქართული დელეგაციის რომელიმე წევრის მისამართით, რომელიც ავტომატურად გამოიწვევდა კონფლიქტში საქართველოს ჩართვას და ყბადაღებული მეორე ფრონტის გახსნას. აკი უკრაინელები პირდაპირ გვეუბნებიან, მეორე ფრონტი გახსენითო და ვინც იტყვის, რომ უკრაინა ამ პროვოკაციას არ იკადრებდა, შევახსენებთ — სააკაშვილი, ადეიშვილი და ლორთქიფანიძე პროვოკაციაც არიან და მეტიც.**

„საქართველო რუსეთს არანაირად არ დაეხმარება. ეს დასკვნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მას შემდეგ გააკეთა, რაც საკუთარი თვალით იხილა ბუჩა და ირპინი. აქ რუსული ჯარის ნამდვილი სახე ისე ჩანს, თითქოს მას სარკეში უყურებდე“, — ეს **სტეფანჩუკმა** მაშინ განაცხადა, როცა ქართულ დელეგაციასთან ერთად ბუჩას და ირპინის დათვალიერება დაასრულა.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველო რუსეთს ისედაც არ ეხმარებოდა, რადგან ამის შესაძლებლობა და რესურსი, უბრალოდ, არ გვაქვს. ეს კარგად მოეხსენება სტეფანჩუკსაც, მაგრამ ამ განცხადებით მან ხაზი გაუსვა, გზავნილი გააკეთა, რომ **საქართველო კონკრეტულ მხარეს დადგა და უკვე საკუთარს კი არა, უკრაინის ინტერესებს იცავს. სტეფანჩუკმა ისიც თქვა, ქართველ კოლეგებს მოვუწოდეთ, რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს შეუერთდნენო. ეს დამატებით იმას ნიშნავს, რომ სანქციებზე შეერთების შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკა ზუსტად ერთ კვირაში ფიზიკურად აღარ იარსებებს და ეს იცის ევროპამაც, ამერიკამაც, უკრაინამაც და... საქართველომაც. ამის მიუხედავად, ქართულ დელეგაციას იმდენად ხისტი განცხადებების გაკეთება მოუწია, რომ ნაციონალებმაც კი ტაში დაუკრეს,** აქაოდა, ადგილზე რომ ნახეს, რაც ხდება, გონს მოეგნენ და სწორი მიმართულებით დაიწყეს აზროვნებაო. რეალურად კი, ეს არის ის, რასაც ითხოვდა ევროპა და ამერიკა და რაზეც საქართველო ჯიუტად, მაგრამ მართებულად იკავებდა თავს.

კარგად რომ გავიაზროთ, რა მოხდა, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ **დასავლეთმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას სრულად აკონტროლებს. სხვას რას უნდა მივაწეროთ ის, რომ უმაღლესმა სახელისუფლო პირებმა განცხადება გააკეთეს: თუ უკრაინა ჩვენს მოთხოვნებს (კანონიერ და სამართლიან მოთხოვნებს) არ შეასრულებს, არ წავალთო, მაგრამ თავიანთი გადაფურთხებული ორ დღეში ალოკეს.** ჰო, სწორედ რომ ალოკეს, რადგან პოზიცია პრინციპული და მნიშვნელოვანი იყო, ამ განცხადებით „ქართული ოცნების“ ლიდერებმა ხელთათმანი არამარტო უკრაინას, არამედ დასავლეთსაც ესროლეს, აქაოდა, აღარ ვაპირებთ თმენას და სასაცილო მდგომარეობაში ყოფნასო, მაგრამ **„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“ არ გამოვიდა, დასავლეთმა 48 საათში ყველაფერი სათავისოდ დაატრიალა და ჩვენი მთავრობის ლიდერები კიდევ ერთხელ დაამცირა.** დიახ, დაამცირა, რადგან... ძალიან მარტივად, უკრაინაში ჩასულ ქართულ დელეგაციას, ერთ-ერთ ოფიციალურ პირად ზურაბ ადეიშვილი რომ დახვედროდა, რა მოხდებოდა? მე თქვენ გეტყვით და, გააპროტესტებდნენ და უკან გამობრუნდებოდნენ... **იმასაც ვერ მიხვდა ჩვენი დელეგაცია, რომ მოთხოვნების უკან წაღების შემდეგ ადეიშვილისა და ლორთქიფანიძის მუშაობაც „გააპრავა“ და, რაც მთავარია, უკრაინამ გაწვეული ელჩიც არ დააბრუნა, ანუ ჩვენთან კვლავ გაწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობა და... სააკაშვილის გასათავისუფლებლადაც დასავლეთმა ნიადაგი შეამზადა. რამდენიმე კვირაში ან თვეში ევროპამ და ამერიკამ საქართველოს რომ მოსთხოვონ, ეგ უკრაინის მოქალაქე გაათავისუფლეთო, ვინმეს აქვს იმის უნარი, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს? და თუ აქვს, სად იყო ეს უნარიანი ადამიანი, როცა ხელების გადაგრეხით გვაიძულეს, არა მხოლოდ საკუთარი, ვიმეორებთ, სამართლიანი მოთხოვნების უკან წაღება, არამედ უკრაინაში რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებების კეთება?** ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ვერც სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას გააპროტესტებს ამჟამინდელი ხელისუფლება ისე, როგორც საჭიროა და...




**თუ ხელისუფლების წარმომადგენლები მანამდე მოზომილები იყვნენ და ხმამაღლა ამბობდნენ, — ჩვენ მხოლოდ საქართველოს ინტერესებით ვხელმძღვანელობთო, უკრაინაში უკვე სხვანაირად აჭიკჭიკდნენ და გარდა იმისა, რომ მოწოდებები გააკეთეს ომის შეწყვეტაზე, რუსეთის ბოსტანში კენჭები კი არა, მოზრდილი ქვები ისროლეს; იმ რუსეთის, რომელზეც ჩვენი ეკონომიკაა ჩამოკიდებული და რომლის გამოც მანამდე თავშეკავებული იყვნენ**

სტეფანჩუკმა ქართულ დელეგაციას ერთი ალიყური უკრაინაშიც უთავაზა, როცა ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებსა და პარლამენტში მყოფ ყველა ოპოზიციური პარტიის წევრებს („ნაციონალური მოძრაობის“ გარდა) შეხვდა, მოიცალა და უკრაინაში არაოფიციალურად წასული „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც ინახულა. არის თუ არა ეს მმართველი გუნდის შეურაცხყოფა? რა თქმა უნდა, არის, მაგრამ არავინ იმჩნევს, რადგან იქ ვიზიტი უკვე შეურაცხყოფა იყო და არც ეს შეიმჩნიეს.

რა თქმა უნდა, არ ვართ წინააღმდეგი, რომ საქართველოს ურთიერთობა ჰქონდეს ამა თუ იმ ქვეყანასთან. პირიქით, ურთიერთობა უნდა გვქონდეს ყველასთან, ყველას უნდა ვესაუბროთ, მაგრამ უნდა ვესაუბროთ, როგორც თანასწორები და არა როგორც ვიღაცის ხელქვეითები. ახლა კი სწორედ ასე გამოვიყურებით — უკრაინას აქვს ყველაფრის უფლება, ჩვენ — არაფრის. უკრაინაში თანამდებობებზე მუშაობენ ქართველი კრიმინალები (გასამართლებულ და სასჯელმისჯილ ადამიანს კრიმინალი ჰქვია), ჩვენი ქვეყნიდან კი ელჩიც გაიწვიეს. აი, **სტეფანჩუკის ჭკუის დარიგებაღა გვაკლდა და ახლა ესეც გვაქვს, დღის წესრიგი და სამოქმედო გეგმა მოგვიხაზა, როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რა უნდა გავაკეთოთ, როგორ უნდა დავუპირისპირდეთ რუსეთს... და ეს ყველაფერი უკრაინის ინტერესების დასაცავად, თორემ საქართველოს ინტერესები რომ არ აინტერესებთ, არაერთხელ გამოჩნდა და მომავალშიც გამოჩნდება.**

**ბესო ბარბაქაძე**

დღეს ვაშინგტონის ოფიციალური პირები უკრაინის ხელისუფლებას უბიძგებენ, უარი თქვას კომპრომისებზე მშვიდობისთვის და უპირატესობას ანიჭებენ ღვთისმოსავ საუბრებს პრინციპებზე, რომელთა გამოც უკრაინელები უნდა დაიხოცონ.

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლეთი რუსეთთან უკანასკნელ უკრაინელამდე იბრძოლებს

## დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ უკრაინამ ბრძოლა განაგრძოს და ოდესმე შეძლოს გამარჯვება, მაგრამ ამ პირობებში კიევი გამარჯვებას ვერ მიაღწევს

**„რუსეთი განაგრძობს უკრაინის დენაციფიკაციის სპეციალურ სამხედრო ოპერაციას და აშშ ევროკავშირთან ერთად კვლავ მხარს უჭერს კიევს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ომი შეწყდეს და ზავი დაიდოს, არამედ პირიქით — დასავლეთის ქვეყნები მზად არიან, მხარი დაუჭირონ უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის გუნდს მანამ, სანამ ის უკანასკნელ უკრაინელამდე იბრძოლებს რუსეთის წინააღმდეგ — და ეს ყოველთვის იყო დასავლეთის მიდგომის არსი კიევის მიმართ“, — წერს დაგ ბენდოუ გამოცემა American Conservative-ში.**



დასავლეთში უკრაინა ცხელ თემად იქცა: ადამიანები, რომლებიც საერთაშორისო საკითხებს, პრაქტიკულად, ყურადღებას არ აქცევდნენ, ახლა უპირობო მხარდაჭერას გამოხატავენ ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ. ეგზალტირებული ადამიანები, ისევე, როგორც ჩინეთში კულტურული რევოლუციის პერიოდში, მოითხოვენ, რომ რუსმა სპორტსმენებმა, მომღერლებმა, დირიჟორებმა და სხვა საჯარო პირებმა გააკეთონ განცხადებები, რომლებშიც საკუთარ თავს დაიმცირებენ და დაგმობენ **ვლადიმერ პუტინს.**

აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, უზარმაზარი არსენალი მიაწოდონ კიევს, აგრეთვე, უმკაცრესი სანქციები დაუწესეს მოსკოვს. ეს ყველაფერი ემსახურება ერთადერთ მიზანს: უკრაინამ განაგრძოს ბრძოლა. ვაშინგტონსა და ევროპული ქვეყნების დედაქალაქებში განაცხადეს, რომ არ აპირებენ ამ კონფლიქტში ჩართვას, უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას — კი, მასთან ერთად ბრძოლას — არა.

განსაცვიფრებელია ის, რომ ოფიციალური კიევის პარტნიორებს არ სურთ სამშვიდობო პროცესის დაწყება, არადა, ეს სჭირდება ყველაზე მეტად უკრაინის მოსახლეობას. მიმომხილველ ტედ სნაიდერის თქმით, „ყველაზე საზიზღარი ნაბიჯი, თუ არ ჩავთვლით ომის დაწყებას, არის ამ კონფლიქტის გაჭიანურება“. ამის მიუხედავად, ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ „აშშ ბლოკავს უკრაინაში კრიზისის მოგვარებას დიპლომატიური გზით“.

რა თქმა უნდა, **უკრაინისთვის საუკეთესო შედეგი იქნება რუსეთის ჯარზე სრული გამარჯვება, მაგრამ ეს შეუძლებელია. „მოსკოვი აკონტროლებს ტერიტორიის დიდ ნაწილს უკრაინის აღმოსავლეთში და განზრახული აქვს, მეტ წარმატებას მიაღწიოს. უფრო მეტიც — რუსეთს უპირატესობა აქვს შეიარაღების მხრივ, რომელიც მას ჯერჯერობით სრულად არ გამოუყენებია და, რაც უფრო გაჭიანურდება საბრძოლო მოქმედებები, — აღნიშნავს ბენდოუ, — მით მეტი ზარალი მიადგება ქვეყანას“.**

როგორ, რა გარემოებებში უნდა შეწყდეს საბრძოლო მოქმედებები, „უკრაინელების“ გადასაწყვეტია. ამის მიუხედავად, აშშ-მა და ევროკავშირის წევრებმა იმ ზომით უნდა დაუჭირონ მხარი სამშვიდობო პროცესს, რომლითაც მხარს უჭერენ კიევისთვის იარაღის მიწოდებას. აშშ-ის მოკავშირეები დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ, რომ უკრაინაში უფრო მნიშვნელოვანი დასავლეთის დომინირებაა და არა მშვიდობა რუსეთთან. ასე მიიჩნევდნენ მაშინაც კი, როცა 2014 წლის საომარი შეჯახების შემდეგ დაზავების შესაძლებლობა გაჩნდა. სნაიდერის თქმით, **ვაშინგტონმა მხარი არ დაუჭირა ზელენსკის უკრაინის კონფლიქტის დიპლომატიური გზებით მოგვარებაში, შემდეგ კი ვერ შეძლო, აეძულებინა ის, მინსკის შეთანხმება შეესრულებინა.**

დღეს ვაშინგტონის ოფიციალური პირები უკრაინის ხელისუფლებას უბიძგებენ, უარი თქვას კომპრომისებზე მშვიდობისთვის და უპირატესობას ანიჭებენ ღვთისმოსავ საუბრებს პრინციპებზე, რომელთა გამოც უკრაინელები უნდა დაიხოცონ. მაგალითად, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა **ნედ პრაისმა** აღიარა, რომ კიევს აქვს სუვერენული უფლება, განსაზღვროს თავისი საგარეო პოლიტიკა, მაგრამ, როგორც ჩანს, დაარწმუნა ზელენსკი, უარი ეთქვა ნატოში შესვლის უფლებაზე. **აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთში არავინ ლაპარაკობს, რა იქნება საჭირო სანქციების გასაუქმებლად. ზოგიერთი ანალიტიკოსის თქმით, აკრძალვები საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგაც შეიძლება შენარჩუნდეს. შესაძლოა, ეს კეთდება რუსეთში ხელისუფლების შესაცვლელად ან ამ ქვეყნისგან „რეპარაციის“ მისაღებად, მათ შორის დასავლეთში გაყინული რუსული რეზერვების ხარჯზე.**

**ოფიციალური კიევის პარტნიორებს არ სურთ სამშვიდობო პროცესის დაწყება. არადა, ეს სჭირდება ყველაზე მეტად უკრაინის მოსახლეობას. მიმომხილველ ტედ სნაიდერის თქმით, «ყველაზე საზიზღარი ნაბიჯი, თუ არ ჩავთვლით ომის დაწყებას, არის ამ კონფლიქტის გაჭიანურება». ამის მიუხედავად, ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ «აშშ ბლოკავს უკრაინაში კრიზისის მოგვარებას დიპლომატიური გზით»**

ასეთი სტრატეგია შეიძლება მომხიბვლელად ჩანს თეორიაში, მაგრამ პრაქტიკაში მისი განხორციელება ძალიან საეჭვოა. არანაირი საფუძველი არ არსებობს, ვიფიქროთ, რომ რუსეთში ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება, რეზერვების უკანონო გაყინვა კი გამოიწვევს იმას, რომ სხვა ქვეყნები დაიწყებენ თავიანთი რესურსების გატანას დასავლეთის კონტროლიდან.

ბენდოუს აზრით, ყველაზე ცუდია ის, რომ **ასეთი მიდგომა მოსკოვს უბიძგებს, განაგრძოს სამხედრო ოპერაცია გამარჯვებამდე. უკრაინას, რა თქმა უნდა, სურს გამარჯვება, მაგრამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი დასავლელი პარტნიორები ამას ვერ უზრუნველყოფენ. პირიქით, დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ უკრაინამ ბრძოლა განაგრძოს და ოდესმე შეძლოს გამარჯვების მოპოვება, მაგრამ არსებულ პირობებში კიევი გამარჯვებას ვერასოდეს მიაღწევს.**

ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია კიევისგან არ მოითხოვს, იმ შემთხვევაშიც იომოს, თუკი მშვიდობა შესაძლებელი იქნება, მაგრამ ამის თქმა ზოგიერთ ამერიკელ ანალიტიკოსსა და მიმომხილველზე არ შეიძლება. „უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს“, — განაცხადა ჟურნალისტმა **ენ ეპლბაუმმა**, აშშ-ის შეიარაღებული ძალების გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტ **ბენ ჰოჯესის** თქმით კი, **„აშშ-ის ადმინისტრაციამ და ნატომ უნდა ილაპარაკონ იმაზე, როგორ დაეხმარონ უკრაინას, გაიმარჯვოს, და არა იმაზე, როგორ აიცილოს თავიდან დამარცხება და გამარჯვების საშუალება არ მისცეს რუსეთს“.**

ამ მხრივ, საჩვენებელში იყო გამოცემა The Economist-ის პასაჟი, რომ უკრაინის გამარჯვება „დასავლეთისთვის პრიზი იქნება“, და „მთელ მსოფლიოს მოუტანდა სარგებელს“. საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორმა და ჟურნალისტმა **დევიდ როტკოპფმა** კი დასვა კითხვა — **რატომ უნდა შევუწყოთ ხელი მშვიდობას?**

არსებობს საფრთხე, რომ **უკრაინის კრიზისი ყველასთვის სასარგებლო იქნება, უკრაინელი ხალხის გარდა.**

უკრაინელ ხალხს სურს, დასრულდეს ეს კონფლიქტი და დასრულდეს სტაბილური რეგულირებისა და შეთანხმების ჩარჩოებში, რომლებიც მოაგვარებს ამჟამინდელი კრიზისის გამომწვევ ყველა პრობლემას, მათ შორის გაითვალისწინებს რუსეთის შეშფოთებას.

დასავლეთი კი უაზროდ და არაგონივრულად უგულებელყოფდა როგორც რუსეთის ინტერესებს, ისე მისგან გამომდინარე საფრთხეებს, რის გამოც ახლა უკრაინელი ხალხი ზარალდება. სისულელე იქნება, მშვიდობის დამყარებას ცდილობდე და განაგრძობდე ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც დროთა განმავლობაში ახალი სამხედრო ოპერაციის საბაბი იქნება.

მოწინააღმდეგის ეკონომიურად დათრგუნვის მცდელობებმა და სადამსჯელო ზომების დაწესებამ კარგი ვერაფერი მოიტანა. ასეთივე იქნება აშშ-ისა და ევროკავშირის ამჟამინდელი სტრატეგიაც. ისინი რუსეთს გიგანტურ ჩრდილოეთ კორეად განიხილავენ, ოღონდ გაცილებით დიდი რაოდენობის ბირთვული იარაღითა და წვდომით აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიების დიდი ნაწილის მიმართ, მით უმეტეს, რომ საეჭვოა, აშშ-მა და ევროკავშირმა მომავალშიც ისე დაიცვან უკრაინა, როგორც დღეს იცავენ.

უკრაინელებმა რუსეთთან დაპირისპირებაში ფსონზე ყველაფერი უნდა დადონ? — ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ უკრაინელებმა უნდა გასცენ.

**„რუსეთის ხელისუფლებას, — მიიჩნევს ბენდოუ — ეკისრება პასუხისმგებლობა უკრაინის კრიზისზე, მაგრამ პასუხისმგებლობის ნაწილი აშშ-ისა და ევროკავშირის მხრებზეცაა. ისინი, ქედმაღლობითა და თვითკმაყოფილებით სავსენი, მზად იყვნენ, არად ჩაეგდოთ მოსკოვის ინტერესები. აი ამის გამო იხდის დღეს მსოფლიო მაღალ ფასს.**

დასავლეთმა აღარ უნდა დაუშვას მსგავსი შეცდომა, როცა ამჟამინდელი კრიზისი დასასრულს მიუახლოვდება. დაე, იფანტაზიოროს, როგორ აღმოჩნდება რუსეთის ხელისუფლება განსასჯელის სკამზე; დაე, აღფრთოვანებით ილაპარაკოს იმაზე, რისი გაკეთებაც სურს მშვიდობისთვის, თუ რუსეთში ავტოკრატიას დაამარცხებს; შემდეგ კი უკრაინასთან ერთად მიიღოს ზომები ამ კონფლიქტის დასასრულებლად და მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად, რომელსაც ითხოვენ უკრაინის, რუსეთისა და ევროპის ხალხები.

**რუსეთის ხელისუფლებას, — მიიჩნევს ბენდოუ, — ეკისრება პასუხისმგებლობა უკრაინის კრიზისზე, მაგრამ პასუხისმგებლობის ნაწილი აშშ-ისა და ევროკავშირის მხრებზეცაა. ისინი, ქედმაღლობითა და თვითკმაყოფილებით სავსენი, მზად იყვნენ, არად ჩაეგდოთ მოსკოვის ინტერესები. აი ამის გამო იხდის დღეს მსოფლიო მაღალ ფასს**

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

## ჩაკუჩი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც დასავლეთის მიმართ ჩამოგვიყალიბდა ბოლო წლების განმავლობაში, შეიძლება ითქვას: ის კითხვარი ხუთიანზეც რომ შევავსოთ, მაინც არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი, რადგან სინამდვილეში ამ ორგანიზაციაში გასაწევრებლად არ არის აუცილებელი გარკვეული სახის სტანდარტების დაკმაყოფილება, ეს მთლიანად პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული“.**



**რევაზ კილასონია:**

# ის კითხვარი ხუთიანზეც რომ შევავსოთ, მაინც არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი

## «დასავლეთმა უნდა გაიგოს, რომ ყველას ერთ ქვაბში ვერ მოხარშავს. ის, რაც ნიდერლანდელისთვის მისაღებია, ქართველისთვის მიუღებელია და პირიქით»

**„2022 წლის 11 აპრილს ლუქსემბურგში საქართველოს გადასცეს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის თვითშეფასების კითხვარი, რომლის საფუძველზეც ევროკომისია მომამზადებს საკუთარი შეფასების ანგარიშს ქვეყნისათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. კითხვარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს ევროკომისარმა სამეზობლო და გაფართოებისა საკითხებში — ოლივერ ვარჰეიმ გადასცა.**



საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის თვითშეფასების კითხვარი გადასცეს

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთებით და დღეს უკვე გაწევრების კითხვარის გადმოცემით საქართველო გადადის თვისობრივად ახალ, გაცილებით ამბიციურ და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ეტაპზე ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში. ეს არის ლოგიკური და ევროკავშირის პროცედურით გათვალისწინებული ნაბიჯი, რომელიც მოიაზრებს ქვეყნის მზაობის შეფასებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კანონმდებლობის თავსებადობის მიმართულებით,“ — წერია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საკითხს, უნდა გასაჯაროებულიყო თუ არა ევროკავშირის ე.წ. კითხვარი, დიდი დავა-კამათი მოჰყვა. საბოლოოდ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კითხვარი გასაჯაროვდა...

**რა წერია კითხვარში, რა შეკითხვებზე უნდა გავცეთ პასუხი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს? რა ვალდებულებები დაგვეკისრება და, საერთოდ, რა შედეგს მოუტანს ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის შეკითხვებზე „სწორი“ პასუხების გაცემა? — ამ და სხვა, მნიშვნელოვან თემებზე პოლიტოლოგი რევაზ კილასონია გვესაუბრება.**

**— ევროკავშირმა საქართველოს კითხვარი გადასცა და ის შესავსებია... რას აძლევს ამ კითხვარის შევსება საქართველოს? რას მოგვიტანს — უახლოეს მომავალში ევროკავშირის წევრები გავხდებით?**

— რაც შეეხება ამ კლოუნადას, რომელსაც ევროკავშირთან თანამშრომლობა ჰქვია, უკვე ისეთი დროს აცდენილი და მოსახლეების თვალში გაცვეთილი თემაა, რომ ცოტა რთულია კომენტარის გაკეთება მორიგ ევროკავშირულ ფიქციაზე.

თუმცა, **დიდი ალბათობით, ამ ქმედებით დასავლეთი დროის მოგებას ცდილობს, რადგან, როგორც ვიცით, გეოპოლიტიკური ვითარება, გლობალური მასშტაბით, ძალიან გააქტიურებულია. ასეთ დროს პატარა ქვეყნებიც კი, ისეთი, როგორიც საქართველოა, შეიძლება ყურადღებისა და კონტროლის მიღმა დარჩნენ და ამით ისარგებლონ, სხვა გავლენიანმა ძალებმა და დაიწყოს ახალი პოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბება.**

შესაბამისად, **დასავლეთს, ასე ვთქვათ, აქვს შიში, რომ შეიძლება საქართველო გავიდეს მისი მფარველობიდან, მისი კონტროლიდან, ამიტომ მსგავსი სახის პოლიტიკური რევერანსებით ცდილობს, გავლენის შენარჩუნებას, თითქოსდა, ევროკავშირში გაწევრების იმედი ჯერ კიდევ უნდა გვქონდეს და, ამაზე საუბარი რომ დაიწყოს, აუცილებელია მათ მიერვე შედგენილი კითხვარის შევსება.**

იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც დასავლეთის მიმართ ჩამოგვიყალიბდა ბოლო წლების განმავლობაში, შეიძლება ითქვას: ის კითხვარი ხუთიანზეც რომ შევავსოთ, მაინც არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი, რადგან სინამდვილეში ამ ორგანიზაციაში გასაწევრებლად არ არის აუცილებელი გარკვეული სახის სტანდარტების დაკმაყოფილება, ეს მთლიანად პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

1990-იანი წლების ბოლოს, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გაწევრდნენ ამ ორგანიზაციაში, არა მგონია, მათ დაეკმაყოფილებინოთ ის კრიტერიუმები, რომლებსაც ევროკავშირი ითხოვს, განსაკუთ-

**«1990-იანი წლების ბოლოს, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გაწევრდნენ ამ ორგანიზაციაში, არა მგონია, მათ დაეკმაყოფილებინოთ ის კრიტერიუმები, რომლებსაც ევროკავშირი ითხოვს, განსაკუთრებით ეკონომიკის, ე.წ. დემოკრატიულ პროცესებსა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მიმართ. უბრალოდ, მაშინ მათ ჰქონდათ პოლიტიკური ნება, რომ ეს ქვეყნები მიეღოთ თავიანთ რიგებში, საქართველოს მიმართ ეს ნება არ ჩანს. ეს პოლიტიკური თამაშის ნაწილია, ყოველგვარი რეალური საფუძვლების გარეშე»**

რებით ეკონომიკის, ე.წ. დემოკრატიულ პროცესებსა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მიმართ. უბრალოდ, მაშინ მათ ჰქონდათ პოლიტიკური ნება, რომ ეს ქვეყნები მიეღოთ თავიანთ რიგებში, ჩვენ მიმართ ეს ნება არ ჩანს. ეს პოლიტიკური თამაშის ნაწილია, ყოველგვარი რეალური საფუძვლების გარეშე.

**— რამდენიმე თვის წინათ რუსეთმა მეგობრული ქვეყნების სიაში შეგვიყვანა. შეიძლება, რუსეთის მეგობრებიც ვიყოთ და ევროკავშირისაც?**

— როგორც მახსოვს, რუსეთმა მეგობრული ქვეყნების სიაში კი არ შეგვიყვანა, არამედ მისდამი არამეგობრულად განწყობილი ქვეყნების სიიდან ამოგვიღო. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ პრაგმატული განცხადებები გაკეთდა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე; როცა საქართველომ უარი თქვა, შეერთებოდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ პოზიციის გამო რუსეთის მხრიდან არამეგობრული ქვეყნების სიიდან საქართველოს ამოღება იყო, ასე ვთქვათ, „კეთილი ჟესტი“, რომ „ჩვენ ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერს ვამჩნევთ“.

ორი ქვეყნის ურთიერთობაში იმ დაძაბულობის ფონზე, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს, ეს უდავოდ პოზიტიური მოვლენაა. **რაც შეეხება საკითხს, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ერთდროულად როგორც დასვლეთთან, ისე რუსეთთან მეგობრობა, მე ვიტყოდი, რომ კი. თუ, როგორც ქვეყანა, რეალური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისკენ მიილტვი, ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ დიდი გეოპოლიტიკური მიზიდულობის ცენტრებს შორის, სულ ცოტა, დაპირისპირების პოლიგონი არ გახდე. გარკვეული ინტერესების ლობირებით უნდა დააბალანსო ყველა მხარის ინტერესი.** ეს არის პოლიტიკა და ამისთვის გვყავს ჩვენ დიპლომატიური კორპუსი. თუმცა, **სამწუხაროა, რომ ბოლო წლების ჩვენი საგარეო პოლიტიკა, ფაქტობრივად, კაპიტულანტურია. საქართველო ატარებს მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებს ჩვენი სტრატეგიული ინტერესების ხარჯზე და ამას ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს.**

**— რა წერია ევროკავშირიდან გამოგზავნილ კითხვარში, რაზე გვთხოვენ პასუხის გაცემას? არის თუ არა მისაღები ჩვენთვის, ქართველებისთვის, ის, რასაც ევროკავშირი ჩვენგან ითხოვს. ამ შეკითხვას გისვამთ იმიტომ, რომ წავიკითხე თქვენი მოსაზრება სოციალურ ქსელში...**

— როგორც ცნობილია, გამოქვეყნდა კითხვარის მხოლოდ ნაწილი. თუმცა იმ ნაწილიდან, რომელიც გამოქვეყნდა, ერთ-ერთი ეხება ე.წ. უმცირესობების უფლებებს და მათ შორის, „რა მდგომარეობაა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიმართ“.

მინდა, მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო: **თუ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება იქნება ერთ-ერთი მოთხოვნა იმისთვის, რომ ჩვენ გავხდეთ ევროკავშირის წევრი, ამ ე.წ. კითხვარებსა და სხვა ე.წ. მოთხოვნებს არანაირი შემდგომი გაგრძელება არ ექნება, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, მას მოჰყვება სასტიკი წინააღმდეგობა საქართველოს მოსახლეობის მხრიდან. დასავლეთმა უნდა გაიგოს, რომ ყველას „ერთ ქვაბში ვერ მოხარშავს“. ის, რაც ნიდერლანდელისთვის მისაღებია, ქართველისთვის მიუღებელია და პირიქით.** თუ ისინი მართლა იცავენ დემოკრატიულ ღირებულებებს, მაშინ ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული ქვეყნის ისტორია, ამ შემთხვევაში, საქართველოს ისტორია, კულტურა და საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა შრე. თუ მათ არ ექნებათ საკითხისადმი ასეთი მიდგომა, ეს მოსახლეობის მხრიდან აღიქმება ფსიქოლოგიურ ზეწოლად, რაც აუცილებლად გამოიწვევს შესაბამის რეაქციებს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**უკრაინისთვის გაგზავნილი 400 ტონა ტვირთი ყოფილა მედიკამენტები და ის პროდუქტები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობისთვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელი და ულმერთოდ ძვირია. ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი კი არის ის, რომ, უკრაინის ფოსტის მონაცემებით, 400 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი ის მაჩვენებელია, რომლითაც საქართველო 191 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა. იმავე მონაცემებით, მეორე ადგილზე 80 ტონით რუმინეთია, ხოლო მესამე ადგილზე, სულ რაღაც 40 ტონით, არის ევროკავშირის ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა — ბელგია.**



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვერაფერი ძმობაა უკრაინის ხელისუფლების აშკარა მცდელობა, საქართველო ნებისმიერ ფასად ჩაითრიოს ძმათამკვლელ ომში!



**„საქართველოს მოსახლეობა შიმშილობს, ნაგვის ბუნკერებში იქექება და ამ ვითარებაში უმადურ უკრაინელებს ტონობით სურსათს რომ უგზავნის ჩვენი ხელისუფლება, შუბლის ძარღვი აქვთ გაწყვეტილი და ძარღვებში სისხლის მაგივრად შარდი უჩქეფთ?“ თუ გახსოვთ, საქართველოს ხელისუფლების გასაგონად ამ პასაჟით დავასრულე ჩემი წინა წერილი...**

ქართველები და უკრაინელები, იყო დრო, მართლაც იყვნენ მოძმე და მეგობარი ერები, მაგრამ ძმობა და მეგობრობა ორმხრივია, საქართველოსა და უკრაინის ბოლოდროინდელ ურთიერთობაში კი, რბილად რომ ვთქვათ, „ორმხრივობის“ დანახვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია — ვერაფერი ძმობაა კიევის აშკარა მცდელობა, ნებისმიერ ფასად ჩაითრიოს საქართველო ძმათამკვლელ ომში...

კიევის ბანდერელი, ანუ ნაცისტური ხელისუფლების ზოგიეთ მაღალჩინოსანს არაერთხელ „წამოსცდენია“ საქართველოს ფარჩაკი ხელისუფლების მიმართ: რადგან უკრაინაში მიმდინარე ომი ირიბად, მაგრამ მაინც, საქართველოსაც ეხება, თქვენ მანდ შეეცადეთ სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნებას (რაც, პრაქტიკულდ, მეორე ფრონტის გახსნაა), ორ ფრონტზე ბრძოლას პუტინი ვერ შეძლებს და თბილისი და კიევი ერთად თავიანთ ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენენო. ამ უტოპიური სცენარით მოვლენათა განვითარებაზე სრულიად სერიოზულად ლაპარაკობენ ბანდერელთა რეჟიმის „ექსპერტ-პოლიტოლოგები“... სწორედ ამ უტოპიის განუხორციელებლობამ შეიწირა საქართველოში უკრაინის ელჩი და, მართალია, ზევით ქოცების ხელისუფლებას ფარჩაკი ვუწოდე, მაგრამ მოდი, სიმართლეს ნუ დავუკარგავთ, თუნდაც ფარჩაკს:

საქართველო აქამდე ომში რომ ვერ ჩაითრიეს, პირადად პრემიერ **ირაკლი ღარიბაშვილის** დამსახურებაა — ამ ხელისუფლებაშიც ყოფილან ეროვნულად მოაზროვნე კაცები. რომ არა ბატონ ირაკლის ნათქვამი ბევრისთვის აწ უკვე ისტორიული ფრაზა — „ჩემი უფროსი ევროკავშირი კი არა, ქართველი ერი და მისი ეროვნული ინტერესებია“-ო, დღეს საქართველოში ჩვენი ბუჩა და მარიუპოლი გვექნებოდა. მით უმეტეს, რომ, თუ დღეს უკრაინის „დემოკრატიის“ (თუ რატომ ბრჭყალებში, ამაზე ქვემოთ) გადასარჩენად, უკაცრავად პასუხია და, ლამის ნიფხვებიდან ამოხტნენ კოლექტიური დასავლეთის ლიდერები, 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს „შეშფოთების“ გარდა, პრაქტიკულად, არაფრით დაგვეხმარებიან, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მილიარდს, რომლის დიდი წილი „ნაცმოძრაობის“ ლიდერების ჯიბეებში დაილექა, ნაწილი, ალბათ, რომელიმე „სტრატეგიულმა მოკავშირემ“ აითვისა. თუმცა შეშფოთებით გამოწვეული დახმარების დამადასტურებელ ძეგლად წეროვანში სამარცხვინო ბარაკები დაგვიტოვეს სახსოვრად.

**ირაკლი ღარიბაშვილის „ბრალია“, რომ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება ჩვენი კონსტიტუციის ძალით შეუძლებელია საქართველოს ლგბტ-პედერასტებისთვის. სიტყვამ მოიტანა და, რადგან კონსტიტუცია ვახსენეთ, იქნებ იქიდან იმ სამარცხვინო ჩანაწერის ამოღების დროც მოვიდა, რომელშიც ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციიის აუცილებლობაზეა ლაპარაკი.**

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ამჟამად საქართველოში ნატოზე საუბარი თითქმის შეწყდა, რადგან თბილისში უკრაინის მაგალითზე კარგად დაინახეს, რას ნიშნავს კოლექტიური დასავლეთისა და აშშ-ის დახმარება — „ფულსა და იარაღს, რამდენსაც გინდათ, მოგცემთ, სლავებმა ხოცეთ ერთმანეთი, მთავარია, არ შეჩერდეს 2008 წლის აგვისტოს ომის მსგავსი, ოღონდ გაცილებით მასშტაბური „მაყუთის კეთების“ პროცესი — რა რაოდენობის ფულითაც დაეხმარა აშშ სამდღიანი ომის შედეგად დანგრეულ საქართველოს, იმაზე გაცილებით მეტი ყოველდღე მიედინება კიევში, სადაც იქაური **კეზერაშვილები** ამერიკელ ქორებთან (ომის მოსურნეებთან) ერთად ინაწილებენ ასტრონომიულ თანხებს და, აბა, ამ „მაყუთის ცეხს“ ვინ დახურავს?!

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **საქართველოს ფარჩაკი ხელისუფლება, ალბათ, მიხვდა, რომ ნატოში გაწევრება უტოპიაა და ახლა მეორე უტოპიაზე, ევროკავშირში სასწრაფოდ მიღების იდეაზე აპირებს „ცხვირის გატეხვას“.**

ევროკავშირს კი ჩვენი ხელისუფლებისთვის 400-პუნქტიანი კითხვარი გამოუგზავნია, რომელზეც ლიბერასტულად სწორი პასუხების გაცემაზე ყოფილა დამოკიდებული ჩვენი იქ მიღება. პრემიერმა ბრძანა, ამ კითხვარს სწრაფად გავეცნობით და სწრაფადვე გავგზავნით ევროკავშირის დედაქალაქ და ლგბტ თემის

**მივმართავ ხელისუფლებას: პირველ რიგში, გაასაჯაროეთ ბრიუსელიდან გამოგზავნილი ლიბერასტული კითხვარი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა გასცემს კაცურ პასუხს, დაშემდეგ გაუგზავნეთ კოლექტიური დასავლეთის «ცისფერ კომისრებს»! ჩვენ არსად გვეჩქარება...**

უპირველეს დამცველ ბრიუსელშიო... **მივმართავ ხელისუფლებას: პირველ რიგში, გაასაჯაროეთ ბრიუსელიდან გამოგზავნილი ლიბერასტული კითხვარი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა გასცემს კაცურ პასუხს დაშემდეგ გაუგზავნეთ კოლექტიური დასავლეთის „ცისფერ კომისრებს“! ჩვენ არსად გვეჩქარება...**

ახლა კი დროა, სტატიის დასაწყისს დავუბრუნდეთ, სადაც აღშფოთება ვერ დავმალე საქართველოდან უკრაინაში გაგზავნილი ტონობით სურსათის გამო, მაგრამ თურმე ჯერ სად ხართ? — არც მეტი, არც ნაკლები, უკრაინისთვის გაგზავნილი 400 ტონა ტვირთი ყოფილა მედიკამენტები და ის პროდუქტები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობისთვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელი და ულმერთოდ ძვირია. ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი კი არის ის, რომ, უკრაინის ფოსტის მონაცემებით, 400 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი ის მაჩვენებელია, რომლითაც საქართველო 191 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა. იმავე მონაცემებით, მეორე ადგილზე 80 ტონით **რუმინეთია**, ხოლო მესამე ადგილზე, სულ რაღაც, 40 ტონით, არის ევროკავშირის ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა — **ბელგია.** აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

საპასუხოდ ჩვენმა „მოძმე“ უკრაინამ რაც გაგვიკეთა, შეიძლება ასე შეფასდეს: ვირო, მადლი... ან კიდევ — ღორის ტილი, ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგაღოლდებაო.

რომელი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მაგალითებზე საუბრობენ ეს ფარისევლები? **ტარას შევჩენკოზე** ხომ არა, რომელსაც საქართველოსთან არასდროს არაფერი აკავშირებდა და არც იმ დონის შემოქმედი იყო, ნებისმიერ კულტურულ ქვეყანაში მისი ძეგლის დადგმა კითხვის ნიშანს არ აჩენდეს. მიუხედავად ზემოთქმულისა, შევჩენკოს მონუმენტი შუაგულ თბილისში, ვერაზეა „წამოწოლილი“ და, როდესაც მის ძეგლთან გამოკითხვა ჩაატარეს, ვინ არის ტარას შევჩენკო, მხოლოდ ერთმა უპასუხა: შევჩენკო ფეხბურთელი გამიგიაო.

თუ მაინცდამაინც ქართველ და უკრაინელ შემოქმედთა ურთიერთობაზეა საუბარი, ამ მხრივ, უკრაინელ პოეტ ქალ **ლესია უკრაინკას** კონკურენტი არ ჰყავს. ქალმა, რომელსაც საქართველო და ქართველი ხალხი უყვარდა, სიცოცხლის უკანასკნელი წლებიც აქ გაატარა და ტუბერკულოზით დაავადებული სურამში აღესრულა გასული საუკუნის დასაწყისში. უკრაინაში ცხოვრობდა დიდი ქართველი პოეტი **დავით გურამიშვილი**, რომლის ძეგლი კი არა, საფლავიც კი დაკარგულია.

ეს არის და ეს საქართველოსა და უკრაინის ისტორიული „ძმობა და მეგობრობა“...

დასასრულ, საქართველოს ხელისუფლება, ფარჩაკობის გარდა, უთავმოყვარეოც ყოფილა. კიევს, სულ ცოტა, საჯაროდ უნდა მოეხადა ბოდიში თბილისისთვის დაუმსახურებელი შეურაცხყოფის გამო და საქართველოს დელეგაცია მხოლოდ ამის შემდეგ უნდა სწვეოდა უკრაინას ბუჩაში რუსი ოკუპანტების ნამოქმედარის სანახავად. **სირცხვილისგან კინაღამ გული ამერია, როდესაც ჩვენი დელეგაციის (რომელშიც არ შედიოდა ირაკლი ღარიბაშვილი) წევრები დასჯილი ბავშვებივით თვალებში შესციცინებდნენ ბანდერელ მასპინძლებს.**

**დავით მხეიძე**

**P.S. ის, ვისაც ჰგონია, რომ კოლექტიური დასავლეთის (აშშ) მიერ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებითა და რუსეთისთვის სანქციების დაწესებით კლოუნი ზელენსკი რუსეთის არმიას დაამარცხებს, მთლად ჯანმრთელად ვერ უნდა იყოს, რადგან ეს ომი ვლადიმერ პუტინის პირადი ომია. ამ ომს იმთავითვე, რუსეთ-უკრაინის კი არა, უკრაინის ტერიტორიაზე აშშ-რუსეთს შორის მიმდინარე ომად მივიჩნევდი, ამიტომ აგრესორი რუსეთის მომხრე ვიქნები, რადგან მსოფლიოში ერთადერთი მართლმადიდებელი რუსეთის ეკლესია და პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი არიან, უკომპრომისოდ რომ ებრძვიან მსოფლიო ლგბტ სექტას, და ამ ომში რუსეთის დამარცხება კაცებზე პედერასტების გამარჯვებაა. ამას უფალი არ დაუშვებს, რადგან იგი რუსეთთანაა და არა სატანისტ ანგლოსაქსებთან.**

**კიევის ბანდერელი, ანუ ნაცისტური ხელისუფლების ზოგიერთ მაღალჩინოსანს არაერთხელ «წამოსცდენია» საქართველოს ფარჩაკი ხელისუფლების მიმართ: რადგან უკრაინაში მიმდინარე ომი ირიბად, მაგრამ მაინც, საქართველოსაც ეხება, თქვენ მანდ შეეცადეთ სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნებას (რაც, პრაქტიკულად, მეორე ფრონტის გახსნაა), ორ ფრონტზე ბრძოლას პუტინი ვერ შეძლებს და თბილისი და კიევი ერთად თავიანთ ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენენო. ამ უტოპიური სცენარით მოვლენათა განვითარებაზე სრულიად სერიოზულად ლაპარაკობენ ბანდერელთა რეჟიმის «ექსპერტ-პოლიტოლოგები»...**

«მარტოკამ უნდა ვიომო»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ ბი-ბი-სის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ ეს ომი უფრო ადრე დავიწყეთ“. ამ ნათქვამში ახალი არავისთვის არაფერია. ახალი აქ მხოლოდ ზელენსკის აღიარებაა, რომ ომი უკრაინამ იქამდე გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე რუსეთი სამხედრო ოპერაციას დაგეგმავდა: „ამისთვის გვინდოდა ნატოში შესვლა“, — დააზუსტა ზელენსკიმ, რითაც ბეჭედი დაუსვა იმას, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომი მან დაიწყო.**



# ომი გნებავთ? ინებეთ!

## რასაც ამჟამად აშშ სჩადის, მესამე მსოფლიო ომის აშკარა და ცინიკური პროვოცირებაა, რომელმაც შეიძლება დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას წერტილი დაუსვას

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## მეთოთხმეტე გამოშვება

**„რომელი მეტეორი? სამყაროს მკაცრი კანონები აქვს, უბრალოდ და თავისთავად იქ არასოდეს არაფერი ჩამოვარდება. ის, რაც ჩამოვარდება ხოლმე, ადამიანის ხელით არის ჩამოგდებული. ამას პროვოკატორები და ომის გამჩაღებლები აკეთებენ!“**

**ვლადიმერ ჟირინოვსკი**

უკრაინაში ომი იწყება. — აბა, აქამდე რა იყო? — მკითხავთ თქვენ. ბევრი რამ შეიძლება დავარქვათ: შესავალი, მოთელვა, მტრისთვის კბილის მოსინჯვა. სხვა სახელის მოფიქრებაც შეიძლება, ოღონდ ომი არა, ეს არ ყოფილა დაჭრილი რუსეთის ომი ნამდვილი მტრის წინააღმდეგ. **რუსეთისთვის ეს მართლაც სამხედრო ოპერაცია იყო (ისეთი, ზოგჯერ ქვეყნის შიგნითაც რომ ხდება ხოლმე საჭირო. მაგალითად: რუსეთში (ჩეჩნეთში) 1994-96 და 1999-2000 წლებში ან აშშ-ში 2020 წელს რასობრივ ნიადაგზე, 2021 წელს კი კაპიტოლიუმის შენობაში ამბოხებულთა შეჭრის გამო).** ახლა უკრაინაში სხვა რეალობა დგება. 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებული სამხედრო ოპერაციის ცეცხლზე ამერიკელებმა ნავთი დაასხეს, რომლის მიზანს ამერიკელების მიერ უკრაინის ხელისუფლებაში მოყვანილი ფაშისტებისგან დონბასის მოსახლეობის დაცვა და ქვეყნის დემილიტარიზაცია-დენაციფიკაცია წარმოადგენდა. ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტის განეიტრალებაზე ეზრუნათ, მათ უკრაინელი ნაცისტები წააქეზეს, დააფინანსეს, შეაიარაღეს და ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ რუსეთის მიერ დასავლური პროვოკაციის საპასუხოდ (იძულებით) წამოწყებული სამხედრო ოპერაცია ომში გადაეზარდათ. ახლა უკვე დღესავით ნათელია, რომ მათ ამ მიზანს მიაღწიეს. რუსული სამხედრო კრეისერ „მოსკვას“ ჩაძირვა, ალბათ, ის ბოლო წვეთი იყო, რომელმაც რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის მოთმინების ფიალა ბოლომდე აავსო. ეს უბრალო ამბავი არ არის. ხომალდი „მოსკვა“ ასეა დახასიათებული: „Всего в российском ВМФ три „Атланта“ — кроме самой старшей „Москвы“ есть еще флагман Тихоокеанского флота „Варяг“ и „Маршал Устинов“ с Северного флота. Перед началом войны в Украине Россия отправила два последних в Средиземное море. Эти крейсера вооружены 16-ю противокорабельными ракетами „Вулкан“ и предназначены, в первую очередь, для борьбы с кораблями, но они также могут использоваться для обстрелов наземных целей и поддержки десанта. Кроме того, каждый корабль вооружен дальним зенитным комплексом С-300Ф „Форт“ — морским аналогом наземного С-300, а также ЗРК ближнего радиуса и различными зенитными артиллерийскими системами. Эти системы предназначены для борьбы как с самолетами, так и с крылатыми ракетами.

უკრაინული რაკეტა „ნეპტუნის“ დარტყმამ ისე დააზიანა „მოსკვა“, რომ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და იგი ჩაიძირა. ამერიკელებმა, თითქოს ამ ფაქტს ელოდნენო, უკრაინის ნაცისტური ხელისუფლების შეიარაღების უფრო მეტად გაძლიერება გადაწყვიტეს, რისთვისაც დამატებით 800 მილიარდი დოლარი (პენტაგონის წლიური ბიუჯეტის ოდენობა) გამოჰყვეს. **რუსეთის მიერ უკრაინაში სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან ორი თვეც არ გასულა, ამერიკელებმა კი დროის ამ მცირე მონაკვეთში უკრაინელებისთვის მილიარდობით დოლარის შეიარაღების მიწოდება მოასწრეს. ამ კოლოსალური თანხის გამოყოფა, სამხედრო-სარაკეტო კრეისერ „მოსკვას“ ჩაძირვა და კოლექტიური დასავლეთის ქმედებათა მიმართულება ადასტურებს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატოს ფართომასშტაბიანი ომი მიმდინარეობს.** ეს უკვე სხვა რეალობა და სხვა ვითარებაა, რომელიც მოვლენათა არსს მთლიანად ცვლის.

15 აპრილს Washington Post-ი წერდა, რომ მათ ხელში აღმოჩნდა მოსკოვის მიერ ვაშინგტონში გაგზავნილი ნოტა, სადაც აღნიშნულია: „ჩვენ მოვუწოდებთ აშშ-სა და მის მოკავშირეებს, რომ შეწყვიტონ უკრაინის უპასუხისმგებლო მილიტარიზაცია, რომელსაც დამანგრეველი შედეგები ექნება რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის“. ამ ნოტას წინ უძღოდა რუსეთის პრეზიდენტის მიერ ჯერ კიდევ 24 თებერვლის მიმართვაში კოლექტიური დასავლეთისთვის ნათქვამი გაფრთხილება: „Теперь несколько важных, очень важных слов для тех, у кого может возникнуть соблазн со стороны вмешаться в происходящие события. Кто бы ни пытался помешать нам, а тем более создавать угрозы для нашей страны, для нашего народа, должны знать, что ответ России будет незамедлительным и приведёт вас к таким последствиям, с которыми вы в своей истории ещё никогда не сталкивались. Мы готовы к любому развитию событий. Все необходимые в этой связи решения приняты. Надеюсь, что я буду услышан“.

სამწუხაროდ, დასავლეთს არაფრის გაგონება არ სურს ან, შესაძლებელია, აღარც შეუძლია. რუსეთი, რომელიც ყოველმხრივ შეავიწროვეს და ნატოს ალყაში მოაქციეს, დასავლეთისთვის აგრესორი სახელმწიფოა, პრეზიდენტი პუტინი კი — სამხედრო დამნაშავე, რომელიც, მათივე განცხადებით, თურმე ჰააგის სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს. აქედან გამომდინარე, რუსეთი იძულებულია და ვალდებულიცაა, რომ საკადრისი პასუხი გასცეს ყველას — დაწყებული უკრაინელი ნაცისტებით და დამთავრებული კოლექტიური დასავლეთითა და ნატოთი. **რუსეთს სხვა გზა არ დაუტოვეს, გარდა იმისა, რომ სამხედრო ოპერაციის ნაცვლად დაიწყოს საომარი ოპერაცია, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. რუსეთი ამ ომში ჩაითრიეს. მას არავითარი ინტერესი ომის წარმოებისა ან უკრაინაში, ან დასავლეთში, ან სხვა რომელიმე მიმართულებით არ გააჩნია. იგი ომის აუცილებლობის წინაშე დააყენეს და აიძულეს, რომ საკუთარი არსებობისა და სუვერენიტეტის დასაცავად ამ სახის გამოწვევებს გაუმკლავდეს, რათა აგრესორი სახელმწიფოს იარლიყო მიაკერონ და თანდათან ძირი გამოუთხარონ. რუსეთი არჩევანის გარეშე დატოვეს. რაკი ეს ასეა, უკრაინელი ნაცისტებიც და კოლექტიური დასავლეთიც ახლა გაიგებენ, რასაც ნიშნავს მასთან ომი...**



ამერიკელები ადრე გაცილებით გონივრულად იქცეოდნენ. საბჭოთა კავშირთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ აშშ-ში არავის მოსვლია აზრად საბჭოთა კავშირთან ომი, რადგან კარგად ჰქონდათ გათვლილი ძალთა თანაფარდობა და შესანიშნავად იცოდნენ, რომ ეს არც იყო და ვერც იქნებოდა ის გზა, რომელიც მათ სასურველ შედეგამდე მიიყვანდა. ამიტომაც აირჩიეს მოსყიდვის, გადაბირებისა და ხელისუფლებაში მოღალატეთა ჩანერგვის რთული, მაგრამ შედარებით მაინც უსაფრთხო გზა და არა სამხედრო დაპირისპირება. დღეს კი ამერიკული პოლიტიკური ისტებლიშმენტის გონებრივი არასრულფასოვნების თუ გათავხედების გამო ისინი სამხედრო დაპირისპირების მთელი მსოფლიოსთვის კატასტროფული შედეგების მომტან გზას დაადგნენ. **ჯერ უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალებით მოყვანილი ხელისუფლების უმაღლესი პირები საომრად წააქეზეს და ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთ გზად რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების პროვოცირება დაუსახეს, შემდეგ კი მათ დაუფარავ და ფორსირებულ შეიარაღებას შეუდგნენ, რაც პრაქტიკულად სხვა არაფერია, თუ არა მათი მხრიდან რუსეთისთვის ომის გამოცხადება.** უკრაინის პრეზიდენტმა **ზელენსკიმ** ბი-ბი-სის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა: **„ჩვენ ეს ომი უფრო ადრე დავიწყეთ“.** ამ ნათქვამში ახალი არავისთვის არაფერია. **ახალი აქ მხოლოდ ზელენსკის აღიარებაა, რომ ომი უკრაინამ იქამდე გაცილებით ად-** ▶

**2022 წლის 24 თებერვალს დაწყებული სამხედრო ოპერაციის ცეცხლზე ამერიკელებმა ნავთი დაასხეს, რომლის მიზანს ამერიკელების მიერ უკრაინის ხელისუფლებაში მოყვანილი ფაშისტებისგან დონბასის მოსახლეობის დაცვა და ქვეყნის დემილიტარიზაცია-დენაციფიკაცია წარმოადგენდა. ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტის განეიტრალებაზე ეზრუნათ, მათ უკრაინელი ნაცისტები წააქეზეს, დააფინანსეს, შეაიარაღეს და ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ რუსეთის მიერ დასავლური პროვოკაციის საპასუხოდ (იძულებით) წამოწყებული სამხედრო ოპერაცია ომში გადაეზარდათ**

**სამწუხაროდ, დასავლეთს არაფრის გაგონება არ სურს ან, შესაძლებელია, აღარც შეუძლია. რუსეთი, რომელიც ყოველმხრივ შეავიწროვეს და ნატოს ალყაში მოაქციეს, დასავლეთისთვის აგრესორი სახელმწიფოა, პრეზიდენტი პუტინი კი — სამხედრო დამნაშავე, რომელიც, მათივე განცხადებით, თურმე, ჰააგის სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს. აქედან გამომდინარე, რუსეთი იძულებულია და ვალდებულიცაა, რომ საკადრისი პასუხი გასცეს ყველას — დაწყებული უკრაინელი ნაცისტებით და დამთავრებული კოლექტიური დასავლეთითა და ნატოთი.**

«მარტოკამ უნდა ვითმთ»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀რე დაიწყო, ვიდრე რუსეთი სამხედრო ოპერაციას დაგეგმავდა: „ამისთვის გვინდოდა ნატოში შესვლა“, — დააზუსტა ზელენსკიმ, რითაც ბეჭედი დაუსვა იმას, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომი მან დაიწყო.** ომს იარაღი სჭირდებოდა, რომელსაც ზელენსკი და მისი მთავრობა დასავლეთს სთხოვდა. ზელენსკიმ იმავე ინტერვიუში კიდევ ერთი აღიარება გააკეთა: „ჩვენ კულუარებში ვლაპარაკობდით იარაღის მოწოდების შესახებ“. ასე რომ, **უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის წინააღმდეგ ომი აშშ-ისა და ნატოს დაწყებულია, რა თქმა უნდა, ზელენსკის ხელით. სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე უკრაინის ნაცისტურ ხელისუფლებას ამერიკელებთან ერთად დონბასში ფართომასშტაბიანი ომი ჰქონდა დაგეგმილი, რასაც დიდი სისხლისღვრა უნდა მოჰყოლოდა. თარიღიც, როდესაც ომი უნდა დაეწყოთ, ცნობილია — 2022 წლის 8 მარტი. ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია ახლა უკვე რუსების ხელშია.** რუსეთის ამოცანას ამ გეგმის ჩაშლა წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, დასავლური აღვირახსნილი პროპაგანდა რუსეთს აგრესორად, უკრაინის ნაცისტურ ხელისუფლებას კი მსხვერპლად წარმოაჩენს. არ ვიცი, როგორ უნდა გაიმართლოს თავი დასავლეთმა, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ შუამავლად და ომის შეჩერების ინიციატორად გამოდიოდეს, უკრაინელ ნაცისტებს აქეზებს, აიარაღებს და თვითმკვლელობისკენ უბიძგებს. ეს ომი არ არის რუსეთ-უკრაინის ომი, ეს არის დასავლეთის ომი რუსეთთან, რომელიც უკრაინელი პოლიტიკოსებისა და ხალხის ერთი ნაწილის სრული უგუნურების გამო უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. **არ არსებობს სიმდაბლე და სიდამპლე, რომელსაც უკრაინის ნაცისტური ხელისუფლება დასავლეთის ბოსებთან ერთად ხელს არ მოაწერს. საკუთარი ხალხის ხოცვა-ჟლეტა იმ მიზნით, რომ ეს ყველაფერი, შესაძლოა, რუსულ არმიას დააბრალონ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ბუჩასა და კრამატორსკში უკრაინელი ნაცისტების მიერ საკუთარი მოსახლეობის წინაშე ჩადენილი ვერაგობის მასშტაბები მსოფლიო საზოგადოებისთვის ჯერაც არ არის გასაგები, რადგან დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები ამ ფაქტს „ამოტრიალებული კადრის ეფექტით“ აშუქებენ და დამნაშავეები მსხვერპლის როლში გამოჰყავთ.** 14 აპრილს კოსმოდრომზე („ვოსტოჩნი“) ჩასული პუტინი და ლუკაშენკო უკრაინის თემასაც შეეხნენ, სადაც რუსეთის პრეზიდენტმა ბუჩაში მომხდარ მასობრივ მკვლელობებზე შემდეგი განცხადება გააკეთა: „ეს ისეთივე ფეიკია, როგორიც იყო მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა ერაყში, რაც ამ ქვეყანაში აშშ-ის შეჭრის საბაბად იქცა“.

**უკრაინაში მხოლოდ უკრაინელი ნაცისტები კი არ ომობენ, იგი რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლთა ერთგვარ ჰაბად გადაიქცა. მსოფლიოში თუ სადმე ვინმე ნაგავი და სიბინძურე არსებობდა, ყველამ იქ მოიყარა თავი რუსეთთან საომრად. მხოლოდ ღმერთმა თუ იცის, ვინ და რა ჯურის დაქირავებული და მოხალისე არ არის უკრაინაში ამ მიზნით ჩათრეული — ევროპელი თუ ამერიკელი, თეთრკანიანი თუ შავკანიანი, ახალგაზრდა თუ მოწიფული, ქალი თუ მამაკაცი. ეს გასაგებიცაა — უკრაინა ანდამატივით იზიდავს უზნეოებსა და უპასუხისმგებლოებს, შლეგებსა და ჩლუნგებს, ხელმოცარულებსა და ავანტიურისტებს... ჰო, კიდევ ერთ კატეგორიას იზიდავს დღევანდელი უკრაინა – ვაიპოლიტიკოსებს.** საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია და „ნაციონალური მოძრაობის“ დელეგაცია გასულ კვირას უკრაინაში იმყოფებოდნენ. ორივე დელეგაციამ უკრაინის ნაცისტურ ხელისუფლებას თანადგომა გამოუცხადა, ოღონდ ცალ-ცალკე. პარლამენტის თავმჯდომარე პაპუაშვილმა განაცხადა: „ჩვენ ჩამოვედით უკრაინაში, რათა ვაჩვენოთ ჩვენს მეგობრებს ჩვენი მტკიცე და ერთიანი მხარდაჭერა უკრაინისადმი. სხვაგვარად არ შეგვეძლო. სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია იმ სურათის, რომელიც ვიხილეთ ბუჩაში, ირპენში, ბოროდიანკაში, კრამატორსკიში, მთელმა მსოფლიომ იცის ამ სისასტიკის შესახებ. რუსეთმა უნდა დაასრულოს ეს ომი, პატივი სცეს უკრაინის ერთიანობას და ტერიტორიულ მთლიანობას, პატივი სცეს უკრაინელების არჩევანს. ბუჩას მსგავსი ისტორიები საქართველოსაც ახსოვს 90-იანი წლების ომსა და 2008 წლის ომში. ჩვენი ქალაქებიც დაიბომბა, ამიტომ ჩვენ ეს ყველაფერი ძალიან კარგად გვესმის“.

ეს „ბაჯაღლო ჭეშმარიტება“ საქართველოს ხელისუფლებამ თუ იღაღადა უკრაინიდან, არანაკლები „ჭეშმარიტება“ იღაღადა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა **ნიკა მელიამ** ასევე უკრაინიდან: „ბუჩაში ჩამოსვლის მიზანი არამხოლოდ ისაა, რომ უბრალოდ ვთქვათ, რასაც რუსეთი აკეთებს, გენოციდია, არამედ გავაძლიეროთ ის რწმენა, ერთად ყოფნის განცდა და ემოცია, რომ უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს, ესე იგი, გაიმარჯვებს ცივილიზაცია, თავისუფლება და გავიმარჯვებთ ჩვენც. საკუთარი თვალით ამ ყველაფრის ნახვა ძალიან მძიმეა. დღეს უკრაინა გახდა სადიზმთან, ბოროტებასთან, სისასტიკესთან ბრძოლის სიმბოლო და ცოტა ხანში უკრაინა გახდება ამ სისასტიკეზე, ველურობასა და ბოროტებაზე გამარჯვების სიმბოლო“. **აი, ასე შეთანხმებულად და ჰარმონიულად, ასე უნისონში უჭერს მხარს უკრაინულ ნაციზმს ერთმანეთთან მსოფლმხედველობითა და იდეოლოგიით ვითომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ეს ორი ძალა. როდესაც პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებს არ უერთდება, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე უკრაინაში გარბის და „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უფრო მქუხარე ანტირუსულ სიტყვას წარმოთქვამს, უნდა მივხვდეთ, რომ ქვეყნის საქმე ვერ მიდის კარგად.**

ცალკე მსჯელობის საგანია არნახული პოლიტიკური სიბეცე, რომელსაც ევროპელები

**არ არსებობს სიმდაბლე და სიდამპლე, რომელსაც უკრაინის ნაცისტური ხელისუფლება დასავლეთის ბოსებთან ერთად ხელს არ მოაწერს. საკუთარი ხალხის ხოცვა-ჟლეტა იმ მიზნით, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია რუსულ არმიას დააბრალონ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ბუჩასა და კრამატორსკში უკრაინელი ნაცისტების მიერ საკუთარი მოსახლეობის წინაშე ჩადენილი ვერაგობის მასშტაბები მსოფლიო საზოგადოებისთვის ჯერაც არ არის გასაგები, რადგან დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები ამ ფაქტს «ამოტრიალებული კადრის ეფექტით» აშუქებენ და დამნაშავეები მსხვერპლის როლში გამოჰყავთ**




ამჟღავნებენ. ისინი ისე დააბრმავა აშშ-ის ყურმოჭრილი ყმობის სურვილმა და რუსეთის გაუგონარმა სიძულვილმა, რომ მზად არიან, საკუთარი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტიც, ეროვნული თავმოყვარეობაც და საერთო კეთილდღეობაც დათმონ, ოღონდ რუსეთს თუნდაც წვრილმანი ზიანი მიაყენონ, თუმცა, **როგორც ირკვევა, დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების შედეგად დასავლეთი უფრო ზიანდება, ვიდრე რუსეთი. ბრიტანული გაზეთი (Financial Times) წერს: „ევროკავშირი ნაკლებად არის მომზადებული, ვიდრე რუსეთი, სადაც პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის სტრატეგია — „რუსეთი ციხესიმაგრეა“, მიმართულია იქით, რომ სანქციების შედეგები მოსახლეობამ ნაკლებად იგრძნოს“.** ევროპას არამხოლოდ ეკონომიკური და ენერგეტიკული, არამედ სერიოზული მენტალური და ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებს. ამის შესახებ უკვე რომის **პაპი ფრანცისკე** პირდაპირი ტექსტით ალაპარაკდა: **„ლტოლვილების კლასიფიკაცია მიმდინარეობს იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ქვეყნიდან არიან ისინი — განვითარებული თუ განუვითარებელი. ჩვენ რასისტები ვართ. დიახ, ჩვენ რასისტები ვართ და ეს ძალიან ცუდია“.**

უკრაინაში, მას შემდეგ, რაც შეიარაღებულმა ძალებმა, განსაკუთრებით კი ბატალიონმა „აზოვმა“ არ მიიღო რუსული არმიის ხელმძღვანელობის მოწოდება, რომ დაეყარათ იარაღი, რათა მათ შენარჩუნებოდათ სიცოცხლე, შესაძლებელია, ითქვას, რომ სპეციალური სამხედრო ოპერაცია ომის ფაზაში გადავიდა. რუსული არმიის შეტევებმა გაცილებით ინტენსიური ხასიათი მიიღო. ამაზე **პუტინს** ასეთი შინაარსის განცხადება აქვს გაკეთებული: **„ხშირად სვამენ შეკითხვას: არ შეიძლება დაჩქარება? შეიძლება. ეს დამოკიდებულია საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობაზე, რაც, სამწუხაროდ, დაკავშირებულია უფრო მეტ დანაკარგებთან. ჩვენი ამოცანაა დასახული მიზნების შესრულება დანაკარგების მინიმიზირებით. ჩვენ ვიმოქმედებთ რიტმულად, მშვიდად, იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც გენშტაბის მიერ თავიდანვე იყო შემოთავაზებული“.** ასეთი იყო რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლის პოზიცია. მას სურდა ოპერაციის ჩატარება ორივე მხრიდან მინიმალური დანაკარგებით, მაგრამ **მას შემდეგ, რაც გაცხადდა კოლექტიური დასავლეთის ჩანაფიქრი, რომ იბრძოლონ, სანამ უკანასკნელი უკრაინელი ნაცისტი იქნება ცოცხალი, ხოლო თვითონ განუსაზღვრელი რაოდენობით შეიტანონ იარაღი, ვითარება შეიცვალა, რაც სწორედ საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობის გაზრდაში გამოიხატა, რომლის შესახებაც რუსეთის პრეზიდენტი საუბრობდა. როგორც ვთქვით, სამხედრო ოპერაცია ომში გადაიზარდა. ეს დასავლეთმა ჩაიდინა.** გაიხსენეთ მაღალი დონის ევროპელი ჩინოვნიკის — **ჟოზეფ ბორელის** სიტყვები: „ყველაფერი უკრაინელებისთვის იარაღის მიწოდებაზეა დამოკიდებული. ომის ბედი სანქციების დაწესებით კი არა, ბრძოლის ველზე გადაწყდება“. რუსებს ახლა აჰყავთ და აჰყავთ სამხედრო ტყვეები, რომლებიც ყვებიან იმ საშინელ ვითარებაზე, რომელიც უკრაინულ არმიასა და, საერთოდ, უკრაინაშია შექმნილი. ერთი სიტყვით, **უკრაინის ტერიტორიაზე ნამდვილი ომი დაიწყო. ეს ჯერ კიდევ არ არის მსოფლიო ომი, მაგრამ ძალიან ახლოს დგას მასთან...**

ომი კაცობრიობის ისტორიის თანამდევი ყველაზე საშინელი ბოროტებაა, მაგრამ, როგორი საკვირველიც უნდა იყოს, იგი კაცობრიობის განვითარების სტიმული და ენერგიაცაა. სწორედ ომები გვევლინება იმ წყალგამყოფებად, რომლებიც ახალი ეპოქების, მსოფლიო წესრიგისა და ხანგრძლივი პერიოდებით საერთაშორისო სტაბილიზაციის წინაპირობებს ქმნის. **ომი, რომელიც კოლექტიურ დასავლეთსა და რუსეთს შორის უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, თუკი ბირთვულ ომში არ გადაიზრდება და, საერთოდ, მსოფლიო კატასტროფას არ გამოიწვევს, ძველი მსოფლიო წესრიგის ნანგრევებზე ახალ მსოფლიო წესრიგს შობს. როგორი იქნება ეს წესრიგი და რა სახეს მიიღებს ახალი მსოფლიო მთლიანობაში, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ნათელია: მსოფლიო უკვე არ (ვერ) იქნება ერთპოლუსიანი. დღევანდელი უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე ომი დაასაფლავებს აშშ-ის ძველ დიდებას და მსოფლიოზე გაბატონებისკენ საუკუნოვან ლტოლვასაც.**

**P. S.** როგორი საკვირველიც უნდა გეჩვენოთ, ფაქტია, რომ **აშშ ვერ კმაყოფილდება რუსეთთან აშკარა სამხედრო დაპირისპირებით და პარალელურად, ჩინეთსაც საომრად იწვევს, რაც მის განსჯის უუნარობასა და სრულ აგონიაზე მეტყველებს. ლაპარაკია არა პრეზიდენტ ბაიდენზე, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორც ჩანს, ყოველდღიურად უარესდება, არამედ მთლიანად სახელმწიფო სისტემაზე, ინსტიტუტებსა და მმართველ ელიტაზე. ოფიციალური ჩინეთის პროტესტის მიუხედავად, აშშ-ის კონგრესმენთა დელეგაცია ტაივანს ეწვია. ამ პროვოკაციული და უპასუხისმგებლო ვიზიტის პასუხად ჩინეთმა 15 აპრილს ჩინეთის ზღვის აღმოსავლეთით სამხედრო წვრთნები გამოაცხადა. ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის აღმოსავლეთ ზონის სარდლობამ ჩინეთის ზღვის საზღვაო და საჰაერო სივრცეში, კუნძულ ტაივანის ირგვლივ განათავსა სამხედრო ხომალდები, ბომბდამშენები, ავიაგამანადგურებლები და სხვა ძალები მრავალმიზნობრივი სამხედრო პატრულირებისა და წვრთნებისთვის. ეს უკვე მთელი პლანეტისთვის საგანგაშო მდგომარეობის შექმნას ნიშნავს. რასაც ამჟამად აშშ სჩადის, მესამე მსოფლიო ომის აშკარა და ცინიკური პროვოცირებაა, რომელმაც შეიძლება დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას წერტილი დაუსვას. ეს არამხოლოდ გამოწვევა, არამედ ისეთი პირობების მიზანმიმართული შექმნაა, სადაც ზესახელმწიფოები – რუსეთი და ჩინეთი, აშშ-თან, ევროკავშირთან და ნატოსთან ომში აღმოჩნდებიან ჩართული. ძნელი მისახვედრი არაა, რასაც უმზადებს ეს მსოფლიოს და როგორი შედეგებით შეიძლება დასრულდეს, საერთოდ, კაცთა მოდგმისთვის. აქვე ის განცხადებაც უნდა გავითვალისწინოთ, რომელიც აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების სარდალთა კომიტეტის მეთაურმა, გენერალმა მარკ მილიმ გააკეთა: „არასტაბილურ მსოფლიოში ზესახელმწიფოთა შორის კონფლიქტის ალბათობა იზრდება. აშშ-ის მთავარ გეოსტრატეგიულ გამოწვევად ჩინეთი რჩება, რადგან მას განზრახული აქვს, რომ განავითაროს თავისი სამხედრო პოტენციალი, რათა 2027 წლისთვის მიიტაცოს ტაივანი“.**

საქმე მართლაც ისე მიდის, როგორც **აშშ-ის 35-ე პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის აქვს ნაწინასწარმეტყველები: „ან კაცობრიობა დაასრულებს ომებს, ან ომები დაასრულებს კაცობრიობას!“**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სალომე ზურაბიშვილის თქმით, სწორედ რუსიფიკაციის ორასწლოვანი პოლიტიკის შედეგია, რომ კავკასიური ოჯახის ენათა აბსოლუტური უმრავლესობა დღეს გაქრობის საფრთხის წინაშეა. ამ საფრთხის თავიდან აცილების მცდელობად მიიჩნევა სკოლებში მეგრული და სვანური ენების სწავლების პერსპექტივაც, მაგრამ არის კი ეს პრობლემის მოგვარების რეალური გზა? ეს არის კითხვა, რომელსაც მანვე უნდა უპასუხოს, ვინც საკითხი დასვა საერთოდ. მე არ მგონია, რომ ეს საშველია“.**



გიორგი გოგოლაშვილი:

## ხომ არ სჯობს, ისევ სვანური და მეგრული ენების შესწავლის, მოვლისა და პატრონობის პროგრამები შევადგინოთ და იქვე გამოიკვეთოს სკოლაში სწავლების აუცილებლობაც და საჭიროებებიც

# «მეცნიერების პოლიტიზება მეცნიერებასაც დაღუპავს და პოლიტიკასაც»

**ამა წლის 14 აპრილს, ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სკოლებში მეგრული და სვანური ენების არჩევით საგნად სწავლების ინიციატივით გამოვიდა. ამ ინიციატივამ ქართველ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. დროულად, მართებულად და საჭიროდ მიაჩნიათ ქართული ენის სპეციალისტებს ეს წინადადება? გვესაუბრება ენათმეცნიერი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი:**

— მოდი, გავიხსენოთ, რა საბედისწერო აღმოჩნდა ქართული ენისთვის XXI საუკუნე; გავიხსენოთ არაერთგზის თქმული: მე-3 ათასწლეულის კარიბჭესთან (2004-2005 წლებში) ქართული ენის მიმართ გატარდა უმკაცრესი **„სამთავრობო ღონისძიებანი“:**

* გააუქმეს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია;

* გააუქმეს პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;

* გააუქმეს ენის სახელმწიფო პალატა;

* გაქრა („დაიკარგაო“) პარლამენტში განსახილველად შეტანილი „ენის კანონ-პროექტი“;

* გააუქმეს ყველა ჟურნალი და გაზეთი, რომლებიც ქართულ ენას ეხებოდა;

* გააუქმეს ყველა ტელე და რადიოგადაცემა ქართული ენის შესახებ;

* შეამცირეს სკოლებში ქართული ენის საათები...

პირველ კლასში ქართული ენის საათები გაუყვეს უცხო ენას...

* გააუქმეს სავალდებულო-საუნივერსიტეტო საგანი „ქართული ენა“ (ქართული მეტყველების კულტურა), რომელიც ისწავლებოდა ყველა უმაღლეს სასწავლებელში არაჰუმანიტარულ სპეციალობებზე...

თითქოს დრო იხელთესო, „სამთავრობო ღონისძიებებს“ შემდეგ მოჰყვა „კერძო უწყებრივი ინიციატივები“ (დაგეგმილი თუ „გაუთვალისწინებელი“) და ჩვენს უნივერსიტეტებში ამ ტალღამ (ერთგან „ნაცტალღაც“ ვუწოდე) თავისი „ცოდვილი ხელი“ მკაცრად ჩასჭიდა ქართულ ენას (დიახ, ეს ის ცოდვილი ხელია, **ილია** რომ გვაფრთხილებდა: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო!“)...

და **ამ „სამთავრობო თუ კერძო ღონისძიებებმა“ ქართული ენის ცოდნის დონე კატასტროფულად დასცა; ეს ჩაიწერა კიდეც 2021 წლის დეკემბერში მთავრობის მიერ დამტკიცებულ „სახელმწიფო ენის სტრატეგიაში“:**

„ქართული ენის ცოდნის დონე მოსწავლეებში საკმაოდ დაბალია. აღნიშნულს ადასტურებს საერთაშორისო კვლევებიც. პიზის (PISA) კვლევების 2018 წლის მონაცემების მიხედვით, 79 მონაწილე ქვეყანას შორის საქართველოს 280 ქულა აქვს, რაც ძალიან დაბალი შედეგია (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018, 2020)“ ( „სახელმწიფო ენის სტრატეგია“, გვ. 43)...

**— ბოლო ათწლეულში სასიკეთო სამთავრობო ღონისძიებებიც განხორციელდა ამ მიმართულებით...**

— ნამდვილად: 2004-2005 წლებში გატარებულ „სამთავრობო ღონისძიებათა“ შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯი იყო **სახელმწიფო ენის კანონის მიღება** (2015 წ.); კანონის ამოქმედება დიდწილად დამოკიდებული იყო სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნაზე; დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეიქმნა სახელმწიფი ენის დეპარტამენტი (2017 წ.), რომელსაც უნდა შეემუშავებინა ქართული ენის ეროვნული პროგრამა; როგორც იქნა (ესეც დაგვიანებით) შეიქმნა მსგავსი დოკუმენტი (2021 წ.); ეს არ არის ეროვნული პროგრამა, ვთქვი, მსგავსი-მეთქი, მაგრამ... საქმე ისევ იგვიანებს... სამწუხაროდ, კონკრეტული ნაბიჯები არ ჩანს... მაგალითად, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის საფუძველზე **მივმართე არაერთ ინსტანციას, თუნდაც ეს ერთი საკითხი მოეგვარებინათ: ეზრუნათ უკანონოდ გაუქმებული „ქართული ენის“ საუნივერსიტეტო კურსის აღდგენაზე...** პასუხი უცნაურია, თითიდან გამოწოვილსა ჰგავს — **თურმე „სამინისტრო იცავს უნივერსიტეტების ავტონომიურობის პრინციპს, რომლის გამოც ის ვერ უკარნახებს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელს კურსის დამატებას ან ამოღებას“...**

რა გამოდის, **სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემურ საკითხს სახელმწიფო კი არ წყვეტს „კანონისა“ და „სტრატეგიის“ შესაბამისად, არამედ რომელიღაც რექტორი თუ ლექტორი, რომლებსაც ქართული ენა ნამდვილად არ ადარდებთ.... ქართული რომ სახელმწიფო ენაა და არ არის რიგითი საგანი, ეს ხომ მარტივი ჭეშმარიტებაა და არ არის ამა თუ იმ რექტორისა თუ ლექტორის გადასაწყვეტი მისი არსებობის საკითხი.** რა გამოვიდა: მივიღეთ სახელმწიფო ენის კანონი, დავამტკიცეთ სახელმწიფო ენის სტრატეგია, შევქმენით სახელმწიფო ენის დეპარტამენტიც და... სახელმწიფო ენა მაინც უპატრონოდაა... რა თქვა, იცით, **ანა კალანდაძემ? — „ენას თუ პატრონი არა ჰყავს, ბატონი გაუჩნდებაო,“ დავღუპავთ ენას...**

სახელმწიფო ენის ეროვნული გეგმის მიხედვით სწავლების პრობლემა არ მოგვარდება და გაგრძელდება „განათლების დონის დაცემა მიზანმიმართულად“

**— რა იტყვით პრეზიდენტის ინიციატივაზე — მეგრული, ლაზური და სვანური ენების სკოლებში სწავლების შესახებ. ამ ინიციატივამ არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია საზოგადოებაში. არადა, ეს ენები დაღუპვის პირასაა...**

— ეს ძალიან ფაქიზი და, ზოგ შემთხვევაში, მტკივნეული საკითხია. როცა ასეთი განცხადება კეთდება, თემა სერიოზულად უნდა იყოს მომზადებული. რადგან ამ საქმის შორიდან მაყურებელი არ ვარ, შემიძლია გითხრათ: **ეს საკითხი მომზადებული არ არის ჩვენთან** და გეტყვით, რას ვგულისხმობ.

2015 წელს მივიღეთ კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, რომელშიც მეგრულისა და სვანურის თაობაზე წერია: **„სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენათა და კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე“ — აი, ეს არის კანონის ფორმულირება. კანონი ასე ხედავს სვანურსა და მეგრულს. ეს იმას ნიშნავს, რომ, რადგან, ეს ენები ქართულის სიცოცხლისუნარიანობის პირობაა, ამ პუნქტის რეალიზაცია უნდა მომხდარიყო თავის დროზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველური ენების შესწავლის, განვითარებისა და სწავლების პროგრამა უნდა შექმნილიყო ან სწავლულებისაგან შემდგარი კომისია უნდა შეკრებილიყო და ემსჯელათ, რა საჭიროებები, რა შესაძლებლობები გვაქვს ამისათვის.** არსებობს კითხვები, რომლებსაც ჯერ პასუხი უნდა გაეცეს და მერე უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება სკოლაში ამა თუ იმ საგნის შეტანის თაობაზე.

ერთი სიტყვით, **კანონში რაღაც ჩაიწერა და გაჩერდა. ამაზე, უწინარესად, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უნდა ზრუნავდეს. მით უფრო, რომ ქართულისა და ქართველური ენების შესწავლისა და სწავლების საკითხების მოგვარება დეპარტამენტს სამსახურეობრივად ევალება. კანონი მივიღეთ 2015 წელს, დეპარტამენტი დაგვიანებით შეიქმნა 2017 წელს, 5 წელია, არსებობს და რა გამოვიდა? — არც კანონი მუშაობს და არც დეპარტამენტი. იქნებ ამაზე ეფიქრა პრეზიდენტს!** მოდი, ესეც ვთქვათ — ეს საკითხი, უპირველესად, განათლების სამინისტროსა და პარლამენტის განათლების კომიტეტს ეხება. მათთან უნდა მოეთათბირა პრეზიდენტს, სანამ საზოგადოების ემოციების მოსასინჯად გაკეთდებოდა განცხადება... და კიდევ — სპეციალისტებს მოთათბირებოდა, როგორი მზადყოფნაა ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ნიადაგი ხომ უნდა მომზადდეს?

**ნებისმიერ მსგავს საკითხს ყოველთვის ეყოლება მომხრეც და მოწინააღმდეგეც; მთავარია, ან იმ მომხრეებს რა არგუმენტები აქვთ, ან მოწინააღმდეგეებს... მით უმეტეს, როცა დისკუსია დილეტანტების დონეზე მიმდინარეობს. შეიძლება პრობლემის გადაწყვეტაზე პრეტენზია ჰქონდეს კაცს, ჭანური და ლაზური ორი ენა რომ ჰგონია? ჩვენ გვიყვარს ემოციების დონეზე საკითხების განხილვა, მაგრამ, როგორც კი კითხვა ჩნდება, პასუხს ყველა თავს არიდებს...**

კიდევ ერთი საყურადღებო აქცენტი, რომელსაც განმარტება სჭირდება: **დღეს სოციალურ ქსელში ბრალდებაც კი ისმოდა, რომ საქართველოში ქართველური ენებისა და დიალექტების გარჩევა ჭირს. ესეც ემოციურ დისკურსს უნდა მივაწეროთ, თუ აქვს ამ აზრს საფუძველი? ეს იმიტომ ხდება, რომ ყველას აქვს პრეტენზია ყოვლისმცოდნეობისა.** ადრეც იყო ეგ საკითხი. დაახლოებით, 20-25 წლის წინათ წამოწიეს, რომ თითქოს ენასა და დიალექტს ვერ ვასხვავებთ ერთმანეთისგან, რომ სვანური და მეგრული ქართულის დიალექტია, ისეთივე, როგორც, მაგალითად, იმერული, კახური, ხევსურული და ა.შ. ესეც ხომ გამოგონილი (პოლიტიზებული) თემა იყო მაშინ? მოდი, კითხვა ასე დავსვათ — ქართულ ენათმეცნიერებას მსოფლიოში აღიარებული უდიდესი ავტორიტეტი რომ აქვს, ეს წყალობაა ჩვენი კლასიკოსებისა: **აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ქეთევან ლომთათიძის, გიორგი როგავას, თამაზ გამყრელიძისა და სხვა მრავალთა. ჩაიხედეთ მათ ნაშრომებში. ვინ უპირისპირდება? მოკლედ, არ არის ეს მეცნიერულად დაყენებული საკითხი. პოლიტიკა შემოერია. მეცნიერების პოლიტიზება კი მეცნიერებასაც დაღუპავს და პოლიტიკასაც.**

ისევ პრეზიდენტის ინიციატივას დავუბრუნდეთ. სალომე ზურაბიშვილის თქმით, სწორედ რუსიფიკაციის ორასწლოვანი პოლიტიკის შედეგია, რომ კავკასიური ოჯახის ენათა აბსოლუტური უმრავლესობა დღეს გაქრობის საფრთხის წინაშეა. ამ საფრთხის თავიდან აცილების მცდელობად მიიჩნევა სკოლებში მეგრული და სვანური ენების სწავლების პერსპექტივაც, მაგრამ არის კი ეს პრობლემის მოგვარების რეალური გზა?

ეს არის კითხვა, რომელსაც მანვე უნდა უპასუხოს, ვინც საკითხი დასვა საერთოდ. მე არ მგონია, რომ ეს საშველია. იცით, რა? **საუკუნე-ნახევრის ისტორია აქვს ეროვნულ სკოლას და ამით დავიწყეთ საუბარი, რომ ქართულის სწავლება კატასტროფულ მდგომარეობაშია...** ამ ახალ ინიციატივაზე ძალიან მარტივი პრაქტიკული კითხვები დავსვათ: რა კადრები გყავს? ვინ ასწავლოს? რით ასწავლოს? როგორ ასწავლოს და ა.შ. — ეს საკითხები მოგვარებულია? უაზროდ და უსისტემოდ დაწყებული საქმე თავშივე წამხდარია. სანამ ეგ საკითხები მოგვარდება, რამდენი წელი გავა? ხომ არ სჯობს, ისევ ამ ენების შესწავლის, მოვლისა და პატრონობის პროგრამები შევადგინოთ და იქვე გამოიკვეთოს სკოლაში სწავლების აუცილებლობაც და საჭიროებებიც; გზებიც დავსახოთ ამისათვის?

«სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემურ საკითხს სახელმწიფო კი არ წყვეტს «კანონისა» და «სტრატეგიის» შესაბამისად, არამედ რომელიღაც რექტორი თუ ლექტორი, რომლებსაც ქართული ენა ნამდვილად არ ადარდებთ.... ქართული რომ სახელმწიფო ენაა და არ არის რიგითი საგანი, ეს ხომ მარტივი ჭეშმარიტებაა და არ არის ამა თუ იმ რექტორისა თუ ლექტორის გადასაწყვეტი მისი არსებობის საკითხი»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**უზრდელები, მოჩხუბრები, უკულტუროები ნაბიჯ-ნაბიჯ, გინებ-გინებით მიიწევენ წინ. მერე კი გიკვირთ, მოსახლეობას რატომ ექცევიან ასე სასტიკადო? ეს იმიტომ, რომ ერთმანეთს არ სცემენ პატივს, ერთმანეთს აგინებენ და მუშტს უღერებენ და რიგითი ამომრჩეველი ვინ უგდიათ? მისცემენ არჩევნებზე 50 ლარს და ეგაა... ბოდიში, მისცემენ არა — გადაუგდებენ.**

პოლიტ-სამზარეულო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნულების «პარადი» საქართველოში

**რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთმა პარლამენტარმა ქალმა სტუდიაში ოპონენტი მამაკაცის საცემად გაიწია და ხელი დაარტყა კიდეც. მანამდე და მერეც, უკვე სხვა გადაცემაში, პოლიტიკოსმა მამაკაცებმა დასცხეს ერთმანეთს, წყლით სავსე ჭიქები ესროლეს. ისე, კარგია, ტელევიზიები რომ მიხვდნენ და მოწვეულ სტუმრებს წყალს ქაღალდის ჭიქებში რომ უსხამენ, თორემ შუშის ან ფაიფურის ჭიქებით ატყდებოდა თავების მტვრევა და ერთმანეთისთვის ნამსხვრევების შეყრა... სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, ისიც ვთქვათ, რომ პარლამენტარი ქალის მოქნეული მუშტი არ გააპროტესტა ბაია პატარაიამ, მაგრამ, პირიქით რომ ყოფილიყო, ეს ქალზე ძალადობა იქნებოდა და არასამთავრობოები რუსთაველზე „ლეიბებს გაშლიდნენ და გაწვებოდნენ...“ მაგრამ ეს სხვა დროს...**

ახლა ერთი კაცის მიერ გაკეთებულ რამდენიმე განცხადებას გაგაცნობთ და დასკვნებზე შემდეგ ვისაუბროთ.

„მძიმე დღეშია „ქართული ოცნება“, მაგრამ უარეს დღეშია ოპოზიცია, ქართული ოპოზიცია არის სხვაგან, საქართველო და ქართველი ხალხი — სხვაგან... რას იმართლებენ თავს? რისი რევოლუციის თავი აქვს ამ ოპოზიციას? ყველას ვიცნობ, პატივს ვცემ, მაგრამ არც ერთი არ ჰგავს რევოლუციონერს. ხელისუფლებაც კარიკატურაა და ოპოზიციაც... ქართველი ხალხი, დიდი ხანია, მზად არის ცვლილებებისთვის, ძალიან მალე, ქართველი ხალხი განაჩენს გამოუტანს როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. არის ერთი დიდი პარტია, „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ მას სხვა პრობლემები აქვს, მაგრამ მარტო „ნაციონალური მოძრაობა“ არ ჰყოფნის ვითარების გამოცვლას. თანაც, „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ არის გამტარი მიხეილ სააკაშვილსა და ქართველ ხალხს შორის...“

როგორ გონიათ, ვინ არის ამ განცხადებების ავტორი? გაგიკვირდებათ და... **გუბაზ სანიკიძე.** გაგიკვირდებათ იმიტომ, რომ სანიკიძეს საქართველოს გადარჩენის მთავარ ამოცანად ხელისუფლების შეცვლა და ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნება ჰგონია; იმ ნაციონალების, რომლებსაც თავის დროზე არათუ ოპოზიციაში ედგა, არამედ ნიურნბერგის პროცესს უმზადებდა და მთავარ დამნაშავედ **მიხეილ სააკაშვილი** ჰყავდა დასახელებული. ახლა კი გული სწყდება, რომ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ და მიშა ამ ხელისუფლებას ვერ ცვლიან, დანარჩენ პარტიებს კი თურმე ნულოვანი რეიტინგი აქვთ, ანუ, როგორც ბატონი გუბაზი, ამბობს, **„დღეს ნულების პარადია საქართველოში...“** სიმართლე გითხრათ, ვერ გეტყვით, თვითონ გუბაზ სანიკიძეს რა რეიტინგი აქვს და ასცდება თუ არა ნულს, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

**სანიკიძეც კი მიხვდა, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი აღარ არსებობს. სანიკიძე იმიტომ ვახსენეთ, რომ საქართველოში ასეა — პოლიტიკაში რომ მიდიხარ, ან სიკვდილამდე რჩები, ან გიჭერენ, წასვლის სხვა გზას ქართველი პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილი, უბრალოდ, ვერ და არ ხედავს. ჰოდა, ბატონი გუბაზი 55 წლისაა და, რაღა თქმა უნდა, წასვლაზე არ უნდა ფიქრობდეს, მაგრამ ისიც კი მიხვდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რომ ერთ ადგილსაც კი ვეღარ ვტკეპნით, რადგან გასატკეპნი არაფერია, ამიტომ საუბარობს ხმამაღლა სანიკიძე რევოლუციაზე, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ ამ საქმიდან ჯერჯერობით მაინც არაფერი გამოვა.** ისე, რევოლუციაზე საუბარიც კი სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ გამოცდილმა პოლიტიკოსმა იცის, მას არავინ დაიჭერს, ოპოზიციას ყველაფერის უფლება აქვს, მთავარია, სახელისუფლო გუნდს რეალურად არ დაემუქროს საფრთხე, თორემ **სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი განცხადება კი არა, აგერ, დეპუტატმა ქალმა პირდაპირ ეთერში იხულიგნა, ოპონენტი ცემა და იმას არ ეუბნებიან არაფერს, პირიქით, ტაშიც კი დაუკრა ზოგიერთმა.** ესეც ქართული პოლიტიკის სენია — რაც უფრო მეტად იგინები და ჩხუბობ საჯაროდ და სახალხოდ, მით მეტად გიწვევენ ტელევიზიებში, რეიტინგი რომ დაწეროს გადაცემამ, ხალხს ხომ სეირის ცქერა მოსწონს და **უზრდელები, მოჩხუბრები, უკულტუროები ნაბიჯ-ნაბიჯ, გინებ-გინებით მიიწევენ წინ. მერე გიკვირთ, მოსახლეობას რატომ ექცევიან ასე სასტიკადო? ეს იმიტომ, რომ ერთმანეთს არ სცემენ პატივს, ერთმანეთს აგინებენ და მუშტს უღერებენ და რიგით ამომრჩეველი ვინ უგდიათ? მისცემენ არჩევნებზე 50 ლარს და ეგაა... ბოდიში, მისცემენ არა — გადაუგდებენ.** არ გეგონოთ, რომ სანიკიძე ამ საქმეში მარტოა. **ყველა პოლიტიკოსი ხვდება, რომ წასვლის დროა, რომ მათ საკუთარი თავი ამოწურეს, რომ არაფრის გამკეთებლები აღარ არიან და ქვეყანასაც ვერ გამოიყვანენ იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც არის, მაგრამ სად წავიდნენ, კიდევ სად იშოვება უშრომლად ამდენი ფული?! — არსად და ამიტომ სკამებს მანამდე ებღაუჭებიან, სანამ ამის შანსი აქვთ, და იმ სკამებში ჩასაჯდომად საკუთარ შვილებს ამზადებენ. შვილებმა, თავის მხრივ, გადასარევად იციან, როგორ იშოვეს მშობლებმა მილიონები და ხვდებიან, რომ ეს კარგი შანსია, ამიტომ გამოდიან აქციებზე, ყვირიან, ხელებს იქნევენ, ანუ იქცევიან ზუსტად ისე, როგორც მათი მშობლები.** ფორმულა მუშაობს — ამ ბავშვებს, მომავალ პოლიტიკოსებს, აჩვენებენ ტელევიზიით, პოპულარიზაციას უწევენ, ამზადებენ... რიგითი ადამიანებისთვის იქ ადგილი, უბრალოდ, არ არის, რადგან მსუყე ტორტის ნაჭერს სხვას არ შეახვედრებენ, ისევ თვითონ უნდა მიირთვან...

ამ ამბავსა და ჯაჭვში ყველაზე საინტერესო დასავლეთის დამოკიდებულებაა. **დასავლურმა განათლებამ შექნა ერთგვარი აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ ქართულ პოლიტიკაში ადგილი დაიმკვიდრო, რომ მისაღები იყო ევროპისთვის და ამერიკისთვის. არადა, სწორედ მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდა თაობა იღებს განათლებას ევროპასა და ამერიკაში, ხდება მათი გადაბირება, დასავლურ თარგზე მოჭრა და ქართული ღირებულებების გაქრობა. დასავლეთში განათლებამიღებულმა გოგო-ბიჭებმა ზუსტად იციან, არასამთავრობო ორგანიზაციების „ფასი“; იციან ისიც, რაზე უნდა დახუჭონ თვალი, რაზე უნდა იყვნენ შემწყნარებლები და მერე რა, თუ ეს ყველაფერი არც ქართულ მენტალიტეტში ჯდება და არც ქართულ ტრადიციებში, მაგრამ მთავარი ხომ სკამია, ის სკამი, რომელიც მის მამას, დედას ან ბიძას ეკავა და ახლა მისი დრო მოვიდა.**

კონკრეტული მაგალითი ვთქვათ: როცა „ნაციონალური მოძრაობა“ წავიდა ხელისუფლებიდან და მიხვდნენ, ოდიოზური ფიგურები უნდა გადაემალათ, ხომ ყველას გეგონათ, რომ **აკაკი მინაშვილი, გოკა გაბაშვილი, გივი თარგამაძე** და სხვები პოლიტიკიდან წავიდნენ, უბრალოდ გაქრნენ... მაგრამ არა, როგორც კი „პოლიტიკური სისხლის“ სუნი იკრეს, მაშინვე დაბრუნდნენ და პრეტენზიები კვლავ გამოაცხადეს, კვლავ ხელისუფლებაში ყოფნა სურთ და **მერე რა, რომ სწორედ ხელისუფლებაში მათი ყოფნა ხალხმა ერის გენოციდად შერაცხა.** სამაგიეროდ, ოჯახის ბიუჯეტი გაზარდეს, სახლები, ავტომობილები და ბიზნესი დალაგებულ-ჩალაგებულია ისე, მათ რამდენიმე თაობას ეყოფა, მაგრამ მონაპოვარს თუ არ შემატე, ისე რა გამოვა? **ამ ხალხმა სხვა რამის კეთება არ იცის, პოლიტიკას რომ ჩამოაშორო, შეიძლება შიმშილით სული გასძვრეს, რადგან პურის ფულსაც ვერ იშოვნის.** ამ დროს კი არსებობს მაგიური სიტყვები: პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი, დეპარტამენტი... ეს სიტყვები მთელი ცხოვრება ესმოდათ მათ შვილებს და აღარ შეუძლიათ მათ გარეშე ცხოვრება. აგერ, როგორც იქნა, წყნეთის სამთავრობო აგარაკები გაიყიდა, ჯამში, 47 მილიონ ლარად და ზუსტად ვიცით, 20 მილიონის აგარაკი ერთ-ერთი მინისტრის მოადგილის ძმას „მოუჭრეს“ და მიართვეს. ვერც გაამტყუნებ, მიჩვეულია იქ ცხოვრებას, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან, იქ დაზარდა ბავშვები და იყოს, რას უშლის. ჰო, 20 მილიონი არ არის ცოტა, მაგრამ არც ისე ბევრია, ბავშვებს რომ გული დასწყდეთ ამის გამო.

მოვლენებს თუ რეალურად შევხედავთ, **ედუარდ შევარდნაძის** შემდეგ სერიოზული პოლიტიკოსი საქართველოს არ ჰყოლია. ახლა ვიღაც იტყვის, **მიხეილ სააკაშვილიო?** ჩვენ პოლიტიკოსებზე ვსაუბრობთ და არა ავანტიურისტებზე. პოლიტიკა სხვა რამეა, პოლიტიკას უდიდესი გამოცდილება და ცოდნა უნდა, ინტელექტი და კულტურაც უნდა და ეს რომ ჰქონდეთ დღევანდელ პოლიტიკოსებს, შოუებში ხელ-ფეხის ქნევასა და გინებას არ დაიწყებდნენ. გაიხსენეთ შევარდნაძის მოქნეული ხელი ან უწმაწური სიტყვა? ვერ გაიხსენებთ, რადგან სწორედ ასე კეთდება პოლიტიკა, ღიმილით და კეთილი თვალებით.

**„პოლიტიკური მაგიდა არ არის საინტერესო ქართველი ხალხისთვის“,** — ესეც სანიკიძემ თქვა და მართალიცაა. მაგიდამ რომ დაგაინტერესოს, კერძების გარდა, მაგიდის წევრებიც მისაღები უნდა იყოს შენთვის და ახლა ჩამოთვალეთ ერთი ხელის თითებზე, რამდენი პოლიტიკოსია თქვენთვის მისაღები და მიხვდებით, რომ პოლიტიკური მაგიდა ნიხლით უნდა ააყირავოთ. ჰო, წიხლით, რადგან სხვას არ იმსახურებენ.

**ლევან გაბაშვილი**



**გუბაზ სანიკიძეც კი მიხვდა, რომ ქართლი პოლიტიკური სპექტრი აღარ არსებობს. სანიკიძე იმიტომ ვახსენეთ, რომ საქართველოში ასეა — პოლიტიკაში რომ მიდიხარ, ან სიკვდილამდე რჩები, ან გიჭერენ, წასვლის სხვა გზას ქართველი პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილი, უბრალოდ, ვერ და არ ხედავს. ჰოდა, ბატონი გუბაზი 55 წლისაა და, რაღა თქმა უნდა, წასვლაზე არ უნდა ფიქრობდეს, მაგრამ ისიც კი მიხვდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რომ ერთ ადგილსაც კი ვეღარ ვტკეპნით, რადგან გასატკეპნი არაფერია, ამიტომ საუბარობს ხმამაღლა სანიკიძე რევოლუციაზე, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ ამ საქმიდან ჯერჯერობით მაინც არაფერი გამოვა**

**ყველა პოლიტიკოსი ხვდება, რომ წასვლის დროა, რომ მათ საკუთარი თავი ამოწურეს, რომ არაფრის გამკეთებლები აღარ არიან და ქვეყანასაც ვერ გამოიყვანენ იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც არის, მაგრამ სად წავიდნენ, კიდევ სად იშოვება უშრომლად ამდენი ფული?! — არსად და ამიტომ სკამებს მანამდე ებღაუჭებიან, სანამ ამის შანსი აქვთ და იმ სკამებში ჩასაჯდომად საკუთარ შვილებს ამზადებენ. შვილებმა, თავის მხრივ, გადასარევად იციან, როგორ იშოვეს მშობლებმა მილიონები და ხვდებიან, რომ ეს კარგი შანსია, ამიტომ გამოდიან აქციებზე, ყვირიან, ხელებს იქნევენ, ანუ იქცევიან ზუსტად ისე, როგორც მათი მშობლები**

პური ჩვენი არსობისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები რამდენიმე გლეხს უკვე შეუთანხმდნენ და საადრეო ხილს, რომელიც, ძირითადად, რუსეთში იყიდება, კონკრეტული ადამიანები აღარ გაიტანენ და კამერების წინ იტყვიან, რომ რუსეთში პროდუქციას არ გაყიდიან, გააფუჭებენ, დაალპობენ და მტერს არ გაუგზავნიან. რეალურად კი, იმ 3-4 გლეხისგან პროდუქციას ნაციონალები შეისყიდიან, შინ წაიღებენ და პოლიტიკურ ამბავსაც მარტივად გამოაცხობენ.**

# 1 მაისიდან პური კიდევ გაძვირდება

**ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია, პურის მრეწველთა კავშირი, მოკლედ, ყველა, ვისაც პურთან შეხება აქვს, აცხადებს, რომ 1 მაისიდან პურის ფასი მოიმატებს. სავარაუდო მატებად მწარმოებლები 20 თეთრს ასახელებენ და ასაბუთებენ კიდეც, რატომ გაძვირდება მთავარი საკვები პროდუქტი.**



**ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ხორბლისა და ფქვილის ბიზნესში არიან ჩართულნი (არ თქვათ, არაო, თორემ გვარ-სახელებით ჩამოვწერთ), ცდილობენ, ამ გაჭირვების დროსაც კი ფული იშოვონ და კონკურენტებს ხორბალი იმავე რუსეთისგან ძვირად აყიდინონ, თვითონ იაფად შეიძინონ და სახელმწიფო სუბსიდიაც, პრაქტიკულად, სათავისოდ აამუშაონ. ამ კინკლაობაში კი, შესაძლოა, იქამდე მივიდეთ, სავალდებულო ორთვიანი მარაგები ამოიწუროს, რუსეთმა კი საქართველოსთვის ხორბლის გაყიდვაზე უარი თქვას. უარი თქვას თუნდაც იმ მოტივით, რომ საქართველოს ხელისუფლება მწვავე განცხადებებს აკეთებს და სანქციებზეც მიანიშნებს**

„მარტის შემდეგ, ანუ როდესაც საბაჟო გაიხსნა რუსეთთან, ერთი ტომარა ფქვილის ღირებულება 75 ლარი იყო, ანუ მოიმატა. ადგილზე ფქვილი 80 ლარი ღირს. ამას დავუმატოთ ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, ხელფასების, დისტრიბუციისა და სახელმწიფოს გადასახადები და ეს ყველაფერი სწორედ საბოლოო ფასს ურტყამს. თუ რუსეთიდან შემოსული ფქვილი დაბალი ფასის იქნება, ჩვენ ძველ ფასს შევინარჩუნებთ, მაგრამ, თუ 75 ლარი შენარჩუნდება, მაშინ ღირებულების გაზრდა მოგვიწევს“, — ეს განცხადება „პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე **მალხაზ დოლიძემ** გააკეთა.

სხვათა შორის, როცა ფასის მატებაზე დაიწყო საუბარი და მარტში პირველი პარტია გამოჩნდა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **გიორგი ხანიშვილმა** განაცხადა, სახელმწიფო დაფიქრდება სუბსიდიაზე, რადგან პურის ფასი უნდა შევინარჩუნოთო. ეს ყველაფერი ხანიშვილმა ერთი თვის წინათ თქვა, მას შემდეგ კი არ დაუკონკრეტებია, სახელმწიფო ფიქრობს, გადაიფიქრა, თუ, საერთოდ, არ აინტერესებს. მინისტრის მოადგილე პოლიტიკური ფიგურაა და ის კი არ თქვა, ეგებ რუსეთს დაველაპარაკოთ, ფასი დასწიოს, ამის შესაძლებლობა აქვსო... არა, სუბსიდიაზე ვიფიქრებთო... ამ სუბსიდიას ისე თამამად ახსენებენ მაღალჩინოსნები, გეგონებათ, ფულს საკუთარი ჯიბიდან იხდიან. არადა, ფული ბიუჯეტიდან მიდის, იმ ბიუჯეტიდან, რომელსაც ჩვენ ვავსებთ და ჩვენვე გვაკლდება. **ფასნამატს ისევ ჩვენი ფულით იხდის სახელმწიფო, ანუ ჩვენს ჯიბეში ყოფს ხელს, იხდის და თან გვამადლის, — აგერ, თქვენი ფულით ფასი შევინარჩუნეო. მერე რა, რომ ეს ფული სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებს აკლდება, ამას ვერ გავიგებთ, ხოლო, პური რომ გაძვირდეს, მივხვდებით.**

**ხელისუფლება მიეჩვია, რომ პროდუქტი ყოველდღიურად ძვირდება და ხმას არავინ იღებს. კომენტარსაც კი აღარ აკეთებენ გაძვირებულ პროდუქტებზე და ეს მას შემდეგ უფრო შეიმჩნევა, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო. ჰო, სწორედ სასაცილო მდგომარეობაში, რადგან მთავრობის სხდომაზე განაცხადა: საწვავის შემომტანებს, მინდა, ვთხოვო, ფასებს გადახედონ და შეძლებისდაგვარად დაწიონ, მოქალაქეებმა შეძენა რომ მოახერხონ და შეღავათი იგრძნონო.** განცხადებიდან მეორე დღეს ბენზინის ფასმაც მოიმატა და დიზელის ფასმაც. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბიზნესს სულ არ აინტერესებს, რას იტყვის ქვეყნის პირველი პირი? ნიშნავს და **რა ჰქვია ასეთ დამოკიდებულებას?** — ჰო, ეგ ჰქვია!

ამ ვითარებაში უკრაინა კვლავ გვიკიჟინებს, რუსეთს სანქციები დაუწესეთო. იმავე აზრზეა ევროპა და ამერიკაც — არიქა, რუსეთის ეკონომიკა უნდა ჩამოვშალოთ, დეფოლტის ზღვარზე არიანო (ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, რუსეთი დეფოლტის მდგომარეობაშია — ეს ჩვენ ვიცით, რუსებმა არაო). რეალურად კი, **საკმარისია, საქართველო სანქციებს შეუერთდეს და ჩვენი ეკონომიკა ისე ჩამოინგრევა, მის აშენებას ათეული წლები დასჭირდება.** დეფოლტს რაც შეეხება, რუსულმა მხარემ უკვე მიმართა ლამის 200-მილიონიან ბრაზილიას, მხარში ამოგვიდექით, სავაჭრო ურთიერთობები ავაწყოთო და თანხმობაც მიიღო. აქეთ 200-მილიონიანი ბრაზილია, ევროპის რამდენიმე ქვეყანა (სერბეთ, უნგრეთი), იქით ლამის 2-მილიარდიანი ჩინეთი და რუსული ეკონომიკა ყველაფერს მარტივად გადაჭრიან. **და ვინ გაიჭყლიტება? სწორია — საქართველო.**

**ჩვენი წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები რამდენიმე გლეხს უკვე შეუთანხმდნენ და საადრეო ხილს, რომელიც, ძირითადად, რუსეთში იყიდება, კონკრეტული ადამიანები აღარ გაიტანენ და კამერების წინ იტყვიან, რომ რუსეთში პროდუქციას არ გაყიდიან, გააფუჭებენ, დაალპობენ და მტერს არ გაუგზავნიან.** რეალურად კი, იმ 3-4 გლეხისგან პროდუქციას ნაციონალები შეისყიდიან, შინ წაიღებენ და პოლიტიკურ ამბავსაც მარტივად გამოაცხობენ. ამ ყველაფერს ოპოზიციური არხები შეფუთავენ, დაატრიალებენ და დასავლეთი დაინახავს, რომ საქართველო რუსეთში პროდუქტის შეტანაზე უარს ამბობს, შედეგად კი არც იქიდან მოისურვებს რამის მიღებას. და ვინ დარჩება წაგებული? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **მხოლოდ რუსეთის დედაქალაქში იმაზე ხუთჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე მთლიანად საქართველოში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ დაწესებულ სანქციებს რუსეთი ფიზიკურად ვერ იგრძნობს, ჩვენ კი... ჩვენ ხელს გავიწვდით, ევროპა-ამერიკის კარზე დავიწყებთ კაკუნს და გვერწმუნეთ, ზუსტად ისე გაგვიღებენ, როგორც ეს ნატოსა და ევროკავშირის შემთხვევაში მოხდა. ხომ გვიმტკიცებდა დასავლეთი: ოღონდ რუსეთს ჩაეხსენით, ოღონდ სანქციებს შემოუერთდით და ყველაფერში გვერდით დაგიდგებითო?** სად არის დაპირებული ხორბლის ახალი ბაზარი? სად არის დაპირებული პურის ფქვილი? თუ დასავლეთი ყველაფერში გვერდით გვიდგას, რატომ არის, რომ ქართველი მეწარმეები უიმედოდ შლიან ხელებს და ერთადერთ რეალურ მომწოდებლად კვლავ რუსეთი ჰყავთ?

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დასავლეთს სურს, მთლიანად ჩავეხსნათ რუსეთს, შემდეგ კი, დამშეული ხალხი ქუჩაში რომ გამოვა, მთავარ მტრად სწორედ რუსეთი გამოუცხადონ და კავკასიაში მართლა გაუხსნან ყბადაღებული მეორე ფრონტი. ასეთ შემთხვევაში, არამხოლოდ ეკონომიკა, არამედ ინფრასტრუქტურაც ზუსტად ისე ჩამოიშლება, როგორც უკრაინაში და, საბოლოო ჯამში, საუკუნოდ გავხდებით დამოკიდებული ევროპა-ამერიკასა და მათ დახმარებაზე. **მოესურვებათ და ნახევარ საათში შეცვლიან ხელისუფლებას და მთლიანად მოგვაქცევენ თავიანთი გავლენის ქვეშ, რადგან რუსეთთან მისასვლელი პირი აღარ გვექნება, მათთვის კი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მათხოვრები ვიქნებით.**

ლამის შუაგულ ევროპაშია სერბეთი, იქვეა უნგრეთი და მათ ლიდერებს ისე არ „აწვებიან“, როგორც საქართველოს. არადა, სერბეთისა და უნგრეთის ეკონომიკა საქართველოსაზე გაცილებით ძლიერია, მეტი შესაძლებლობებიც აქვს, მაგრამ მაინცდამაინც საქართველოა სამიზნეში ამოღებული, იმიტომ, რომ რუსეთს ესაზღვრება; იმიტომ, რომ აქედან უფრო მარტივია რუსეთის გაღიზიანება; იმიტომ, რომ, თუ საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზა განთავსდება... ადრეც გვითქვამს, ახლაც გავიმეორებთ — დასავლეთს საქართველო ერთადერთ რამედ სჭირდება — პოლიგონად, და პოლიგონზე კი მოსახლეობა არ ცხოვრობს.

ისევ პურს და მის ფასს დავუბრუნდეთ. **ძალიან დიდი იყო შანსი იმისა, რომ რუსეთთან ამ პირობებშიც კი მოლაპარაკებები გამართულიყო და პურის ფასზე შეთანხმება მომხდარიყო. ამ ნაბიჯის გადადგმა ავტომატურად ნიშნავდა იმას, რომ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა დაიწყო და შემდეგ უკვე საუბარი პირდაპირ ფრენებსა და უვიზო რეჟიმზეც იქნებოდა. შედეგად მივიღეთ უკრაინაში სასწრაფო წესით წასული 2 დელეგაცია და იქ გაკეთებული მკაცრი განცხადებები, რომლებმაც რუსეთთან საუბრის შესაძლებლობა მოსპო. სამაგიეროდ, აქ მაღალჩინოსნები ცდილობენ ხელის მოთბობას და ისევ ჩვენს ხარჯზე, ისევ ჩვენი ფულით.**

„დღეს ხორბალი ვინმემ რომ შემოიტანოს, ეს მისთვის რისკია. თუ სახელმწიფო სუბსიდირებას 1 მაისიდან გამოაცხადებს, ავტომატურად, სუბსიდირების პროგრამაში ის სუბიექტები ჩაერთვებიან, რომლებიც ხორბალს სწორედ გამოცხადების შემდეგ შემოიტანენ. გამოვა ისე, რომ, მაგალითად, 30 აპრილს 400 დოლარად ნაყიდი ერთი ტონა ხორბალი არ დასუბსიდირდება, 1 მაისს ნაყიდი — კი. სწორედ ამიტომ დღეს წისქვილები ხორბლის შემოტანას ვერ რისკავენ და სახელმწიფოს წინადადებას ელოდებიან“, — განაცხადა ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა **ლევან სილაგავამ.** ძაღლის თავიც აქ არის დამარხული — **ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ხორბლისა და ფქვილის ბიზნესში არიან ჩართულნი (არ თქვათ, არაო, თორემ გვარ-სახელებით ჩამოვწერთ), ცდილობენ, ამ გაჭირვების დროსაც კი ფული იშოვონ და კონკურენტებს ხორბალი იმავე რუსეთისგან ძვირად აყიდინონ, თვითონ იაფად შეიძინონ და სახელმწიფო სუბსიდიაც, პრაქტიკულად, სათავისოდ აამუშაონ. ამ კინკლაობაში კი, შესაძლოა, იქამდე მივიდეთ, სავალდებულო ორთვიანი მარაგები ამოიწუროს, რუსეთმა კი საქართველოსთვის ხორბლის მიყიდვაზე უარი თქვას; უარი თქვას თუნდაც იმ მოტივით, რომ საქართველოს ხელისუფლება მწვავე განცხადებებს აკეთებს და სანქციებზეც მიანიშნებს.**

ილუზია იმის შესახებ, რომ დღეს-ხვალ რუსეთის ეკონომიკა განადგურდება, ქვეყანა დაიშლება, სწორედ დასავლეთმა შექმნა. ანალოგიური რამ მოხდა 2014 წელსაც, როცა რუსეთი სანქციებით ვითომ წელში გაწყვიტეს, იზეიმეს კიდეც რუსული ეკონომიკის ჩამოშლა და „წელში გაწყვეტილი“ რუსეთი მსოფლიო ბაზარზე ხორბლისა და სიმინდის მთავარ მწარმოებლად დაბრუნდა. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დასავლეთი კვლავ ძველ გაკვალულ გზას მიუყვება, ანუ სურს, ვილაცები დაარწმუნოს, რომ ამჯერად მართლა ყველაფერი რიგზეა და... **ღარიბაშვილმა ხომ თქვა, მე მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებო, იმედია, ამ სიტყვას არც ის და არც ხელისუფლების დანარჩენი წევრები არ გადავლენ.**

**ალექსანდრე მუმლაძე**

**თეთრიწყაროს რაიონში მიწის გასაყიდი ფასი სოფელ კოდასა და დაბა მანგლისში ერთი და იგივეა, გასაყიდი ფასები დადგენილია ქართველი ფერმერის ეკონომიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით, რაც უცხოელს საშუალებას მისცემს, ჩალის ფასად ჩაიგდოს ხელში ქართული მიწები. მიწების უცხოელებზე გაყიდვის მომხრეები იძახიან: „გავიყიდოთ მიწები თან ხომ არ წაიღებენო“. თან არ წაიღებენ, მაგრამ მე-19 საუკუნეში ლაგოდეხში ვაჩნაძეების ოჯახმა სამი აზერბაიჯანელი ოჯახი ჩამოასახლა საკუთარი საქონლის სამწყემსავად. ეს სამი ოჯახი 10 ათასი მცხოვრებია დღეს და სოფელი კაბალი ყველაზე დიდი სოფელია ლაგოდეხში. ანალოგიური რამ მოხდა სამაჩაბლოში.**

მიმართვა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღია წერილი რომან გოცირიძეს

**ბატონო რომან, გამოვხატავ რა თქვენდამი პატივისცემას, მინდა, დაგისვათ შეკითხვა თქვენი იმ შეკითხვის გამო, რომელიც პარლამენტის სხდომაზე დაუსვით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ ოთარ შამუგიას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე გაყიდვის შესახებ.**

ვიცი თქვენი დადებითი პოზიცია უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მიწების მიყიდვის შესახებ, მაგრამ იცით თუ არა, რამდენი ჰექტარი მიწა აქვს საქართველოს დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით? ნება მომეცით, ჩემს შეკითხვას თვითონ გავცე პასუხი, რადგან, არათუ თქვენ, **ვერავინ გვეტყვის, საქართველოში რამდენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გვაქვს დანიშნულებისა და კატეგორიების (კულტურების) მიხედვით.**

მინდა. შეგახსენოთ, რომ 2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულების, კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს. **მას შემდეგ, რაც 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმოწყობის სამეცნიერო კვლევითი-საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევისა და სხვა მიმდინარე სამუშაოები, შეწყდა მიწის ბალანსის წარმოება. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში აღარ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია ქვეყანაში** — მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალური თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით; **არ ვიცით, რამდენი ჰექტარი ვენახი, ხილის ბაღი, ჩაი, ციტრუსი და სხვა კულტურები გვაქვს; არ არის დაზუსტებული საზღვრები რუსეთთან აზერბაიჯანსა და სომხეთთან. საინტერესოა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2012 წელს როგორ შეიმუშავა „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022 ს.ს.“, როდესაც არ იცოდა და არ იცის, რამდენი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს კულტურებისა და საკუთრების მიხედვით?!** არ სრულდებოდა საქართველოს კანონები: „ნიადაგების დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“; არ ვიცით, რამდენი ჰექტარი მიწის ფართობი გვაქვს, მათ შორის რამდენია სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი და საძოვარი;. არ ვიცით, რამდენია კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში; რას ვყიდით და რამდენად ვყიდით?!

არ არსებობს მიწის ბონიტირება, არ ვიცით მიწის ფართობების ხარისხობრივი (ნაყოფიერების) მონაცემები რაიონებისა და რაიონში სხვადასხვა ადგილას. შედეგად, მთავრობის მიერ დადგენილი მიწის გასაყიდი ფასები არ არის რეალური. მაგალითად, **თეთრიწყაროს რაიონში მიწის გასაყიდი ფასი სოფელ კოდასა და დაბა მანგლისში ერთი და იგივეა, გასაყიდი ფასები დადგენილია ქართველი ფერმერის ეკონომიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით, რაც უცხოელს საშუალებას მისცემს, ჩალის ფასად ჩაიგდოს ხელში ქართული მიწები. მიწების უცხოელებზე გაყიდვის მომხრეები იძახიან: „გავიყიდოთ მიწები, თან ხომ არ წაიღებენო“. თან არ წაიღებენ, მაგრამ მე-19 საუკუნეში ლაგოდეხში ვაჩნაძეების ოჯახმა სამი აზერბაიჯანელი ოჯახი ჩამოასახლა საკუთარი საქონლის სამწყემსავად. ეს სამი ოჯახი 10 ათასი მცხოვრებია დღეს და სოფელი კაბალი ყველაზე დიდი სოფელია ლაგოდეხში. ანალოგიური რამ მოხდა სამაჩაბლოშიც.**

დედამიწაზე მოსახლეობის ზრდის შედეგად საკვების შემცირების პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს, პირველ რიგში, ეხება მიწას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას. არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. **ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება.**



**მას შემდეგ, რაც 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმოწყობის სამეცნიერო კვლევითი-საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევისა და სხვა მიმდინარე სამუშაოები, შეწყდა მიწის ბალანსის წარმოება. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში აღარ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია ქვეყანაში**

**შვეიცარიაში** მიწის შეძენა დაშვებულია სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. **გერმანიაში** უცხოელს მიწის შეძენა შეუძლია სპეციალური კომისიის ნებართვით. **ავსტრიის** სახელმწიფოში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. **დანიის** კანონმდებლობით ქონების შეძენა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. არარეზიდენტს ქონების შეძენა შეუძლია, თუ ისინი არიან ევროკავშირის წევრები და მუშაობენ დანიაში. **რუმინეთში** უცხოელის მიერ მიწის ნაკვეთის შეძენა შესაძლებელია ქვეყნებს შორის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით, თუ მეორე ქვეყანაც რუმინეთის მოქალაქეებს ანალოგიურ უფლებებს მისცემს. როგორც ცნობილია, საქართველოდან მილიონზე მეტი მოქალაქე გასულია უცხოეთში სამუშაოდ, რადგან აქ ვერ პოულობს სამუშაოს, ხოლო მიწაზე ფერმერობა დღეს არ არის შემოსავლიანი. ეს დროებითი პროცესია. მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, ეს მოქალაქეები როცა დაბრუნდებიან საქართველოში მათ ქართული მიწები უცხოელებზე გაყიდული დახვდებათ. აფხაზეთში, **აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა არ ყიდის უცხოელებზე მიწებს.**

საქართველოში ერთ ჰექტარ საძოვარზე ნორმით უნდა ძოვდეს ერთი ძროხა და ორი ცხვარი. 1992 წლამდე, როცა ჩვენს მუდმივ სარგებლობაში იყო ყიზლარის (კაჩუბეი) ნახევარი მილონი ჰექტარი მიწის ფართობები, ჩვენი საძოვრები გადატვირთული იყო. მას შემდეგ მდგომარეობა კი არ გაუმჯობესებულა, არამედ საგრძნობლად გაუარესდა. საქართველოში როდესაც აღირიცხებოდა 800 000 ჰექტარი სახნავი მიწა, მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 0.16 ჰა სახნავი მიწა (ნორმა 0.5 ჰა), რაც მსოფლიოში ყველაზე დაბალია. დღეს არათუ გაუმჯობესებულია მდგომარეობა, არამედ კატასტროფულადაა გაუარესებული. 2004 წლის მონაცემებით, საქართველოს მთელი ტერიტორიის 54% უკავია მთებს, 33% — მთის წინებს, მხოლოდ 13% არის დაბლობი. საქართველოში მთელი ტერიტორის 44% გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, უკრაინაში — 91%, ჩრდილოეთ კავკასიაში — 88%. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სახნავია 26%, უკრაინაში — 80.6%, მოლდოვაში — 73.1%.

**ბიბლიაში წერია: „მიწა არ უნდა გაიყიდოს, თუ შენი მოძმე გაღარიბდება და მიწას გაყიდის, მოვიდეს მისი ნათესავი და გამოისყიდოს“.**

ბატონო რომან, ვითვალისწინებ გაზეთის რეგლამენტს და აქ დავამთავრებ. არადა, ძლიან ბევრი დასაბუთებული არგუმენტების მოყვანა შემეძლო, რატომ არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე ქართული მიწები. ჩემი თუ არ გჯერათ, იქნებ **ვაჟა-ფშაველასა** და **აკაკი წერეთელს** დუჯეროთ. აი რას ამბოდა ვაჟა-ფშაველა: **„საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაიკაი ნაჭრებს. ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას, მიწაწყლის გადასვლას სხვის ხელში, როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას... რას სჩადიხართ, ვინ მოგცათ ნება, ერის საუნჯე ტერიტორია საძმო, საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი ააღებინოთ?!“**

აკაკი წერეთელი:

„ნუ ეხუმრებით ქართულ
მიწა-წყალს
და ნუ ადგამ ბიჯს ზედ
წარამარად!
ის არის ჩვენი
„წმინდა წმინდათა“,
უნდა გვახსოვდეს მარად
და მარად.
აბა, ერთ გოჯს თუ სადმე
ნახავთ,
რომ ის არ იყოს სისხლით
მორწყული!
იმის სიღრმეში
ჩამარხულია
ჩვენი წინაპრის სული და
გული“.

**ანზორ მესხიშვილი,**
ეკონომიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
სერტიფიცირებული
ექსპერტი უძრავი ქონების-
მიწის საკითხებში

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„როდესაც სტალინი ლაპარაკობდა, როგორც წესი, ის მოკლე განცხადებებით იფარგლებოდა და დარბაზში მყოფი ადამიანები მის თითოეულ სიტყვას საგულდაგულოდ უსმენდნენ. ის ლაპარაკობდა ისე, რომ მის სიტყვებს დასავლეთის ლიდერებისთვის ყური მოეჭრა, თუმცა, მისი განცხადებები, სულაც არ იყო მკაცრი და უხეში — ის იცავდა ტაქტს. და, რასაც სტალინი ამბობდა, მტკიცედ ჯდებოდა მათ გონებაში, ვისთვისაც ის ლაპარაკობდა“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4-6, 2022 წ.

# სტალინი — ყველა დროის უდიდესი პოლიტიკოსი

**სტალინის შორსმჭვრეტელობა და მისი საგარეო პოლიტიკის სიღრმე კარგად ესმოდა ისეთ გამოცდილ პოლიტიკოსს, როგორიც იყო ჩერჩილი. 1942 წლის 8 სექტემბერს თემთა პალატაში გამოსვლისას მან თქვა: „ჩემთვის სტალინთან შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა... ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანი (მოსკოვში — გრ. ონიანი) იყო ის, რომ დამემყარებინა ისეთივე გახსნილი ურთიერთობა და მომეპოვებინა ნდობა, როგორიც მქონდა პრეზიდენტ რუზველტთან. ვფიქრობ, მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, რომელიც ბევრ დაბრკოლებას ქმნის, დიდწილად მივაღწიე წარმატებას“. რით შეიძლება აიხსნას სტალინის პიროვნებისადმი ასეთი პატივისცემა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებისგან? პასუხი რუზველტისა და ჩერჩილის მემუარებშია, რომელსაც ჩემს მკითხველს ეტაპობრივად ვაცნობ.**



**როგორ ცხადად აუხდათ 77 წლის წინათ სტალინის ქვამი სიტყვები როგორც რუსეთს, ისე სლავებს და, საერთოდ, მსოფლიოს: ნაცისტების მემკვიდრეები — გერმანიის კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი — ტანსაცმლიდან ხტებიან ექსტაზისაგან რუსეთის წინააღმდეგ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გასაწევად. დიახ, ახდა სტალინის წინასწარმეტყველური გამონათქვამი: «მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ გერმანელები შეიძლება ისევ დადგნენ ფეხზე და გამოვიდნენ სლავთა წინააღმდეგ, ამიტომ ჩვენ, ახალი სლავოფილები, ასე მედგრად მოგიწოდებთ სლავი ხალხების კავშირისაკენ». აღდგა გერმანელი ერი და ჩაება რევანშისთვის გამართულ სისხლისმღვრელ ომში**

თვითონ სტალინი დიდად არ სწყალობდა უცხო ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს. ალბათ, ამ მიზეზითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ სტალინის ხილვასა და მოსმენას უცხოელი მოღვაწეები მიიჩნევდნენ მთავარ მოვლენად. **ანდრია გრომიკო** თავის მემუარებში იხსენებს კონფერენციებს თეირანში, იალტასა და პოტსდამში:

**„როდესაც შეხვედრის მიმდინარეობისას სტალინი ლაპარაკობდა, როგორც წესი, ის მოკლე განცხადებებით იფარგლებოდა და დარბაზში მყოფი ადამიანები მის თითოეულ სიტყვას საგულდაგულოდ უსმენდნენ. ის ლაპარაკობდა ისე, რომ მის სიტყვებს დასავლეთის ლიდერებისთვის ყური მოეჭრა, თუმცა მისი განცხადებები სულაც არ იყო მკაცრი და უხეში — ის იცავდა ტაქტს. მაგრამ, რასაც სტალინი ამბობდა, მტკიცედ ჯდებოდა მათ გონებაში, ვისთვისაც ის ლაპარაკობდა.** თვალშისაცემი იყო ის, რომ **რუზველტი** და **ჩერჩილი** სხვადასხვაგვარად რეაგირებდნენ სტალინის გამონათქვამებზე: მშვიდად და გაგებით — რუზველტი, სახის მკაცრი გამომეტყველებითა და ცუდად დაფარული უკმაყოფილო გამომეტყველებით — ჩერჩილი... როდესაც ამერიკის პრეზიდენტი ლაპარაკობდა, დამსწრე საზოგადოება დიდი გულისყურით უსმენდა. უსმენდნენ და აკვირდებოდნენ მის აზრებს, მის განსჯას, ხუმრობებსა და ყველას ესმოდა, რომ მის ნათქვამს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი მსოფლიოს მშენებლობისთვის. შენიშვნები გააკეთა ინგლისის პრემიერმინისტრმა. ის ოსტატურად და სხარტად აყალიბებდა თავის აზრებს, იცოდა თავის წარმოჩენა და ხუმრობა. იგრძნობოდა, რომ ის „შენობით“ იყო არა მხოლოდ პოლიტიკასთან, არამედ ისტორიასთან, განსაკუთრებით, უახლეს ისტორიასთან... და მაინც, უნებურად ხდებოდა, რომ ყველა დამსწრის ყურადღება მიმართული იყო სტალინისკენ. მაშინაც კი, როდესაც სხვა მონაწილე ლაპარაკობდა, დამსწრეთა უმრავლესობა რატომღაც თვალს არ აცილებდა სტალინს, მის გამომეტყველებას, მის თვალებს, თითქოს ცდილობდნენ, გაეგოთ, როგორ აფასებდა იგი მისი კოლეგების სიტყვებსა და აზრებს. და აი, ხმადაბლა, თითქოს სხვათა შორის საუბარს იწყებდა სტალინი. ის ისე ლაპარაკობდა, თითქოს, მის გარდა იქ იმყოფებოდა მხოლოდ ორი ადამიანი. არანაირი შებოჭილობა ან არანაირი სურვილი საკუთარი თავის წარმოჩენისა და არანაირი შეუსაბამობა მის მიერ ჩამოყალიბებულ აზრებში. მისი ყოველი სიტყვა ისმოდა ისე, თითქოს წინასწარ ჰქონდა მომზადებული სათქმელი იმ მომენტისათვის, იმ აუდიტორიისთვის. საყურადღებო იყო ის, რომ სტალინის სიტყვის წარმოთქმისას, თუნდაც მისი სიტყვები იმ მომენტში არ ეხებოდა პოლიტიკას, რუზველტი ცდილობდა, გამოეხატა თავისი დამოკიდებულება მისდამი — ან თავის დაქნევით, ან მეგობრული მზერით საბჭოთა ლიდერის სიტყვებზე“.

1945 წლის თებერვალში იალტის კონფერენციაზე სსრ კავშირის, აშშ-ისა და ინგლისის მთავრობების მეთაურები შეთანხმდნენ, ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ ერთობლივი ძალისხმევით დაემყარებინათ მშვიდობა მსოფლიოში. მათ ერთობლივად მიიღეს ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის ძირითადი პრინციპები მშვიდობისთვის და შექმნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საერთაშორისო პრობლემების კოლექტიური გადაწყვეტის მიზნით. გაეროს დაქვემდებარებაში შეიქმნა ძალიან მნიშვნელოვანი ორგანიზაცია — უშიშროების საბჭო, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფოთა შორის დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას. ორგანიზაციამ შეიმუშავა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთსულოვნების პრინციპი.

**რუზველტისა და ჩერჩილის თქმით, სტალინმა არაერთხელ აღნიშნა: „სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, მშვიდობა მსოფლიოში იქნება უზრუნველყოფილი. ჩვენ შევქმენით მყარი საფუძველი მომავალი სამართლიანი მსოფლიო წესრიგისთვის ორმოცდაათი წლის განმავლობაში“.**

საბჭოთა დიპლომატისა და პოლიტიკოსის — ანდრია გრომიკოს შვილის, **ანატოლი გრომიკოს,** მონათხრობით, მამა-შვილს შორის გაიმართა შემდეგი დიალოგი:

„გაერო შეიძლება იყოს ეფექტიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებების მიღებისას პატივს სცემენ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთსულოვნების პრინციპს. ამ პრინციპის თავიდან აცილების ნებისმიერი მცდელობა კი, თითქოსდა ქარტიის გასაუმჯობესებლად, გამოიწვევს ორგანიზაციის კრიზისს. უშიშროების საბჭოს შექმნის იდეა იყო სტალინი შეთავაზება და მას კარგად ესმოდა, რომ, თუ გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ უმრავლესობის ხმებით, მაშინ კაპიტალისტური სახელმწიფოების გარკვეული ჯგუფები მუდმივად ეცდებიან, მოსკოვს თავს მოახვიონ მისთვის მიუღებელი გადაწყვეტილებები და არ ექნება კომპრომისზე წასვლის სურვილი. ერთსულოვნების პრინციპი კი სწორედ კომპრომისზე წასვლის იძულებაა.

მახსოვს, მამას ვკითხე — **იყო თუ არა უშიშროების საბჭოს ერთსულოვნებისა და ვეტოს წესები „ოქროს წესი“ გაეროსთვის?**

— სწორედაც! — წამოიძახა მამამ, — **ახლა აიდეალებენ საერთაშორისო ურთიერთობებს, მაგრამ არ ესმით, რა დამღუპველი შედეგი ექნება გაეროსთვის ამ წესის შეცვლას. გაეროში უნდა სჭარბობდეს თანხმობა და არა იძულება. სხვათა შორის, პრეზიდენტი რუზველტი ჩასწვდა არსს, თუმცა არა მაშინვე. ამის თაობაზე მე მას ვესაუბრე 1944 წელს. რუზველტმა დაარწმუნა ჩერჩილი ერთსულოვნების პრინციპის მართებულობაში და შემდეგ იალტაში თავად წარუდგინა სტალინის ეს წინადადება „სამეულს“ დასამტკიცებლად. სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი იმხანად იყვნენ განსახიერება გამარჯვებულ ხალხთა ნებისა და, როდესაც დღეს ქვებს ისვრიან ერთსულოვნების პრინციპის მისამართით, ისინი ქვებს ისვრიან არა მხოლოდ „ჯიუტი მოსკოვის, არამედ მათ მიმართაც“.**

„იალტაში, — წერს აშშ-ის 32-ე პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის ვაჟი, **ელიოტ რუზველტი,** — კონფერენციის მონაწილეებმა ღიად და სათანადო დონეზე განიხილეს დიდი სამეულის ერთიანობის პრინციპი. მამამ მხარი დაუჭირა ამ პრინციპს იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში ეს დიდი სამეულის ერთიანობის შენარჩუნების უდავო გარანტია იქნებოდა. მამამ და სტალინმა მოიწონეს დიდი სამეულის წევრებისათვის ვეტოს უფლების მინიჭების იდეა, იმ მარტივ და სრულიად ნათელ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მშვიდობა მსოფლიოში შესაძლებელია მხოლოდ დიდი სახელმწიფოების ერთსულოვნების პრინციპის შენარჩუნებით“.

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მშვიდობა მსოფლიოში სუსტად, მაგრამ მაინც შენარჩუნდა. **ბოლო პერიოდში აშშ უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს, თავს ახვევს თავის ნებას სხვა ქვეყნებს, პირველ რიგში, „გამოჩერჩეტებულ ევროპას“ და ბარბაროსულად ბომბავს სუვერენულ სახელმწიფოებს, როგორიც არის ერაყი, სუდანი, ავღანეთი, იუგოსლავია, ლიბია, სირია და ა.შ. აშშ-ის ხელმძღვანელობით ნატოს აგრესიული სამხედრო ბლოკი ბლოკი ფართოვდება და იწევს აღმოსავლეთისკენ, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის საზღვრებისკენ. ამ პირობებში პროგრესულმა საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს გაეროს და, განსაკუთრებით, გაეროს უშიშროების საბჭოს როლის გაძლიერება.** ავტორიტეტული დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, ბოლო წლების მსოფლიო მოვლენები აჩვენებს, რომ წამყვანი სახელმწიფოების ერთსულოვნების პრინციპის დარღვევა იწვევს მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადახედვას.

სტალინმა გამოააშკარავა ჩერჩილის გეგმის უსაფუძვლობა, დაემარცხებინა გერმანია სამხრეთიდან — იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში, ბალკანეთში, რუმინესა და სხვა ქვეყნებში — საუბარია ჰიტლერის მოკავშირე ქვეყნებზე. სტალინი ნათლად ხედავდა მეორე ფრონტის გახსნის შეგნებულად შეფერხებას, გარდა ამისა, ის კარგად ხვდებოდა ინგლისისა და აშშ-ის საიდუმლო გეგმას, რომ წითელი არმიის წინსვლა დასავლეთისკენ და, უწინარესად, ბერლინისკენ, მაქსიმალურად აღეკვეთათ. სტალინს ესმოდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ოკუპაციასთან ერთად, ანგლო-ამერიკული ჯარები მიადგებოდნენ სსრ კავშირს დასავლეთის საზღვრების მხრიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მსოფლიო ომის ბედი გადაწყვეტილი იყო და მოკავშირეთა გამარჯვება გარდაუვალი, დიდი სამეული იხილავდა გერმანიის ომის შემდგომ ბედს. **ინგლისელები და ამერიკელები მხარს უჭერდნენ გერმანიის დაყოფას რამდენიმე სახელმწიფოდ — პრუსია, ბავარია, საქსონია და სხვა, რასაც სტალინი არ დაეთანხმა. „ჩემი აზრით, — თქვა სტალინმა, — გერმანიის პრობლემა უნდა გადაწყდეს არა გერმანიის, როგორც სახელმწიფოს, განადგურების გზით, რადგან შეუძლებელია გერმანიის განადგურება, ისევე როგორც რუსეთის განადგურებაა შეუძლებელი, არამედ მისი დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის გზით, ფაშიზმის ლიკვიდაციით, ვერმახტისა და მესამე** ▶

ათწლეულის განმავლობაში მშვიდობა მსოფლიოში სუსტად, მაგრამ მაინც შენარჩუნდა. ბოლო პერიოდში აშშ უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს, თავს ახვევს თავის ნებას სხვა ქვეყნებს, პირველ რიგში, „გამოჩერჩეტებულ ევროპას“ და ბარბაროსულად ბომბავს სუვერენული სახელმწიფოებს, როგორიც არის ერაყი, სუდანი, ავღანეთი, იუგოსლავია, ლიბია, სირია და ა.შ. აშშ-ის ხელმძღვანელობით ნატოს აგრესიული სამხედრო ბლოკი ფართოვდება და იწევს აღმოსავლეთისკენ, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის საზღვრებისკენ. ამ პირობებში პროგრესულმა საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს გაეროს და, განსაკუთრებით, გაეროს უშიშროების საბჭოს როლის გაძლიერება.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რაიხის კრიმინალ ლიდერთა გასამართლებით“.**

1945 წლის 28 მარტს სტალინმა გულახდილად აღიარა თავისი დამოკიდებულება გერმანელი ერისადმი, როდესაც განაცხადა:

„მე მძულს გერმანელები, მაგრამ სიძულვილმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მათ ობიექტურად შეფასებაში. გერმანელები დიადი ერია, ძალიან კარგი ტექნიკოსები და ორგანიზატორები არიან, დაბადებიდანვე მამაცი ჯარისკაცები. გერმანელების განადგურება შეუძლებელია. ისინი გადარჩებიან. ჩვენ ვურტყამთ გერმანელებს და საქმე დასასრულისკენ მიდის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოკავშირეები ეცდებიან, გადაარჩინონ გერმანელები და მოელაპარაკონ მათ. ჩვენ დაუნდობელი ვიქნებით გერმანელთა მიმართ, ხოლო მოკავშირეები შეეცდებიან, რბილად მოექცნენ მათ. ამიტომ, ჩვენ, სლავები, მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ გერმანელები, შესაძლოა, ისევ დადგნენ ფეხზე და გამოვიდნენ სლავთა წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ, ახალი სლავოფილები, მოგიწოდებთ სლავი ხალხების კავშირისკენ. ამბობენ, რომ ჩვენ გვსურს, სლავებს მოვახვიოთ საბჭოთა წყობა. ეს ლიტონი სიტყვებია. ჩვენ ასე არ გვინდა, ვინაიდან ვიცით, რომ საბჭოთა წყობის სურვილისამებრ გატანა საზღვარგარეთ არ შეიძლება. ამისთვის საჭიროა შესაბამისი პირობები. ჩვენ შეგვეძლო, ბულგარეთში დაგვემყარებინა საბჭოთა წყობა, იქ ეს უნდოდათ, მაგრამ არ წავედით ამაზე. ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ ქვეყნებში, გვინდა, ჭეშმარიტად დემოკრატიული მთავრობები გვყავდეს. კავშირის შექმნით სლავები შეძლებენ ერთმანეთისთვის სამეურნეო და სამხედრო დახმარების აღმოჩენას. ამჟამად ჩვენ წარმატებით შეგვიძლია ამის განხორციელება“.

როგორ ცხადად აუხდათ 77 წლის წინათ სტალინის ქვამი სიტყვები როგორც რუსეთს, ისე სლავებს და, საერთოდ, მსოფლიოს: ნაცისტების მემკვიდრეები — გერმანიის კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი — ტანსაცმლიდან ხტებიან ექსტაზისაგან რუსეთის წინააღმდეგ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გასაწევად. დიახ, ახდა სტალინის წინასწარმეტყველური გამონათქვამი: **„მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ გერმანელები შეიძლება ისევ დადგნენ ფეხზე და გამოვიდნენ სლავთა წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ, ახალი სლავოფილები, ასე მედგრად მოგიწოდებთ სლავი ხალხების კავშირისაკენ“.** აღდგა გერმანელი ერი და ჩაება რევანშისთვის გამართულ სისხლისმღვრელ ომში.

„ახლა ბევრს საუბრობენ სლავოფილობასა და სლავოფილებზე. ჩვენ ხშირად გვადარებენ ძველ, ცარიზმისდროინდელ სლავოფილებს. ეს არ არის სწორი. ძველი სლავოფილები, მაგალითად, **აქსაკოვი** და სხვები, მოითხოვდნენ ყველა სლავის გაერთიანებას რუსი მეფის ხელისუფლების ქვეშ. მათ არ ესმოდათ, რომ ეს მავნე, განუხორციელებელი იდეა იყო. სლავ ხალხებს სხვადასხვა საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული ცხოვრების წესი აქვთ, განსხვავებული კულტურული დონე და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა. სლავ ხალხთა გეოგრაფიული მდებარეობა ასევე უშლის ხელს მათ გაერთიანებას. ჩვენ, ახალი სლავოფილები, ბოლშევიკი-სლავოფილები, კომუნისტები, მხარს ვუჭერთ არა გაერთიანებას, არამედ სლავი ხალხების კავშირს. **ჩვენ მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული სხვაობის მიუხედავად, ყველა სლავი კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან ჩვენი საერთო მტრის — გერმანელთა წინააღმდეგ. სლავთა ცხოვრების მთელი ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენ კავშირი გვჭირდება სლავურობის დასაცავად.**

ავიღოთ ბოლო ორი მსოფლიო ომი. რატომ დაიწყო ისინი? სლავების გამო. გერმანელებს სლავების დამონება სურდათ. ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ ომებში? როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად დაზარალდნენ სლავი ხალხები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სერბები, ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები.

განა ამ ომშიც იგივე არ ხდება? განა საფრანგეთი უფრო დაზარალდა? არა. გერმანელებმა საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს, სამხრეთ ნაწილს კი ხელი არ ახლეს. **ბელგიამ და ჰოლანდიამ მყისვე თათები მაღლა ასწიეს და დაუწვნენ გერმანელებს; ინგლისი მცირეოდენი ნგრევით გადარჩა; საშინლად დაზარალდა უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია; მახეში გაება ბულგარეთიც კი, რომელსაც თავის დაძვრენა უნდოდა**. ესე იგი, გერმანელებისგან ყველაზე მეტად სლავები იტანჯებოდნენ. ახლა ჩვენ ძლიერად ვურტყამთ გერმანელებს და ბევრს ჰგონია, რომ ისინი ველარასოდეს დაგვემუქრებიან. არა, ეს ასე არ არის“.

უკრაინაში გალეწილი სისხლიანი კალო ერთადერთ მიზანს ემსახურება: გამოაცხადონ რუსი ხალხი მსოფლიო ხალხთა ცივილიზაციის შემაფერხებელ ძალად, რომელიც უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა. ამას მოასწავებს უკრაინის ცენტრალური ტელევიზიით გამოსული უკრაინელი ბლოგერი ადოლფ ჰიტლერის სურათის ფონზე, ის ფიურერის მსგავსად მოუწოდებდა როგორც უკრაინელ ჯარისკაცებს, ისე მოხალისეებს — „სასაკლაოზე“ მოსულ შეიარაღებულ ავანტიურისტებს, რომ, პირველ რიგში, დახოცონ ბავშვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბავშვები დარჩებიან და მხოლოდ უფროს თაობას დახოცავენ, მომავალში ეს ბავშვები შურს იძიებენ.

**ადოლფ ჰიტლერმა,** როდესაც აღებულ კიევში ჩავიდა, საგანგებო შეხვედრა გამართა მოსახლეობასთან. მას ბავშვთა გუნდი შემოეხვია. ფიურერმა პატარებს კანფეტები და სხვა ტკბილეული დაურიგა, და რამდენიმეს თავზე ხელი გადაუსვა. რაიხსტაგში დაბრუნებული კი სამხედროებთან თათბირზე დორბლებს ყრიდა და გაჰყვიროდა: „თქვენ უკრაინაში ძიძებად გაგგზავნეთ, რათა აღზარდოთ ჩვენი მომავალი მესაფლავენი თუ უკრაინული მიწის განსახალხებლად?!“ **სიტყვა „განხალხება“ ფიურერის საყვარელი სიტყვა იყო, რომელსაც ხშირად მიაწერდა სამხედრო რუკაზე იმ ქალაქს, რომელსაც არ უნდა ეარსება და „განხალხებული“ უნდა ყოფილიყო. ასეთი წარწერა ჰქონდა გაკეთებული საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვს, რომლის ადგილზეც ფიურერს ზღვა უნდა დაეგუბებინა იმ სიღრმის, რომ ზღვის ტალღებში მოციმციმე მხოლოდ კრემლის ვარსკვლავები უნდა გამოჩენილიყო.** მაგრამ, უფლის ნებით, ბუნკერში საფეთქელთან ტყვიანაკრავ ფიურერის დედაქალაქს 1 კვ. მეტრზე 4 ტონა გავარვარებული ფოლადი დააყარეს. **როკოსოვსკი, კონევი** და **ჟუკოვი** ბინოკლებით უყურებდნენ, როგორ ცურავდა ფიურერის სატახტო ქალაქი გამდნარი ფოლადის ზღვაში.

მეორე მსოფლიო ომმა ბევრი კოლონია და ხალხი გაათავისუფლა ანგლო-საქსების ბატონობიდან და ბევრი სახელმწიფო გამოაკლდა კაპიტალისტურ სამყაროს. თუ მესამე მსოფლიო ომი გაჩაღდება, ვფიქრობ, მსოფლიო ერთპოლუსიანი დარჩება, ისე, როგორც იწინასწარმეტყველა სტალინმა პარტიის მე-18 ყრილობაზე: **„კაპიტალისტების მიერ მომზადებულმა ოქტომბრის რევოლუციამ ბევრი სახელმწიფო დააკარგვინა კაპიტალისტურ სამყაროს და მიიღო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება რუსეთში. თუ ისინი გაბედავენ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას, კიდევ უფრო მეტ ქვეყანას დაკარგავენ და ამ უბედურებას ჩვენ ნუღარ დაგვაბრალებენ“.** როგორ წინასწარმეტყველურად ახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს გადანაწილებაზე სტალინის ნათქვამი!

რუსეთის მთავარსარდლობას შევახსენებ სტალინის სიტყვებს: **„ომი ჰუმანიზმის სკოლა არ არის“.** კაპიტალისტები პირდაპირ დაუფარავად გაჰყვირიან, რომ უნდა მოისპოს რუსი ერი, როგორც ასეთი. რუსეთის არმია კი შიდა კონფლიქტად და სპეცოპერაციად აფასებს 48-მილიონიან ქვეყანასთან სამხედრო დაპირისპირებას. რაც უფრო ხანგრძლივია ომი, როგორი ჰუმანურიც უნდა იყოს იგი, მით მეტად დამანგრეველი და სისხლიანია.

აი, როგორ მიმართავდა სტალინი მეორე მსოფლიო ომის საფინალო სტადიაზე თავის ჯარისკაცებსა და მეთაურებს:

„ჩვენს სამხედრო ხელმძღვანელებს, რუსული არმიის ისტორია რომ შეესწავლათ, მიებაძათ რუსული არმიის კარგი ტრადიციებისათვის, ეცოდინებოდათ, რომ ყველა შესანიშნავი გამარჯვება რუსული არმიის მიერ ზამთარში იქნა მოპოვებული. ალექსანდრე ნეველმა ზამთარში დამარცხა გერმანელები ჩუდის ტბაზე, ვინაიდან რუსი ჯარისკაცები გაკაჟებულნი იყვნენ ზამთრის პირობებში ბრძოლისათვის. პეტრე პირველმა ზამთარში დაამარცხა შვედები ფინეთში. ალექსანდრე პირველმა ზამთარში დაამარცხა შვედები ფინეთში და ბოლოს, კუტუზოვმა ზამთარში დაამარცხა ნაპოლეონი. ჩვენი რიგითების შემადგენლობა არის შესანიშნავი მასალა, ხოლო მეთაურთა შემადგენლობა არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. ჩვენი ამოცანაა, გავაუმჯობესოთ მეთაურთა შემადგენლობა. მაშინ ჩვენი არმია მთელ მსოფლიოში საუკეთესო იქნება. ფინელთა დამარცხებით ჩვენ დავამარცხეთ მათი მასწავლებლებიც — გერმანელები, ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები და სხვა“.

ძვირფასო მკითხველო, ხომ არ გენიშნათ დიდი სტალინის ბრძნული სიტყვები, წარმოთქმული 77 წლის წინათ, როგორი აქტუალურია დღესაც?!



**ინგლისელები და ამერიკელები მხარს უჭერდნენ გერმანიის დაყოფას რამდენიმე სახელმწიფოდ — პრუსია, ბავარია, საქსონია და სხვა, რასაც სტალინი არ დაეთანხმა. «ჩემი აზრით, — თქვა სტალინმა, — გერმანიის პრობლემა უნდა გადაწყდეს არა გერმანიის, როგორც სახელმწიფოს, განადგურების გზით, რადგან შეუძლებელია გერმანიის განადგურება, ისევე როგორც რუსეთის განადგურებაა შეუძლებელი, არამედ მისი დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის გზით, ფაშიზმის ლიკვიდაციით, ვერმახტისა და მესამე რაიხის კრიმინალ ლიდერთა გასამართლებით»**








**ყურადღება!**

დაიბეჭდა ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-7 და მე-8 ტომები. შეძენის მსურველებმა დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 597100600.

ომის გამოძახილები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**7 აპრილს აშშ-ის შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე მარკ მილიმ განაცხადა: „ისინი ძალიან, ძალიან მადლიერნი არიან 60 ათასი ტანკსაწინააღმდეგოსთვის და დაახლოებით 25 ათასი ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღების სისტემისთვის, რომლებიც აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა გაუგზავნეს“. შემდეგ, როცა მილიმ გააცნობიერა, რომ ეს რაოდენობა გაცილებით მეტია ამერიკის შეერთებული შტატების არსენალში არსებულზე, სწრაფად მოაშორა ზედმეტი ნულები.**

# «ალუმინის კუბოები» უკრაინისთვის

## ჯავშანტრანსპორტიორი M-113, რომლის 200 ეგზემპლარი უნდა გადასცენ უკრაინას, ვიეტნამის ომის ვეტერანია; უკვე 60 წლისაა და თანამედროვე საომარი მოქმედებებისთვის, პრაქტიკულად, გამოუსადეგარია. ვიეტნამის ომში მას «ალუმინის კუბო» შეარქვეს

**აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა 13 აპრილს დაამტკიცა უკრაინის სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი, რომელიც 750 მლნ დოლარს შეადგენს. დასავლურ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „პაკეტში“ შედის შეიარაღების შემდეგი სახეები:**

* ტანკები T-72;
* 11 ვერტმფრენი МИ-17;
* 200 ჯავშანტრანსპორტიორი M-113;
* 300 უპილოტო საფრენი აპარატია Switchblade;
* 18 155-მილიმეტრიანი ქვემეხი და 40 ათასი ჭურვი;
* 500 ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი Javelin-ი;
* 1000 ერთეული სხვადასხვა ტანკსაწინააღმდეგო სისტემა;
* 10 რადიოლოკაციური სადგური;
* 2 საჰაერო დაკვირვების რადიოლოკაციური სადგური;
* 100 მაღალი გამავლობის მანქანა;
* სანაპიროს დაცვის უპილოტო ხომალდები;
* ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხეებისგან დაცვის მოწყობილობები;
* 30 ათასი ჯავშანჟილეტი და ჩაფხუტი;
* 2 ათასზე მეტი ოპტიკური მოწყობილობა და ლაზერული მზომი;
* ასაფეთქებლები C-4;
* ნაღმები M18A1 „კლეიმორი“

ამ შეიარაღებას უკრაინას მიაწვდიან პოლონეთის ქალაქ ჟეშუვის აეროდრომიდან, სადაც უკვე ინახება საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „პატრიოტი“.

ალსანიშნავია, რომ **პოლონეთის დახმარების „პაკეტში“ ძირითადი შეიარაღება ადრე ავღანეთში პროამერიკული რეჟიმისთვის იყო განკუთვნილი (მი-17, M-113 და ა.შ.) და მათში გადახდილია ავღანეთის ფულადი სახსრები, რომლებიც აშშ-ში გაყინეს თალიბების გამარჯვების შემდეგ. ასე რომ, ვაშინგტონმა ეკონომია გააკეთა „ქაბულის მოჩვენების“ ხარჯზე.**

ასევე, ალსანიშნავია, რომ **ჯავშანტრანსპორტიორი M-113, რომლის 200 ეგზემპლარი უნდა გადასცენ უკრაინას, ვიეტნამის ომის ვეტერანია; უკვე 60 წლისაა და თანამედროვე საომარი მოქმედებებისთვის, პრაქტიკულად, გამოუსადეგარია. ვიეტნამის ომში მას „ალუმინის კუბო“ შეარქვეს.**

რაც შეეხება შეიარაღების ზემომოყვანილ ჩამონათვალში არსებულ უახლეს უპილოტო საფრენ აპარატ Switchblade-ს, რომლის შესახებაც უკრაინულ ტელეგრამ-არხებს ხმაური აქვთ ატეხილი და მას ახალ ჯადოსნურ იარაღად მოიხსენიებენ, ასეთივე ხმაური ატყდა ერთი წლის წინათაც კიევის მიერ თურქული უპილოტო საფრენი აპარატის — „ბაირახტარ TB-2“-ის შესყიდვაზეც. უკრაინელი ექსპერტები სიამოვნებით იფშვნეტნენ ხელებს, — რუსეთისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ქვედანაყოფები მზად არ არიან „ბაირახტარებთან“ საბრძოლველადო. **დღეს კი ვერ იპოვით ფრონტზე „ბაირახტარის“ ეფექტიანობის ვერც ერთ სარწმუნო დოკუმენტურ მტკიცებულებას. სამაგიეროდ, ეს უპილოტო საფრენი აპარატი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობებში ყოველდღიურად ფიგურირებს განადგურებულთა შორის.**

რაც შეეხება დასავლეთს, მის მიერ წარმოებული დაშინების კამპანია „უკრაინის სამხედრო დახმარება“ ძალას იკრებს. ამასთანავე, სულ უფრო აშკარაა, რომ ამ პიარკამპანიის პრაქტიკული სამხედრო მნიშვნელობა ცოტას თუ აინტერესებს დასავლეთშიც და უკრაინაშიც. **პროცესს ყველგან ხელმძღვანელობენ პოლიტიკური კომბინატორები, რომლებსაც ომსა და ომის ხელოვნებაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ.**

ვაშინგტონმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ უკრაინას უკვე მიაწოდა 60 ათასი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი. **7 აპრილს აშშ-ის შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე მარკ მილიმ განაცხადა: „ისინი ძალიან, ძალიან მადლიერნი არიან 60 ათასი ტანკსაწინააღმდეგოსთვის და დაახლოებით 25 ათასი ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღების სისტემისთვის, რომლებიც აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა გაუგზავნეს“. შემდეგ, როცა მილიმ გააცნობიერა, რომ ეს რაოდენობა გაცილებით მეტია ამერიკის შეერთებული შტატების არსენალში არსებულზე, სწრაფად მოაშორა ზედმეტი ნულები.**

ამასთანავე, დასავლეთში ცოტა ვინმეს თუ აღელვებს, საბოლოოდ ვისთან ხვდება ეს დახმარება და ხვდება თუ არა ვინმესთან საერთოდ, რუსეთის მაღალი სიზუსტის რაკეტების გარდა.



**ყველა აცხადებს სამხედრო ეშელონების პოლონეთის მიმართულებით მოძრაობაზე, თითქოს ომი იქ მიმდინარეობს და არა უკრაინაში. პენტაგონი ლაპარაკობს უკრაინაში ყოველდღიურად გაგზავნილ იარაღით დატვირთვულ ათობით თვითმფრინავზე, ოღონდ ავიწყდება დაზუსტება, რომ პოლონეთის ჟეშუვისა და ლუბლინის იქით ეს თვითმფრინავები არ ფრენენ, იმიტომ, რომ „ბოროტმა რუსებმა“ აუკრძალეს.** სწორედ ამიტომ იყო, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **ბორის ჯონსონი** თვითმფრინავით გადაფრენის ნაცვლად კიევში „ფანტასტიკური უკრაინული მატარებლით“ ჩავიდა.

ანალოგიურად ვითარდება კიევის რეჟიმის ფუნქციონირების ძალისხმევაც, რომლებმაც მარიუპოლის ქვაბში მოქცეული საზღვაო ქვეითთა ტყვედ მასობრივად ჩაბარების შემდეგ კიდევ უფრო დიდი ქვაბის მომზადება დაიწყეს უკრაინის შეიარაღებული ძალების ოპერაციის შედეგად. ზოგიერთი წყაროს ცნობით, კიევის გენერალურმა შტაბმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ თავისი სამხედრო ქვედანაყოფებისთვის თავი მოუყარა სამ „ქალაქსიმაგრესთან“ — კრამატორსკთან, სლავიანსკთან, სევეროდონეცკთან და სამხედროებს იქ ჩაჯდომა და ცოცხალ ფარად ქალებისა და ბავშვების გამოყენება უბრძანა.

უკრაინის შეიარაღებული ძალების მარიუპოლის დაჯგუფების აგონიის ფონზე ეს მართლაც „ბრწყინვალე გეგმაა“, თუმცა ირონიის საბაბი აქ არ არის. როგორც **უკრაინის შეიარაღებული ძალების მარიუპოლის დაჯგუფებას,** რომელსაც სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მხარდაჭერის გარეშე (დაბალ სიმაღლეზე მოქმედი „სტანგერები“ პრობლემას ვერ წყვეტენ) **არ აქვს გამოსავალი,** ასევე, შეზღუდული აქვს საწვავისა და საბრძოლო მასალების მზარდი დეფიციტის გამო მანევრირების საშუალებაც. სამხედრო სფეროში არაკომპეტენტურ უკრაინის ხელისუფლებას 30 წლის განმავლობაში თითი თითზე არ დაუკარებია ძირითადი კალიბრების საკუთარი ჭურვების წარმოების ასაწყობად. კიევის ამჟამინდელი მცდელობები კი, მიიღოს სრულიად განსხვავებული კალიბრის დასავლური არტილერია, უკრაინელ სამხედროებს ბევრ პრობლემას შეუქმნის, იმიტომ, რომ ძველი ლულები საბრძოლო მასალების გარეშე დარჩება, ახლებმა კი შეიძლება ვერც მიაღწიოს ფრონტის ხაზამდე.

ამასთანავე, **უკრაინის პოლიტელიტა თავს იიმედებს, რომ ქვეყანას დიდი სამობილიზაციო რესურსი აქვს, და ფიქრობს, რომ ომის ქარ-ცეცხლში მილიონობით ადამიანს გაგზავნიან, მაგრამ სამხედრო ექსპერტები მიუთითებენ, რომ მობილიზებულთა ყოველი ტალღა ხარისხობრივად წინაზე ცუდია. დღეს ასეთი ერზაც-მობილიზაციის ამოცანები წყდება ციხეებიდან სისხლის სამართლის დამნაშავეების ვადაზე ადრე გათავისუფლებითა და მათგან ე.წ. ტერბატების (ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონების) შექმნით. როგორი იქნება ამ კონტინგენტის საბრძოლო ნიჭი და ბრძოლისუნარიანობა, ძნელი მისახვედრი არ არის.** თუკი უკრაინის შეიარაღებული ძალების საკადრო ტანკისტები შეცდომით ესვრიან თავისიანებს, რა გარანტიაა, რომ უკეთესად მოიქცევიან კრიმინალები, რომლებიც კასტეტისა და დანის გამოყენებას უფრო არიან მიჩვეულნი.

დასავლეთისა და უკრაინის ხელისუფლების გარეგნულად განსხვავებული ძალისხმევის მიუხედავად, ერთსაც და მეორესაც ერთი საერთო ნაკლი აქვს — დაბალი სამხედრო კომპეტენტურობა. საბოლოო ჯამში ჩვენ წინაშეა ის, რასაც საკითხის ღრმად მცოდნე **იულიან სემიონოვმა** (რუსი საბჭოთა მწერალი, პროზაიკოსი, ავტორი ნაშრომებისა „გაზაფხულის 17 გაელვება“, „მაიორი ვიხრი“ და სხვ. — გ. გ.) გერმანელი გენერლის პირით თქვა: **„ამ შტერებს თავიანთი ტექნიკა დაღუპავს“.**

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



ამერიკული M-113-ის დიდი დანაკარგები ჰქონდათ ვიეტნამში. ამიტომ ამ ჯავშანტრანსპორტიორს „ალუმინის კუბო“ შეარქვეს



ბორის ჯონსონი „ფანტასტიკურ უკრაინულ მატარებელში“

**დასავლეთმა გადაწყვიტა, გაანადგუროს რუსეთი იურიდიულადაც. ისინი ამზადებდნენ საბრძოლო ჯგუფს, ეროვნებას, ხალხს, ქვეყანას, რომლებიც მზად იყვნენ, დაეხოცათ რუსები. მათ იპოვეს უკრაინა და შეგნებულად ამაზე მუშაობდნენ. ერთი მხრივ, რუსებისადმი სიძულვილს უღვივებდნენ, მეორე მხრივ, ამზადებდნენ მათ, ვისაც რუსეთის წინააღმდეგ უნდა ეომა.**

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მთავრდება ომი, გეშინოდეთ მშვიდობის?!»

**სპეციალურ სამხედრო ოპერაციას, რომელსაც რუსეთის ფედერაცია, 54-ე დღეა, ახორციელებს აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის (მოკლედ რომ ვთქვათ) მიზნით, სამხედრო ექსპერტებმა უკვე მოაცილეს დიპლომატიური ეთიკით ნაკარნახევი ზიზილ-პიპილოები და უწოდებენ ომს მისი არსიდან გამომდინარე. სახელმწიფო არხების თოკშოუებშიც კი.**



**ომია. მსოფლიო. მაგრამ რიგითი ნომრის მინიჭების გარეშე. რომელსაც ახასიათებს ყოვლად მიუღებელი თვისება — რუსების გენოციდი. რუსეთის წარმომადგენლებს შეიძლება მოეპყრო ისე, როგორც საკუთარი არაკაცობა და სულმდაბლობა გიკარნახებს — მოკლა, მოსპო, გაანადგურო. მაგალითად, დახვრიტო ხელფეხშეკრული სამხედრო ტყვეები. ხოლო ნეოფაშიზმის იდეოლოგიურმა იარაღმა — პრესამ ისე ჩაიგდოს ენა, როგორც სამოთხეში შემთხვევით მოხვედრილმა სერიულმა მკვლელმა: არაფერი მსგავსი არ მომხდარაო**

ამ ჭრილში შევეცადოთ, მიმოვიხილოთ ბოლო პერიოდში იქ შექმნილი ვითარება. მით უფრო, რომ მსოფლიო მედიაშიც, კარგა ხანია, საგნებს თავთავიანთი სახელები უწოდეს.

ბოლო დამოწმება მეც არ მომწონს — თავის დამცირებასავითაა, მაგრამ ართქმა რეალობის ისეთივე გაყალბება იქნებოდა, როგორიც „რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან ფაშიზებული საზოგადოების წარმოშობის უგულებელყოფა“. ვერ დავიჩემებ, რომ ჩემი ნათქვამია: ასე ფიქრობენ ავტორიტეტული ანალიტიკოსები რუსეთშიც, დასავლეთშიც. არა მაინცდამაინც „კოლექტიური დასავლეთის“ ელიტურ წრეებში, არამედ რაციონალურობით გამორჩეულ სამეცნიერო ინსტიტუტებში, რომლებსაც განამტკიცებს ტრადიციონალიზმი. დიახ, ტრადიციონალიზმი! არ გაგიკვირდეთ. თავისებურად ესმით, რაც კიდევ უფრო გასაკვირია: ტრადიციად მიიჩნევენ დემოკრატიას. თავიანთ ე.წ. ღირებულებებს. არანაირი განმარტება, რას ნიშნავს მათი დემოკრატია.

ჩნდება ე.წ. ახალი ენა. **ფაშისტურ „ახალ ენას“ ყოველთვის ახასიათებს პრიმიტიული სინტაქსისი და პრიმიტიული ლექსიკა, რომელიც განახლების შედეგი კი არ არის, არამედ საზოგადოების ფაშიზაციის ნიშანია. ფაშიზმისთვის მიუღებელია კრიტიკა — არავითარი კრიტიკული აზროვნება, დაეჭვების უფლებაც კი წართმეული გაქვთ. მსოფლიო იყოფა ისტორიულ ხალხებად და მათნაირებად, რომლებმაც თავი დააღწიეს ისტორიას.**

იერარქიაში იგულისხმება თავისუფალი სამყარო. იერარქიზმი კი ფაშისტური საზოგადოების სტრუქტურის საფუძველია. ლიდერი გერმანულად ფიურერია.

რუსეთის ტელეპროგრამა „60 წუთის“ წამყვანმა ეს ოფიციალურად განაცხადა.

**ომია. მსოფლიო. მაგრამ რიგითი ნომრის მინიჭების გარეშე. რომელსაც ახასიათებს ყოვლად მიუღებელი თვისება — რუსების გენოციდი. რუსეთის წარმომადგენლებს შეიძლება მოეპყრო ისე, როგორც საკუთარი არაკაცობა და სულმდაბლობა გიკარნახებს — მოკლა, მოსპო, გაანადგურო. მაგალითად, დახვრიტო ხელფეხშეკრული სამხედრო ტყვეები. ხოლო ნეოფაშიზმის იდეოლოგიურმა იარაღმა — პრესამ ისე ჩაიგდოს ენა, როგორც სამოთხეში შემთხვევით მოხვედრილმა სერიულმა მკვლელმა: არაფერი მსგავსი არ მომხდარაო.**

გაბედული ექსპერტები ირწმუნებიან, რომ, თუ თანამედროვე სახელმწიფო იძულებულია, საქმე იქონიოს ამ ყაიდის სახელმწიფოსთან, უნდა მოექცეს, როგორც ფაშისტური წყობის მქონე ქვეყანას.

კეთილშობილების დემონსტრაციის სხვა ბევრი საშუალება არსებობს დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში.

თუნდაც — ემოციურ ტალღაზე სუვერენული სხვა ქვეყნისთვის წართმეული ტერიტორიების დაბრუნება, ამჟამად შექმნილი განსხვავებული გარემო პირობების გათვალისწინებით.

ღირს დაფიქრებად და შესასრულებლად, იმის სადემონსტრაციოდ, თუ სად არის დღეს სახელმწიფოებრივ დონეზე კეთილშობილებისა და ტოლერანტული დამოკიდებულების პერსპექტიული ცენტრი, რომლისთვისაც ყოვლად მიუღებელია სიკვდილის ის კულტი, რომლის გამოფენაც მოაწყვეს საფლავებიდან ამოსვენებული ცხედრებით გუჩის მთავარ გზაზე მხოლოდ იმისთვის, რომ დასავლეთიდან ჩამოსული რიგითი დელეგაციისთვის ეჩვენებინათ, სად მოქმედებს მათი გამოგზავნილი იარაღი, ტყვია-წამალი და ფულადი სახსრები.

დელეგაციაც კმაყოფილი დარჩა და მასპინძლებმაც შვებით ამოისუნთქეს.

სხვა რა არის „ჩვეულებრივი ფაშიზმი“?!

ანალიტიკოსები ხშირად ადარებენ ერთმანეთს **ჩერჩილს, დე გოლსა** და... **ზელენსკის.** „ბედაურნი დაიხოცნენ...“ **ძველი ფასეულობანი, რომლებსაც ეფუძნებოდა დასავლური სამყარო, ისტორიის გზებზე დაებნათ და დაეკარგათ. ახალ საზოგადოებაში ახალი წესრიგი მყარდება, რომელიც საეჭვოდ ჰგავს ჰიტლერულ ფაშიზმს.**

სწორედ ამიტომ მიიჩნევენ გავლენიანი მიმომხილველები, რომ რუსეთი თანდათან, მაგრამ უკანდაუხევლად უნდა გამოვიდეს იმ წამგებიანი შეთანხმებებიდან, ხელშეკრულებებიდან, ვალდებულებებიდან, ურთიერთობის სისტემებიდან, რომლებიც ასუსტებს სახელმწიფოს, რადგან უკვე სავსებით ნათელია, ვისთან აქვს ურთიერთობა „ნეზალეჟნაიას“ სახით.

ისიც საინტერესოა, რომ ასეთ შეთანხმებებს სულ უფრო რეალისტურად უყურებენ ოკეანისგაღმელი მოწინააღმდეგის ბანაკის პოლიტოლოგებიც. მოვუსმინო **ნაიჯელ ფარაჟს,** რომელიც ორიოდ დღის წინათ დაიმოწმა სატელევიზიო პროგრამამ „საღამოს პროგრამა ვლადიმირ სოლოვიოვთან ერთად“.

— თქვენს გამოსვლაში განაცხადეთ — გვსურს, ვეომოთ რუსეთს? — რატომ თქვით ასე?

— ჩემთვის ეს აშკარა იყო. თქვენ სიმართლეს ლაპარაკობთ. მე ნაციონალისტი ვარ, მჯერა ჩემი ქვეყნის. ვიბრძოდი მისი დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ ასევე მჯერა დასავლური ფასეულობების. ჩვენ და თქვენ, ამერიკასაც, კანადასაც, ავსტრალიასაც და კიდევ ბევრ სხვასაც ბევრი რამ გვაქვს საერთო. და, რა თქმა უნდა, ჩვენ ერთად ვიბრძოდით ორივე მსოფლიო ომში ამ ღირებულებათა დასაცავად.

შემდეგ გზა დაგვებნა ავღანეთთან, ერაყთან, ლიბიასთან და ბევრ სხვა ქვეყანასთან დაკავშირებით. გლობალისტები, ვლაპარაკობ **ბილ კლინტონის, ტონი ბლერის** შესახებ, რომლებმაც ეს დაიწყეს. შემდეგ კი ეს დოგმა გახდა, ნატოსთვის და ევროკავშირისთვის, იმპერიებისთვის, რომლებიც უნდა გაფართოვდნენ.

იცით, უნდა გესმოდეთ რუსეთის ისტორია — ნაპოლეონის შეჭრა, ჰიტლერის შეჭრა, ათობით მილიონი რუსის დაღუპვა ამ შეჭრების შედეგად. და მე ვხედავ, რომ ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება დასავლეთისკენ ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ წინასწარგანზრახული პროვოკაციული აქტი იყო.

ნაცისტური იმპერია რომ დამარცხდა, **ჩერჩილმა** თქვა: „იყავით სულგრძელნი გამარჯვებაში. ნუ ჩაეფლობით სახით ტალახში იმის გამო, რაც მოიმოქმედეს. შეეცადეთ, დაამყაროთ სამოკავშირეო ურთიერთობა და ხანგრძლივი მშვიდობა“.

— ყველაფერს კარგად და სწორად ლაპარაკობს, — აცხადებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელეჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლის დეკანი, პროფესორი **ვიტალი ტრეტიაკოვი** (ეს ის ტრეტიაკოვია, რომელმაც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით დაარსებული თავისი პრიზი მინსკის საერთაშორისო ფესტივალზე, როგორც ჟიურის თავმჯდომარემ, მიანიჭა რეჟისორ **ლეო გაბრიაძეს (რეზო გაბრიაძის** ვაჟს ფილმისთვის „ჰარი-ჰარალე, დედაო“), — მაგრამ არავითარი მეინსტრიმი (როგორც ახლა ამბობენ) ამას არ მოჰყვება. **დასავლეთმა გადაწყვიტა, გაანადგუროს რუსეთი იურიდიულადაც. ისინი ამზადებდნენ საბრძოლო ჯგუფს, ეროვნებას, ხალხს, ქვეყანას, რომლებიც მზად იყვნენ, დაეხოცათ რუსები. მათ იპოვეს უკრაინა და შეგნებულად ამაზე მუშაობდნენ. ერთი მხრივ, რუსებისადმი სიძულვილს უღვივებდნენ, მეორე მხრივ, ამზადებდნენ მათ, ვისაც რუსეთის წინააღმდეგ უნდა ეომა.**

ჩვენთან, უნივერსიტეტში, ყოველწლიურად მიმდინარეობს სტუდენტების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. პირველი გამოვიდა რუსეთის ერთ-ერთი ფედერალური უნივერსიტეტის სტუდენტი, რომლის მოხსენების თემა იყო ესთეტიკურ-ღირებულებითი პროგრამების შეფასება. ასეთი პროგრამებია „საღამო სოლოვიოვთან“ და „60 წუთი“. ბევრი საქებარი შეფასება მოვისმინეთ. ბოლოს სტუდენტმა განაცხადა, რომ „ეს არხები (თავიანთი შოუებით) აღვივებენ შოვინისტურ განცხადებებს საზოგადოებაში“.

ვეკითხები მომხსენებელს: **თქვენ თუ უყურეთ ანალოგიურ პოლონურ ან უკრაინულ შოუებს? არ მიყურებიაო. ავუხსენი, რომ სამეცნიერო ანალიზი ითვალისწინებს შედარებით შეფასებას. ასე რომ მოქცეულიყავით უკეთ გაერკვეოდით, სად უკეთესია, სად — უარესი, ან იგივეა.**

უნივერსიტეტი, რომელშიც ეს სტუდენტი სწავლობს მოწოდებულია მასობრივად მოამზადოს ისინი, ვინც მასმედიაში იმუშავებს, ვინც უნდა შეისწავლოს ეს სფერო და ობიექტურად გააანალიზოს.

ეს ბლიცკამათი პროფესორმა ასეთი დასკვნით შეაჯამა:

— თუ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, არ შევაჩერებთ განათლების მიმდინარე რეფორმას, სანამ არ მოვახდენთ კულტურული პოლიტიკის სრულ ტრანსფორმაციას, ვერ გავიმარჯვებთ. ეს ერთი. ახლა მეორე — ხელშეკრულებებიდან გამოსვლის შესახებ. **ეუთომ მოამზადა მოხსენება, რომელშიც ყველა დანაშაული, რომლებიც ხდებოდა ტერიტორიაზე, უკრაინა რომ ეწოდებოდა, ყველა მიეწერებოდა რუსეთს, რუსეთის არმიას, რუს ჯარისკაცებს.**

ჩვენთან ამბობდნენ, რომ უნდა გამოვსულიყავით ევროპის საბჭოდან. გამოვედით... გამოვედით, არ გამოუყვანივართ. უნდა გადავხედოთ საერთაშორისო პოლიტიკას, არაერთხელ განმიცხადებია. ყველა ხელშეკრულებიდან, რომლებიც შედგენილი იყო საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე, რუსეთის მონაწილეობის გარეშე, რუსეთი უნდა გამოვიდეს.

არც ერთი ორგანიზაცია არ არის ისეთი, რომელშიც დომინირებენ რუსები.

ჩვენ სიხარულით მივიღეთ ადამიანის უფლებათა კონცეფცია... იყო კრიტიკული შეძახილებიც: გაფრთხილდით, გაფრთხილდით! მიზნობრივი ინსტიტუტებიც შევქმენით. დიპლომატიაში, მით უფრო — დასავლურში ყველაფერი გამოიყენება, როგორც იარაღი. ეს კონცეფცია თავს დაატეხეს საბჭოთა კავშირს, რათა გადემოკრატებულიყო თავიდან ბოლომდე. გავშიშვლდით სრულად. იმ ზომამდეც კი, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ყელზე „პეპელათი“ და (შარვლის ნაცვლად) შორტებში სიტყვით გამოდიოდა (ოფიციალური) ტრიბუნებიდან. ამაზე შორს სად უნდა წახვიდე, როცა (ამ თანამდებობის) კაცი პარლამენტის წინაშე ასე გამოწყობილი წარდგები...

**ოფიციალური პირებისგან ამ ბოლო პერიოდში ხშირად გვესმის, რომ უკრაინა ტერორისტული სახელმწიფოა. ვამზადებთ კი მოხსენებას, უკრაინა ტერორისტული სახელმწიფო რომ არის? რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა და კიდევ სხვა მსგავსი მაგალითები უეჭველად უნდა ჩაიწეროს ასეთ მოხსენებაში. ვინ ამზადებს ამ დოკუმენტს, სად უნდა წავიკითხოთ ეს ნაშრომი. მზად ვართ კი, რომ შევქმნათ თუნდაც ჩვენი ეროვნული ტრიბუნალი?**

ნაკლოვანებებისგან თავისუფალი არ არის პროგრამა „საღამო ვლადიმერ სოლოვიოვთან“. ყველაზე მეტად ვინ დაზარალდა ჩვენი პოლიტიკური და არაპოლიტიკური ტოკშოუებით? ალბათ, რუსი ხალხი. ხოლო როცა ოპოზიცია გამოდიოდა, გვესმოდა, რომ ჩვენ ვერ გავიზარდეთ, არასაკმარისად ცივილიზებულები ვართ და ა.შ.

...საქმე ისაა, რომ **ჩვენ არ გადავდივართ კონტრშეტევაზე, ხოლო კიევის სახელმწიფო აპარატი მოწოდებულია, შექმნას უმსგავსობის მაგალითები რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.** ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან არის იმავე პრობლემებით მოწინააღმდეგის დატვირთვა, რომლებითაც გაურთულეს ცხოვრება.

* * *

**ვერ შეუქმნა რუსეთმა მსგავსი პრობლემები მოწინააღმდეგე მსოფლიოს ნაწილს. როგორც ჩანს, მსოფლიოს მეორე ნაწილის თანადგომა ამ საკითხის გადაწყვეტაში მაინცდამაინც შედეგიანი არ არის.**

**ომი უკრაინაში, იგივე სპეციალური ოპერაცია, დასრულების ფაზაში შედის. ორივე მხარემ საკმარისი გამოცდილება დააგროვა დაპირისპირების პროცესის თავის სასარგებლოდ წარსამართავად.**

**თუ შეიქმნება სათანადო პირობები... გვეშინოდეს მომავლის, ბატონო მშვიდობიანო მოსახლეობავ?**

**პასუხი დამოკლეს მახვილივით ჩვენს თავზე კიდია.**

**არმაზ სანებლიძე**

განათლების სისტემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საყოველთაო სავალდებულო განათლების პრინციპის განხორციელებამ უზარმაზარი საბჭოთა კავშირი მოკლე ხანში ყველაზე განათლებულ და კულტურულ სახელმწიფოდ აქცია მსოფლიოში. უმაგალითო წინსვლა განათლებისა და კულტურის სფეროში აუცილებლად აისახებოდა ეკონომიკაზე, საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ბრიყვები და მოღალატეები რომ არ მოსულიყვნენ, რომელიც პოლიტიკური მართვის სისტემის არსებითი და საბედისწერო ნაკლით იყო განპირობებული.**

# საყოველთაო სავალდებულო განათლებიდან საყოველთაო სავალდებულო გამოთაყვანებამდე

**საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონი ყველაზე ადრე სკანდინავიის ქვეყნებში, კერძოდ, შვედეთსა და დანიაში მიიღეს. ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, 50-იან წლებში. ამ კანონის რეალიზაციამ მალე გამოიღო დადებითი შედეგები: ამ ქვეყნებმა სწრაფად მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის განვითარებაში. არნახულად სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობისა და სოციალური მომსახურების ყველა დარგი. მოსახლეობის ცხოვრების დონე სანიმუშო შეიქნა მსოფლიოსათვის. კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სიმდიდრის განაწილების პოლარიზაცია სადღაც გაქრა ისე, რომ ერთი შეხედვით მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის კლასობრივი დიფერენციაცია თითქმის შეუმჩნეველი იყო. სოციოლოგებმა ეს მიღწევები საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების პირდაპირ შედეგად მიიჩნიეს.**



საბჭოთა კავშირში ოფიციალურმა ხელისუფლებამ არა, მაგრამ სოციოლოგებმა და პოლიტიკოსებმა შვედეთი ახალი ტიპის სოციალიზმის მოდელად მიიჩნიეს.

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის შემოღება სხვა ქვეყნებმაც სცადეს, მაგრამ უშედეგოდ — ზოგს კოლონიურმა პოლიტიკამ შეუშალა ხელი, ზოგს — მრავალეთნიკურმა შემადგენლობამ, ზოგს — მათი ქვეყნების ცალკეული რეგიონების კულტურული განვითარების შინაარსისა და რელიგიური მრწამსის რადიკალურმა განსხვავებამ და ა.შ. **რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მის საგანმანათლებლო სისტემას ტრადიციულად საფუძვლად უდევს „სიბრიყვის თავისუფლების“ იდეა, რომელიც ამერიკელებს „დემოკრატიის“ ურყევ პრინციპად მიაჩნიათ დღესაც. ამიტომ არის, რომ ამ ქვეყანაში 15 წლამდე მოზარდთა შორის 10 მლნ წერა-კითხვის უცოდინარია.**

საბჭოთა კავშირმა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელება გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში (საყოველთაო განათლების კანონი 30-იანი წლებიდან ხორციელდებოდა) დაიწყო.

**საყოველთაო სავალდებულო განათლების პრინციპის განხორციელებამ უზარმაზარი საბჭოთა კავშირი მოკლე ხანში ყველაზე განათლებულ და კულტურულ სახელმწიფოდ აქცია მსოფლიოში. უმაგალითო წინსვლა განათლებისა და კულტურის სფეროში აუცილებლად აისახებოდა ეკონომიკაზე, საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ბრიყვები და მოღალატეები რომ არ მოსულიყვნენ, რაც პოლიტიკური მართვის სისტემის არსებითი და საბედისწერო ნაკლით იყო განპირობებული.** ამ ნაკლზე საუბარი და მსჯელობა პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების საქმეა და, ბუნებრივია, ამ საკითხზე საუბარს აღარ განვაგრძობ (თუ ამის აუცილებლობის წინაშე არ დავდექი, რა თქმა უნდა)

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელება მარტივი არ იყო არც ჩვენთვის და არც სკანდინავიის ქვეყნებისათვის. შვედეთში, მაგალითად, 50-იან წლებში ბევრმა მიგრანტმა მოიყარა თავი. საზოგადოდ, ევროპის ქვეყნებში მიგრანტების მოძალება 50-იან წლებში კოლონიური სისტემის დემონტაჟისა და ტრანსფორმაციის პროცესებს უკავშირდებოდა. სწორედ მიგრანტების მასობრივმა შემოდინებამ შეუქმნა შვედეთსა და სკანდინავიის სხვა ქვეყნებს სიძნელეები საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებაში. საქმე ის იყო, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან შესული მიგრანტები მყისიერად ვერ გახდებოდნენ ევროპელები და ვერ მოახერხებდნენ შვედურ საზოგადოებასთან ინტეგრაციას. ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, ბუნებრივია, არც კანონთან დამოკიდებულება შეიცვლებოდა მათ ცნობიერებაში, ამიტომ **შვედეთის ხელისუფლება იძულებული შეიქნა, მობილური სკოლები გაეხსნა იქ, სადაც მიგრანტები კომპაქტურად სახლდებოდნენ და არც ისე იშვიათად იცვლიდნენ საცხოვრებელ ტერიტორიას. ამის მიუხედავად, სკანდინავიის ქვეყნებში ამ მხრივ მიღწეული წარმატებები ერთობ თვალსაჩინო იყო.**

მსგავსი პრობლემები არც საბჭოთა კავშირს აკლდა, მაგრამ მათი ორგანიზებული გადაწყვეტა ბევრად იოლი იყო უნიტარული სახელმწიფო წყობილებისა და ტოტალური საგანმანათლებლო-კულტურული პოლიტიკის პირობებში.

**მხოლოდ ისტორიასა და გეოგრაფიას არ შეხებია ნეოლიბერასტული რეფორმის საცეცები. ქართული ლიტერატურის სასწავლო შინაარსი ნახეთ, რამდენი კლასიკოსის ნაწარმოები გაქრა სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. რატომ? იმიტომ, რომ მათი შინაარსი მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას უწყობდა ხელს და, ამასთანავე, არ შეესაბამებოდა ნეოლიბერალურ (ლიბერასტულ) იდეოლოგიას, ამ ღვთისპირიდან გადავარდნილთა «აზრით», ვაჟა-ფშაველას «ბახტრიონი» ჰომოფობიური ნაწარმოებია, ხოლო რომელიღაც მენინგიტგადატანილი დეგენერატის ნაბოდვარი «დასავლურ ღირებულებებზეა» დაფუძნებული**

ახლა ბევრს ზღაპარი ჰგონია, როგორც უცხოეთში, ისე აქ, ჩვენშიც, რომ დასავლეთის ქვეყნებში განათლების სპეციალისტებსაც და სახელმწიფოს მმართველ პოლიტიკოსებსაც საბჭოთა სკოლა (მთელი საგანმანათლებლო სისტემა) სანიმუშოდ მიაჩნდათ და მისი ცალკეული ელემენტის თავიანთ ქვეყნებში გადანერგვას ცდილობდნენ.

1970-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა დასავლეთის ქვეყნებში. ჰელსინკის ცნობილმა დეკლარაციამ, რომელიც 1975 წელს მიიღეს და რომელსაც საბჭოთა კავშირმაც მოაწერა ხელი (თუმცა ფორმალურად), სათავე დაუდო ნეოლიბერალობის ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ იდეოლოგიას. **პიროვნების უფლების უმაღლეს ღირებულებად გამოცხადება სატანისტური სატყუარა იყო, რომელსაც ხალხის მასები ვერ გააცნობიერებდნენ და, ცხადია, ვერც გააცნობიერეს. ჩვეულებრივი ობივატელისათვის „პიროვნების უფლება“ „ადამიანის უფლების“ სინონიმად იქნა მიჩნეული და, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლება, მართლაც, არის უმაღლესი ღირებულება.** აქ ისეთივე საზოგადოებრივ-სოციალურ განწყობასთან გვაქვს საქმე, როგორც ჩვენში იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ველზე გამოჩენისას. **იმხანადაც ხალხის მასამ „ნაციონალური მოძრაობა“ „ეროვნულ მოძრაობას“ გაუთანაბრა და აქტიურად დაუჭირა მხარი. არადა, ამ შემთხვევაში „ნაციონალურს“ არანაირი კავშირი არ აქვს „ეროვნულთან“.** ამაზე აქ ლაპარაკს არ გავაგრძელებ, ეს ფილოსოფოსების (არა განურჩევლად ყველასი, ცხადია) განსჯის საგანია. ჩემი მიზანია, შეძლებისდაგვარად ვაჩვენო მკითხველს, რა გავლენა მოახდინა ნეოლიბერალიზმის (ლიბერასტების) გაბატონებამ საზოგადოებრივ შეგნებაზე, უწინარესად კი, მოზარდი თაობის (თაობების) ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებაზე.

**ჰელსინკის დეკლარაციის მიხედვით, პიროვნების უფლება სახელმწიფოს უფლებაზე მაღლა დგას. სახელმწიფო ვერ დაავალდებულებს თავის მოქალაქეს, იკისროს ისეთი საქმე, რომელიც კონკრეტულად ამ სახელმწიფოს ინტერესებში შედის და ამა თუ იმ პიროვნებას შეიძლება სულაც არ აინტერესებდეს, ამიტომ თქვა საჯაროდ ერთმა ლიბერასტმა „პოლიტიკოსმა“, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თამჯდომარე დავით უსუფაშვილმა: მე და ჩემი მეუღლე, თინა, იმას კი არ ჩავაგონებთ ჩვენს შვილებს, რომ, თუ საჭირო შეიქნა, სამშობლოს შესწირონ თავი, არამედ მათ თავისუფალ ადამიანებად ვზრდით და ისინი თვითონ გადაწყვეტენ, ვის და რას შესწირონ თავიო (იმ მომენტში მისი მეუღლე საქართველოს ე.წ. ამირსპასალარი იყო).** აი, ეს არის ნეოლიბერალების ლოგიკა. როგორ სამშობლოს დამცველებსა და ერთგულებს გაზრდიან ისინი, ამის გამოცნობას დიდი სიბრძნე არ სჭირდება.

**ადამიანს ღვთის მიერ აქვს ბოძებული თავისუფალი არჩევანის უფლება, მაგრამ ეს „თავისუფლება“ უსაზღვრო და უკიდეგანო როდია. იგი მკაცრად არის რეგლამენტირებული იმ ადამიანური, საკაცობრიო ღირებულებებით, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის სოციალურ არსებობას. ამ ღირებულებებზე ხელის აღება, მისი უარყოფა ცხოველურ მდგომარეობაში დაბრუნებას ნიშნავს.** ადამიანისათვის ცხოველურ მდგომარეობაში დაბრუნება ცხოველად გადაქცევა კი არ არის, არამედ რაღაც საშინელ არსებად, რომლის ქცევების პროგნოზირება შეუძლებელია. ჩვენ ვიცით, როგორ მოიქცევა ლომი თუ ირემი, მგელი თუ ცხვარი კონკრეტულ პირობებში. ლომი და მგელი ვერასოდეს მოიქცევიან ირემივით და ცხვარივით, ვერც ირემი და ცხვარი მოიქცევა ლომივით და მგელივით, როგორ პირობებშიც უნდა აღმოჩნდნენ ისინი. **ადამიანობადაკარგული არსება სხვადასხვა მდგომარეობაში მოიქცევა მგელივითაც და გველივითაც, ლომივითაც და ვირთხასავითაც, ცხვარივითაც და ქათამივითაც, მაიმუნივით ხომ მოიქცევა და მოიქცევა. ამის მეტი რა გვინახავს?!**

▶

# საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თამჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა: მე და ჩემი მეუღლე, თინა, იმას კი არ ჩავაგონებთ ჩვენს შვილებს, რომ, თუ საჭირო შეიქნა, სამშობლოს შესწირონ თავი, არამედ მათ თავისუფალ ადამიანებად ვზრდით და ისინი თვითონ გადაწყვეტენ, ვის და რას შესწირონ თავიო (იმ მომენტში მისი მეუღლე საქართველოს ე.წ. ამირსპასალარი იყო).

განათლების სისტემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლიბერასტ **უსუფაშვილს** დაავიწყდა (ან იცოდა კი?), რომ სახელმწიფო ადამიანთა კოლექტიური შეთანხმების შედეგად წარმოშობილი ფენომენია, რომელიც ყველასი და თითოეული მისი წევრის უსაფრთხოებას (როგორც ფიზიკურ, ისე ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ.) უზრუნველყოფს, ამიტომ ჩვენი უფლებების გარკვეული ნაწილი დელეგირებული გვაქვს სახელმწიფოში და ამის შესაბამისად კონკრეტული მოვალეობებიც თითოეულ ჩვენგანს ეკისრება. ამის გაგება ძნელია განა?! ან იმის გაგებაა უსაშველოდ რთული, რომ ნეოლიბერალური იდეოლოგია სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მიმართული?!

**ლიბერასტ უსუფაშვილს დაავიწყდა (ან იცოდა კი?), რომ სახელმწიფო ადამიანთა კოლექტიური შეთანხმების შედეგად წარმოშობილი ფენომენია, რომელიც ყველასი და თითოეული მისი წევრის უსაფრთხოებას (როგორც ფიზიკურ, ისე ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ.) უზრუნველყოფს, ამიტომ ჩვენი უფლებების გარკვეული ნაწილი დელეგირებული გვაქვს სახელმწიფოში და ამის შესაბამისად კონკრეტული მოვალეობებიც თითოეულ ჩვენგანს ეკისრება. ამის გაგება ძნელია განა?! ან იმის გაგებაა უსაშველოდ რთული, რომ ნეოლიბერალური იდეოლოგია სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მიმართული?!**

ლიბერასტულმა (ნეოლიბერასტულმა) იდეოლოგიამ და პრაქტიკამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა განათლების სისტემას, ანუ ქვეყნების მომავალს, რადგან სახელმწიფოს ხვალინდელი დღე იმაზეა დამოკიდებული, როგორი თაობა იზრდება დღეს.

ზიანი-მეთქი რომ ვთქვი, ნამეტნავად ლიბერალური შეფასება გამომივიდა. ზიანი კი არა, სასიკვდილო დარტყმა მიაყენა სკოლას — საშუალო ზოგადსაგანმანათლებლოსაც და უმაღლესსაც! აღზრდა, როგორც პიროვნების სოციალური განვითარების პროცესი, უარყო თავისი კანონებითა და კანონზომიერებებით, პრინციპებითა და მეთოდებით. იგი **„ჩაანაცვლა“ განვითარების ცნებით, რაც, მეცნიერული თვალსაზრისით, სრული იდიოტიზმია.** განვითარება ყველა ცოცხალი არსებისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აღზრდას მხოლოდ ადამიანის ნაშიერი ღებულობს და სოციალურ არსებად იქცევა. ადამიანში „სოციალური“ არის ის, რაც მას სოციალურ გარემოში აქვს ნასწავლი, აღზრდის საშუალებით, რა თქმა უნდა.

აღზრდის სისტემა რომ უარყვეს (და მოშალეს), ფსევდოლიბერალური შეხედულებების დამკვიდრებას რაღა შეუშლიდა ხელს? არც არაფერი! ადამიანის ეგოცენტრისტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას რომელი მოზარდი შეეწინააღმდეგება, ნეტავი? ეს იმას ჰგავს, შევარდნაძის პარლამენტში კენჭისყრაზე რომ დააყენეს საკითხი: პარლამენტის წევრებს მოვუმატოთ თუ არა ხელფასებიო. ვინმე წინააღმდეგი იქნებოდა? არაფერი გეტკინოთ!

ეს ფსევდოლიბერალური შეხედულებები რომელია, განათლების სისტემაში რომ ამკვიდრებდნენ (და ამკვიდრებენ!) ჩვენში? ეს შეხედულებები დაკონკრეტებულია ბავშვთა უფლებების დეკლარაციაში და იმ სავალდებულო(!) რეკომენდაციებში, რომლებსაც კონვეიერული წესით „აცხობენ“ ტარაკნებივით მომრავლებული მთავრობის უფლებებით აღჭურვილი არასამთავრობო ორგანიზაციები. **ეს „რეკომენდაციები“ მიმართულია სასწავლო პროცესის სისტემური ორგანიზაციის, სასწავლო დაწესებულებაში სავალდებულო წესრიგისა და დისციპლინის, პედაგოგებისა და მოსწავლეთა რეგლამენტირებული იერარქიული დამოკიდებულებისა და სხვა ტრადიციული საგანმანათლებლო უზრუნველყოფის ელემენტების წინააღმდეგ. ეს ყველაფერი თავს იყრის განათლების კანონში, რომელშიც მოსწავლის უფლებები ბევრჯერ აღემატება მის მოვალეობებს, ხოლო პედაგოგების მოვალეობები ასევე ბევრჯერ აღემატება მათ უფლებებს.**

აი, ასეთია ლიბერასტული საგანმანათლებლო პოლიტიკისა და იდეოლოგიის ნამდვილი სახე. რა გამოიწვია ნეოლიბერალურმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ჩვენშიც და სხვაგანაც, ამის დანახვა ძნელი არ არის.



ბავშვისა და მოზარდის იძულება, გააკეთოს მისივე სოციალური განვითარებისათვის აუცილებელი საქმე, მას ნებისყოფას ვერ განუმტკიცებს. ნებისყოფა ხომ პიროვნების ძირითადი სოციალური ნიშანია და მის გარეშე ადამიანი გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მიიღებს?! **ვის სჭირდება ასეთი უნებისყოფო ადამიანებისაგან შემდგარი „საზოგადოება“, არც ამის გამოცნობაა ძნელი.**

ამგვარი დამოკიდებულების დამკვიდრებამ კატასტროფულად დასცა განათლების დონე ყველგან, სადაც ლიბერასტები გაბატონდნენ. განათლების სავალდებულობა წარსულს ჩაბარდა, „სიბრიყვის თავისუფლების“ იდეა ტრიუმფით შემოვიდა ნეოლიბერალურ სივრცეში.

ერის დაცემა, გათახსირება და პირქვე დამხობა მაშინ იწყება, როდესაც ხალხი თავის ისტორიულ წარსულს ივიწყებსო, — საუკუნენახევრის წინ გვაფრთხილებდა დიდი **ილია.** სამწუხაროდ, ჩვენ გვარგუნა ბედისწერამ, შევსწრებოდით ამ სამარცხვინო მდგომარეობას. **სამი ათეული წლის წინათ ყალბი ისტორიის სწავლება რომ დააწყებინეს ყმაწვილებს სკოლაში, დღეს ის ყმაწვილები შუახნის ხალხია, რომელთა ხელშია პოლიტიკა და კულტურა, მეცნიერება და ეკონიმიკა, კანონი და სამართალი. საკუთარი წარსული, თავისი ვინაობა და სადაურობა რომ არ ეცოდინება კაცს, განათლებული ეთქმის, ვითომ? ეს კიდევ რაა! დღევანდელმა განათლების სისტემამ ისეთი თაობები გამოზარდა სკოლაში, რომლებსაც მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ აქვთ ახლო თუ ცოტა შორეული მეზობელი სახელმწიფოების ისტორიაზე.** რა პოლიტიკური ორიენტაციები უნდა განახორციელოს ქვეყანამ, რომლის მაღალჩინოსნების ისტორიული თვალსაწიერი რეალობასთან კავშირში კი არა, მხოლოდ ამჟამინდელი პოლიტიკური კონიუნქტურის საზღვრებს ვერ სცილდება.

მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ისტორიასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიის ცოდნას. გეოგრაფია იმიტომ ვახსენე, რომ ნებისმიერი სოციალური აქტივობა **გეოგრაფიის** ცოდნის გარეშე შეიძლება სრულ უაზრობად იქცეს, კატასტროფად თუ არა. პოლიტიკოსი ხარ თუ ბიზნესმენი, ვაჭარი თუ სამუშაოს მაძიებელი მუშა, შენთვის გეოგრაფიის ცოდნას უპირველესი მნიშვნელობა აქვს. აბა, როგორი საქმე იქნება, ქართველმა ვაშლის ვაჭარმა ციმბირში წასაღები ხილი ირანში რომ ჩაიტანოს, სადაც თავიანთი ხილიც თავზე საყრელად აქვთ?! გეოგრაფიის უცოდინარობის გამო, იქნებ, სულაც ისეთ ეკონომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდეს ვინმე მაღალჩინოსანი, როგორშიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი **ჯენიფერ ფსაკი** აღმოჩნდა, როდესაც ბელარუსის პრეზიდენტი **ალექსანდრე ლუკაშენკო** გააფრთხილა: „ბელარუსი უკრაინაში მიმდინარე პროცესებში თუ ჩაერევა, ამერიკის მე-6 ფლოტი თქვენი ქვეყნის საზღვრებს მოადგება“-ო (როგორც ჩანს, ფსაკი და მისი ფლოტი ახლაც ეძებენ სრუტეს, რათა ბელორუსის საზღვრებს მიადგნენ). ამნაირი **ფსაკებით უკვე სავსეა აშშ და კოლექტიური დასავლეთი, რადგან იქ ჩვენზე გაცილებით ადრე გაბატონდა ნეოლიბერალიზმი განათლების სისტემაში, თუმცა ჩვენ სწრაფი ტემპით მივდივართ წინ გამამხნევებელი ლოზუნგით: „დავეწიოთ და გავუსწროთ აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნებს განათლების სისტემის ნეოლიბერალიზაციაში!“**

რაღა დაწევა გვინდა, გავასწარით უკვე! მეც რაღა ფსაკის უვიცობა გავიხსენე, აგერ არ მყავდა ევროპულად განათლებული **სალომე სამადაშვილი?** მან ხომ საჯაროდ განაცხადა: „დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს შეიჭრნენ პარლამენტში“-ო. როგორია, ჰა?!

ამ დედაკაცსაც ქართული ნეოლიბერალური საგანმანათლებლო სისტემის სკოლა აქვს, ალბათ, დამთავრებული. არ ეტყობა თუ?!

მხოლოდ ისტორიასა და გეოგრაფიას არ შეხებია ნეოლიბერასტული რეფორმის საცეცები. ქართული ლიტერატურის სასწავლო შინაარსი ნახეთ, რამდენი კლასიკოსის ნაწარმოები გაქრა სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. რატომ? იმიტომ, რომ მათი შინაარსი მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას უწყობდა ხელს და, ამასთანავე, არ შეესაბამებოდა ნეოლიბერალურ (ლიბერასტულ) იდეოლოგიას. ამ ღვთისპირიდან გადავარდნილთა „აზრით“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ ჰომოფობიური ნაწარმოებია, ხოლო რომელიღაცა მენინგიტგადატანილი დეგენერატის ნაბოდვარი „დასავლურ ღირებულებებზეა“ დაფუძნებული.

**ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის სწავლების მდგომარეობა სერიოზულ განსჯასაც აღარ ექვემდებარება... მოზარდი თაობის ინტელექტუალური გენოციდი, ანუ, ხალხურად თუ ვიტყვით, გამოთაყვანება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ჩვენს „საგანმანათლებლო სტრატეგიას“ რომ ვაკვირდები, აშკარად ვხედავ, რომ საყოველთაო სავალდებულო განათლების პრინციპი საყოველთაო სავალდებულო გამოთაყვანების პრინციპით იცვლება.** ამ პრინციპის განხორციელებისთვის შესაბამისი გარემო უკვე შექმნილია: აღზრდის სისტემა უარყოფილია, მოსწავლეთა იძულება მათზე ძალადობად ითვლება, მოსწავლის უფლებები ბევრჯერ აღემატება მის მოვალეობებს, **პედაგოგის ავტორიტეტი მიწასთან არის გასწორებული, სასკოლო დისციპლინა „პაჭიკოს გარმონივით“ არის მოშლილი („სკოლა უდისციპლინოდ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდ“ — ი. ა. კამენსკი).**

ამრიგად, თაობების გამოსათაყვანებლად ყველა პირობაა შექმნილი!

ვის სჭირდება გამოთაყვანებული ხალხი (გამოთაყვანებულები საზოგადოებას აღარ წარმოადგენენ) და რა ბაბასილი უნდათ ამის მოწადინეთ? რა უნდათ და ის, რომ, საითაც სურთ, იქით გარეკონ ნახირად ქცეული ხალხი; ის აბღავლონ, რასაც ჩასძახებენ, მტერიც და მოყვარეც თვითონ დაუნიშნონ, იქ აომონ და იმასთან, სადაც და ვისთანაც მის გამომთაყვანებლებს სურთ. აი, ამისთვის ხორციელდება განათლების სისტემაში საყოველთაო სავალდებულო გამოთაყვანების პრინციპი.

განათლების სისტემაში მიმდინარე გამოთაყვანების პროცესი რაიმე ლოკალური მოვლენა არ არის. კაცობრიობამ, დიდი ხანია, აღიარა ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, როგორი თაობა იზრდება დღეს სკოლაში! ამ ჭეშმარიტების დავიწყება კატასტროფის გამომწვევია, ეროვნული თვითმკვლელობის ტოლფასია. ამის ნიშნები ხომ აშკარაა დღეს მათთვის, ვინც თვალხილულია და ყურთასმენაც ჯერ არ დახშობია.

**თბილისში, ვაკის პარკიდან დაწყებული თავისუფლების მოედნამდე ფეხით თუ გაიარა ვინმე უცხოელმა და მაღაზიებისა და სხვა დაწესებულებების სარეკლამო აბრებსა და საფირმო წარწერებს მიადევნა თვალი, ვერაფრით მიხვდება, რომ იგი საქართველოშია. არც ტელერეკლამებშია უკეთესი მდგომარეობა. ყოველდღე ჩაგვჩიჩინებენ მომხიბვლელი ტელესახეები: დღეს „ელსი ვაიკიკში“ იშოპინგეთ, ხვალ გირჩევნიათ „თბილისი მოლში“ იშოპინგოთო.**

ყველაფერ ამას თუ დასაკლავი ცხვარივით უპროტესტოდ ვემორჩილებით, მაშინ კარგი, შევიდეთ „შოპებში“ და „ვიშოპინგოთ“, მხოლოდ არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ იმ „შოპში“ კარგა ხნით ჩავრჩებით და, თუ „შოპიდან“ გამოსვლა გვეღირსა, გარეთ ისეთი ნეოლიბერალური სამოთხე დაგვხვდება, რომ ქალისა და კაცის გარჩევას ველარავინ მოახერხებს. თუმცა, გამოთაყვანებულებისათვის რა მნიშვნელობა აქვს ან იმას, ვინ ქალია და ვინ კაცი, ან იმას, რა ენაზე ლაპარაკობენ ისინი — ინგლისურად თუ არაბულად, თურქულად თუ შვედურად.

ისევ დიდი რუსთველით უნდა გავიმაგრო გული და მკითხველსაც ვურჩიო ეს: **„ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუებ, რა ზნე გჭირსა, / ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა, / სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი საით ძირსა, / მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა“.**

იმედი ვიქონიოთ, მაგრამ ცოტა ჩვენც გავინძრეთ, სახვალიოდ გავისარჯოთ, როგორც აქვე მოყვანილი სტრიქონების მთქმელი, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ავთანდილი ირჯებოდა. სწორედ ამიტომ არ გასწირა ღმერთმა, თორემ ჩვენსავით შინ რომ მჯდარიყო და მკერდზე მჯიღი ერტყა, არც ღმერთი შეეწეოდა და, ცხადია, მიზანსაც ვერ მიაღწევდა.

დრო ცოტა გვაქვს, ანუ ცაიტნოტში ვართ!

**ზურაბ ცუცქირიძე,**
**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პედაგოგიკის დოქტორი.**

**P.S. ჩვენმა მარიონეტმა ხელისუფლებამ, მისმა ყოვლად უნიათო და უთავმოყვარეო „პოლიტიკოსებმა“ საქართველოს მტრებისა და სამშობლოს მოღალატეთა ბანდას — „ნაცმოძრაობას“ მოფერებითა და პატივისცემით „ომის პარტია“ უწოდეს! რა „ომის პარტია“, რის „ზავის პარტია“! პარტია, იცით კი, რა არის? ქვეყნის მტერი და მოღალატე, მტერი და მოღალატეა და არა საპარლამენტო პარტია, რომელთანაც უნდა ითანამშრომლო. მტერთან თანამშრომლობა იგივე სამშობლოს ღალატია! მითქვამს მე თქვენთვის!**

**ზ. ც.**

მოგონებანი გარდასულ დღეთა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეზომ სწორედ ამ ოჯახის ერთადერთ ქალიშვილს — ლილი აბაზაძეს დაადგა თვალი. მართლაც ანგელოზივით გოგო იყო, დედამისივით მომხიბვლელი და სათნო. დედ-მამაც, ბებია-ბაბუაც ცივ ნიავს არ აკარებდნენ. სკოლაში „ემადინით" დაჰყავდათ. ეზოში რომ ჩამოვიდოდა, აუცილებლად ვინმე უნდა ხლებოდა. ჰოდა, აბა, სად შეეძლო რეზოს მისი დამარტოხელება?**

# ჩაშლილი მაშვლობა

**ჩვენი დიდებული, მუდამ მღელვარე, დაუცხრომელი პოეტი რეზო ამაშუკელი და მე ფალიაშვილზე ვცხოვრობდით. ჩემზე 6 წლით იყო უფროსი, მაგრამ ეს მეგობრობაში ხელს სულაც არ გვიშლიდა. მამამისს საქმიანი კაცის რეპუტაცია ჰქონდა — წარმატებული კომერსანტი იყო (იმხანად „დელეცს" რომ ეძახდნენ), რაც იმჟამად სულაც არ გახლდათ იოლი. მათი ოჯახი შეძლებული იყო.**
**ვიცოდით, რეზო ლექსებს რომ წერდა. ზოგჯერ ჩვენც გვიკითხავდა. იმხანად ბევრი რამ არც იმ ლექსებისა გვესმოდა და არც ის ვიცოდით, ჩვენს უფროს მეგობარს ეს გატაცება როდემდე გაჰყვებოდა. როგორ წარმოვიდგენდით, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული პოეტი გახდებოდა...**



ერთმა გარემოებამ მე და რეზო ამაშუკელი კიდევ უფრო დაგვაახლოვა (ამაში, გარკვეულწილად, ლექსებსაც მიუძღვოდა ბრალი) — ისეთი საიდუმლო საქმე გამანდო, ყველას რომ არ გაუმხელენ. შვიდი-რვა წლის ვიქნებოდი, უფროსი მეგობრის ნდობა რომ მოვიპოვე, გამიხარდა, ეს მაშინ ბევრს ნიშნავდა.

ჩვენს სადარბაზოში აბაზაძეების ოჯახი ცხოვრობდა. პოლკოვნიკი **ვლადიმერ აბაზაძე** ადმინისტრაციული ორგანოების საზედამხედველო სამმართველოს უფროსი გახლდათ. ეს ძალიან მაღალი თანამდებობა იყო, მანქანა ემსახურებოდა. განათლებული და სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა და მეზობლებიც დიდ პატივს სცემდნენ. მისი მეუღლე, ჩინებული ექიმი **ირა ლობჟანიძე** „ლეჩკომბინატში" მუშაობდა. ულამაზესი ქალი იყო, გემოვნებით იცვამდა. ჩვენს ოჯახებს შორის გამორჩეულად კეთილმეგობრული, თითქმის ნათესაური ურთიერთობა დამყარდა. რაიმე რომ წამომტკივდებოდა, დედა ირას დაურეკავდა და ისიც მაშინვე მობრძანდებოდა თავისი თვალისმომჭრელი კიმონოს ფრიალით. ჩემი საწოლის კიდეზე კოხტად ჩამოჯდებოდა. მის ყურებას არაფერი სჯობდა. როგორც კი დავინახავდი, სიცხეც უმალვე დამიწევდა და თავის ტკივილიც გამივლიდა. ერთი სიტყვით, ეს ულამაზესი ქალბატონი ჩემი უებარი მკურნალი იყო.

**რეზომ სწორედ ამ ოჯახის ერთადერთ ქალიშვილს — ლილი აბაზაძეს დაადგა თვალი. მართლაც ანგელოზივით გოგო იყო, დედამისივით მომხიბვლელი და სათნო. დედ-მამაც, ბებია-ბაბუაც ცივ ნიავს არ აკარებდნენ. სკოლაში „ემადინით" დაჰყავდათ. ეზოში რომ ჩამოვიდოდა, აუცილებლად ვინმე უნდა ხლებოდა. ჰოდა, აბა, სად შეეძლო რეზოს მისი დამარტოხელება?**

საგანგებოდ გამიხმო ერთხელ ეზოს კუთხეში, ჭადრების ჩრდილში გამომცდელად ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მკითხა:

— ლილის ხომ იცნობ, მაგასთან სახლში ხომ დადიხარ?

დავუდასტურე, — ვიცნობ და დავდივარ-მეთქი.

— მაშინ, აი, ეს გადაეცი. არც არავის აჩვენო და არც შენ წაიკითხო, პირადად გადაეცი! — გამომიწოდა გაკეცილი ქაღალდი.

**პატარა კი ვიყავი, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ რეზომ ძალიან დიდი საიდუმლო გამანდო და ახლა ჩემ მოხერხებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. წერილი გამოვართვი და დავალების შესასრულებლად გავწიე. ახლაც კარგად მახსოვს, აბაზაძეების კარებზე მიმაგრებული ხელით დასატრიალებელი პატარა ზარი უცნაურ წრიპინა ხმას გამოსცემდა. დავრეკე და კარის გაღებას დაველოდე. ბებია ჰყავდა ლილის, ოლა — ყორანივით შავი, გამხდარი, წელში მოხრილი, ზომაზე მეტად მკაცრი და უცხვირპირო ავლაბრელი ქალი. სულ გვიკვირდა, ასეთ ფერიებთან ამ „ბაბა იაგას" რა საერთო ჰქონდა...** კარი ოლა ბაბომ გამიღო და შინ შემიპატიჟა. ვკითხე, ლილი სად არის-მეთქი. მის ოთახში შემიყვანა და თვითონ გარეთ გავიდა. მივიხედ-მოვიხედე, დავრწმუნდი, ოთახში სხვა რომ არავინ იყო და ლილის რეზოს წერილი გადავეცი. თან გავაფრთხილე, შენ წაიკითხე, არავის აჩვენო-მეთქი.

გავიდა დრო. რეზომ კიდევ მომაკითხა და ისევ ლილისთან გამგზავნა. მაშინ თბილისის უბნებში ასეთი წესი იყო: უმცროსებს უფროსების დავალება უსიტყვოდ უნდა შეესრულებინათ. ეს სულაც არ ნიშნავდა ვინმეს დაჩაგვრას. მეც ამ წესის ერთგული ვიყავი — უფროსი მეგობრის დავალების შესასრულებლად ისევ ხალისიანად გავწიე.

კარი ისევ ოლა ბაბომ გამიღო. ისევ მომეფერა და ლილის ოთახისკენ გამიძღვა. ქალიშვილს წერილი გადავეცი და წამოვედი, მაგრამ როკაპი ოლა ბაბო რისი ბაბო იქნებოდა, ჩემი ფრიად ხანმოკლე ვიზიტებისათვის განსაკუთრებული ყურადღება რომ არ მიექცია? „ამ თითისტოლა ბალღს რა საერთო აქვს ჩემს შვილიშვილთან?" — გაიფიქრა „დომ ჩეკამ" და ლილის ოთახს ქორივით დააცხრა, იქაურობა გადაატრიალა....

საბედისწერო ლექსები, რა თქმა უნდა, იპოვა. ერთი ამბავი დააწია საცოდავ გოგოს, მაგრამ გარეგნული სიმშვიდე მაინც შეინარჩუნა და მოვლენების განვითარებას დაელოდა.

და აი, მესამედ მივდივარ საიდუმლო მისიაზე. ისევ არხეინად ვარ, რადგან აბაზაძეების ოჯახში მომხდარის შესახებ არაფერი ვიცი. კარი მესამედაც ოლა ბაბომ გააღო და, ჩემდა გასაოცრად, ძველებურად კი არ მომეხა- ▶

**კარი ისევ ოლა ბაბომ გამიღო. ისევ მომეფერა და ლილის ოთახისკენ გამიძღვა. ქალიშვილს წერილი გადავეცი და წამოვედი, მაგრამ როკაპი ოლა ბაბო რისი ბაბო იქნებოდა, ჩემი ფრიად ხანმოკლე ვიზიტებისათვის განსაკუთრებული ყურადღება რომ არ მიექცია? «ამ თითისტოლა ბალღს რა საერთო აქვს ჩემს შვილიშვილთან?» — გაიფიქრა «დომ ჩეკამ» და ლილის ოთახს ქორივით დააცხრა, იქაურობა გადაატრიალა. საბედისწერო ლექსები, რა თქმა უნდა, იპოვა. ერთი ამბავი დააწია საცოდავ გოგოს, მაგრამ გარეგნული სიმშვიდე მაინც შეინარჩუნა და მოვლენების განვითარებას დაელოდა**



**პატარა კი ვიყავი, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ რეზომ ძალიან დიდი საიდუმლო გამანდო და ახლა ჩემ მოხერხებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. წერილი გამოვართვი და დავალების შესასრულებლად გავწიე. ახლაც კარგად მახსოვს, აბაზაძეების კარზე მიმაგრებული ხელით დასატრიალებელი პატარა ზარი უცნაურ წრიპინა ხმას გამოსცემდა. დავრეკე და კარის გაღებას დაველოდე. ბებია ჰყავდა ლილის, ოლა — ყორანივით შავი, გამხდარი, წელში მოხრილი, ზომაზე მეტად მკაცრი და უცხვირპირო ავლაბრელი ქალი. სულ გვიკვირდა, ასეთ ფერიებთან ამ "ბაბა იაგას" რა საერთო ჰქონდა**

## მოგონებანი გარდასულ დღეთა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლისა, ქეჩოში მწვდა და შიგნით შემითრია.

გამომიჭირეს...

**— აბა, ვაჟბატონო, ახლავე ჯიბეები ამოიბრუნე და მაჩვენე, ახლა რაღა მიგაქვს ლილისთან! — დამჩხაოდა ოლა ბებო და გამეტებით მანჯღრევდა, გადმომიტრიალა ორივე ჯიბე და რეზოს გალექსილი წერილი ცხვირწინ ამიფრიალა:**

**— ამ ლექსების მოსატანად დაძვრებოდი აქ? წადი და თვალით აღარ დამენახო! იმ გიჟპოეტას კი გადაეცი, ლილი სამუდამოდ დაივიწყოს, ჩვენ სამაგისო გოგო ჯერ არ გაგვიზრდია!**

**მტაცა ყურის ბიბილოში ხელი და ლამის ამახია...**

ჩემი „გმირობის“ ამბავი ამით არ დამთავრებულა. **ოლა დედაჩემთან „ჩამოგოგმანდა“, ლამის მთელი „კორპუსი“ შეყარა, შენმა ომარმა ეს რა გაგვიბედაო. თითქოს აბაზაძეების ოჯახში, რეზოს ლექსები კი არა, დინამიტი შემეტანოს! დედა იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ქალი იყო და სიტუაციას მაშინვე ალღო აუღო. ოლა დაამშვიდა, მობრძანდება ეგ უიღბლო „ფოსტალიონი“ და კარგ დღეს დავაყრიო. სუფრასთან მიიწვია. თავისი გაკეთებული გემრიელი საზამთროს და სამოთხის ვაშლის მურაბები და მისი გამოცხობილი კექსი და ჩაი მიართვა, დააწყნარა.**

შინ რომ მივედი, დედა და მამა გულიანად იცინოდნენ, თან მალულად ჩემკენ აპარებდნენ მზერას. გამიხარდა, ორივემ ასე კარგად რომ გამიგო. მართლაც, აბა მე, რეზოს რომანტიკული ახირების უნებური „მსხვერპლი“, რა შუაში ვიყავი...

კიდევ ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. რეზო ამაშუკელი ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტში, თავმჯდომარის — **მამია მეგრელიშვილის** თანაშემწედ მუშაობდა. ერთხელაც კომიტეტს გერმანიიდან სტუმრები ეწვივნენ. კომიტეტის თავმჯდომარეს უნდოდა, რეზოს მიეღო მონაწილეობა სტუმრების მიღება-გასტუმრებაში.

**ბევრი ეძებეს რეზო, მაგრამ ვერსად მიაგნეს. გავიდა ერთი დღე, ორი, რეზო კი არ ჩანს. მამია მეგრელიშვილი იძულებული შეიქნა, გერმანელი სტუმრები თვითონ წაეყვანა არაგვის ხეობის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. აჩვენა მცხეთა, სვეტიცხოველი, ჯვარი, ანანური და ფასანაური. ფასანაურში, რა თქმა უნდა, ხინკალიც მიირთვეს. რესტორნის ეზოში, საგანგებო ვოლიერში დათვი ჰყავდათ გამომწყვდეული. გერმანელი სტუმრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახეს ვოლიერში დათვთან ხელგადახვეული, თეთრი გახეული პერანგითა და დათვის ტორებით დათხვრილი ახალგაზრდა კაცი, არყის ბოთლით ხელში... დათვი ბოთლიდან ლიმონათს მიირთმევდა, კაცი — არაყს! მამია მეგრელიშვილი გადაირია: «რეზო, გაგიჟდი, ბიჭო! მანდ რა გინდა, ორი დღეა მთელი კომიტეტი გეძებს...» როგორც გაირკვა, მთელი ის ორი დღე კომიტეტის თანამშრომლები თავქუდმოგლეჯილები რომ დაეძებდნენ, რეზო იმ დროს არაგვის ხეობაში დათვთან ქეიფობდა**





ბევრი ეძებეს რეზო, მაგრამ ვერსად მიაგნეს. გავიდა ერთი დღე, ორი, რეზო კი არ ჩანს. მამია მეგრელიშვილი იძულებული შეიქნა, გერმანელი სტუმრები თვითონ წაეყვანა არაგვის ხეობის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. აჩვენა მცხეთა, სვეტიცხოველი, ჯვარი, ანანური და ფასანაური. ფასანაურში, რა თქმა უნდა, ხინკალიც მიირთვეს. რესტორნის ეზოში, საგანგებო ვოლიერში დათვი ჰყავდათ გამომწყვდეული. გერმანელი სტუმრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახეს ვოლიერში დათვთან ხელგადახვეული, თეთრი გახეული პერანგითა და დათვის ტორებით დათხვრილი ახალგაზრდა კაცი, არყის ბოთლით ხელში... დათვი ბოთლიდან ლიმონათს მიირთმევდა, კაცი — არაყს! მამია მეგრელიშვილი გადაირია: „რეზო, გაგიჟდი ბიჭო! მანდ რა გინდა, ორი დღეა მთელი კომიტეტი გეძებს...“ როგორც გაირკვა, მთელი ის ორი დღე, კომიტეტის თანამშრომლები თავქუდმოგლეჯილები რომ დაეძებდნენ, რეზო იმ დროს არაგვის ხეობაში დათვთან ქეიფობდა.

**დიდი ხანი არ არის, რაც რეზო, ჩემი ბავშობის, სიყრმისა და მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთგული მეგობარი, მივაბარეთ მშობლიურ მიწას. მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი სათაყვანებელი სამშობლო, თავისი ხალხი, უწმინდესი და უნეტარესი. მტკივნეულად, გულის სიღრმემდე განიცდიდა საქართველოს დღევანდელ აწეწილ მდგომარეობას, ნერვიულობდა, ბობოქრობდა თხემით ტერფამდე ნაღდი მამულიშვილი, აღიარებული უბადლო სიტყვისა და შეუდარებელი რითმის ავტორი, მრავალი შედევრის შემოქმედი. რეზო საქართველოს გულმხურვალე ჭირისუფალი იყო.**

ძალიან მიყვარდა რეზოსთან ქეიფი, ის შესანიშნავი თამადა იყო. არაჩვეულებრივი იუმორი ჰქონდა. ლექსსაც თუ წაიკითხავდა, დამსწრე საზოგადოება ნეტარებდა. უფლის სასუფეველი ჰქონდეს მარადის. ის ჭეშმარიტად იმსახურებდა მთაწმინდას მაგრამ... ალბათ, მაგის დროც მოვა, მაგნაირებს მოვსწრებივართ.

რეზომ ჩემს მეუღლეს მიუძღვნა შესანიშნავი ლექსი.





**დიდი ხანი არ არის, რაც რეზო, ჩემი ბავშობის, სიყრმისა და მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთგული მეგობარი, მივაბარეთ მშობლიურ მიწას. მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი სათაყვანებელი სამშობლო, თავისი ხალხი, უწმინდესი და უნეტარესი. მტკივნეულად, გულის სიღრმემდე განიცდიდა საქართველოს დღევანდელ აწეწილ მდგომარეობას, ნერვიულობდა, ბობოქრობდა თხემით ტერფამდე ნაღდი მამულიშვილი, აღიარებული უბადლო სიტყვის და შეუდარებელი რითმის ავტორი, მრავალი შედევრის შემოქმედი. რეზო საქართველოს გულმხურვალე ჭირისუფალი იყო**

სულიერება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მიზანმიმართულად ხდება ზოგადად არსებული ნორმების რღვევა, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების დაკნინება, განათლების დონის დაცემა, სიღმისეული აზროვნებისთვის საფუძვლების მოშლა; „კრიზისული წესრიგის“ ფონზე კი ხელი ეწყობა ისეთი შემეცნების ჩამოყალიბებას, სადაც ეროვნული გრძნობები გამქრალია, სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა...— გაყალბებული, პიროვნების იდეალი – უპერსპექტივო და გაუფერულებული; წაშლილია ადამიანობის განმსაზღვრელი ტრადიციული იდენტობები: „მამაკაცი“ და „ქალი“, „ოჯახური ფასეულობები“(ილია მეორე).**



# ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

**აღდგომა საქართველოში, ისევე, როგორც მთელს ქრისტიანულ სამყაროში, უდიდესი დღესასწაულია. ამ დღეს აღვნიშნავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას, განახლებას. აღდგომა უმთავრესია თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის და იგი გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას აღინიშნება, იუდეველთა პასექის დასრულების შემდეგ, კვირა დღეს. ეს დღე ყოველ წელს, ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე შუალედში ხვდება.**

**წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 24 აპრილს მიულოცავენ ერთმანეთს.**

**„არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოსო“. აქედან გამომდინარე, უფალი გვასწავლის შენდობასა და მიტევებას, ამიტომ ჩვენც ყველას — სწორსაც და მრუდსაც, მართალსაც და ფარისეველსაც — ერთნაირად მივულოცავთ ამ დიდ დღესასწაულს და ვუსურვებთ**

**ამ ადამიანებს, სინანულით, აღსარებითა და ზიარების მადლით უწამლონ თავიანთ სულიერ იარებს.**

**მხოლოდ ასე შეიცვლება ჩვენ გარშემო ყველაფერი სასიკეთოდ — ჭეშმარიტი წესრიგი დამყარდება და უფლისაგანაც საოცარ შეწევნას მივიღებთ.**

### ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას.

ქრისტეს აღდგომის შემდეგ, ცათა სასუფეველი ამქვეყნად ხილულად განცხადდა. იგი სხვადასხვა ხარისხით ვლინდება მორწმუნეთა სულსა და მათ ცხოვრებაში; მეორედ მოსვლის შემდეგ კი სრულიად განმსჭვალავს ყოველივეს, — ხილულსაც და უხილავსაც.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია მეორის 2021 წლის სააღდგომო ეპისტოლედან:**

„მიუხედავად იმისა, რომ წარმავალ სოფელში ვცხოვრობთ, თუ დავიცავთ ზეციური მეუფის, მაცხოვრის, კანონებს, შევძლებთ ამქვეყნადვე გავხდეთ ცათა სასუფევლის მოქალაქენი, რათა, გარდაცვალების შემდეგ, დავიმკვიდროთ იგი და მარადიულად ღვთის დიდებაში დავრჩეთ, განურჩევლად იმისა, რომელ ქვეყანაში ვმკვიდრობთ და რა ეროვნებისანი ვართ.

**რა პირობები უნდა შევასრულოთ ამისთვის?**

ნებისმიერი სახელმწიფო საზოგადოების თითოეული წარმომადგენლისგან ითხოვს ერთგულებას, მოვალეობისადმი პასუხისმგებლობას, ომის დროს კი თავდადებასაც;

ბუნებრივია, ღვთის საუფლოს მკვიდრობის მსურველთ მეტი ერთგულება და თავგანწირვა გვმართებს, რადგან ჩვენ მუდმივი ბრძოლის ქარცეცხლში გვიწევს ყოფნა და ომი გვაქვს „არა სისხლთა და ხორცთა, არამედ... ცისქვეშეთის უკეთურ სულთა წინააღმდეგ“ (ეფ.6.12).

ამასთან, ღვთის სამეფოს მოქალაქეებისთვის მთავარი მიზანი ჭეშმარიტი სიყვარულით სავსე მარადისობაა და არა ამსოფლიური კეთილდღეობა. უფლისგან მოცემული მცნებებიც ამ მარადისობის გზამკვლევია და განსხვავდებიან მიწიერი კანონებისგან; თუმცა საღვთო მოშურნეობის მქონე ქრისტიანისთვისაც კი ჩვეულებრივი მიწიერი ყოფა და, აუცილებლობიდან გამომდინარე, მატერიალურზე ზრუნვა უცხო არ არის; იგი სულიერ და მიწიერ ფასეულობებს შორის უპირატესობას, რა თქმა უნდა, პირველს ანიჭებს და იცავს პრინციპს: „მიეცი კეისარს კეისრისა და ღვთისა ღმერთსა“ (მთ. 22, 15,22), რაც ნიშნავს იმას, რომ კეისარს (ანუ მიწიერ ხელისუფალთ) უნდა მივაგოთ საკადრისი პატივი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ღმერთს.

ამასთან, **ღრმადმორწმუნე ქრისტიანმაც შეიძლება დაუშვას გარკვეული შეცდომები, ვერ გაუმკლავდეს გამოწვევებს, გამოიჩინოს სულმოკლეობაც... მაგრამ არ უნდა შეშინდეს, რადგან „არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“, მაგრამ მან სინანულით, აღსარებითა და ზიარების მადლით უნდა უწამლოს თავის სულიერ იარებს და, ღვთის იმედით, კვლავ უშიშრად განაგრძოს ცხოვრების გზა.**

**იესო ქრისტეს მიერ მოცემული ძირითადი პირობა-აღთქმანი კი ასეთია:**

**„გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით“** *(მთ. 22.37-39; მრკ. 12.29-31)*

**„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“** *(მრკ.12,31)*

**და „ როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი“** *(ინ. 13,34).*

**„გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“** *(მთ.5,44).*

**„თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებებიც დაიცავით, ხოლო თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში იქნებით“** *(ინ.14,15).*



## ილია მეორე: თუ ჩვენ ღმერთს ისეთი სიყვარულით შევიყვარებთ, რომლის გადამწონი ამქვეყნად არავინ და არაფერი იქნება, ჩვენშიც და ჩვენ გარშემოც ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება, ჭეშმარიტი წესრიგი დამყარდება და უფლისაგანაც საოცარ შეწევნას მივიღებთ

**რა იგულისხმება საკუთარი თავის სიყვარულში?**

ქრისტიანული გაგებით, **საკუთარი თავის სიყვარული, პირველ რიგში, ნიშნავს ჩვენს მუდმივ ზრუნვას საკუთარ თავზე, რათა შევძლოთ, ცოდვით დაცემული შინაგანი სამყარო განვიწმინდოთ, ეგოიზმის, შურის, ღვარძლისა და ბოროტებისაგან გავათავისუფლოთ და სულში ღვთის ხატება და მსგავსება აღვიდგინოთ და ავაღორძინოთ**; ამისთვის კი, მთელი არსებით უნდა ვილვაწოთ, რადგან ამქვეყნად სწორედ ესაა ჩვენი დანიშნულება, ჩვენი სიცოცხლის აზრი.

საკუთარი თავის სიყვარული, ასევე, ნიშნავს იმას, რომ, უფლის მსგავსად, თავგანწირული, უშურველი სიყვარულით შევიყვაროთ მოყვასი, ვიყოთ თანამდგომნი და მისი წარმატებით ვხარობდეთ; განსაცდელის ჟამს კი — ძალისამებრ ჩვენისა დავეხმაროთ;

**მოყვასი ჩვენსავით ღვთის ხატად არის შექმნილი და, ამდენად, ნაწილია ჩვენიც და უფლისაც; მისდამი ჩვენი დამოკიდებულება კი ღვთისადმი ჩვენს დამოკიდებულებას წარმოაჩენს.**

აი, როგორ ბრძანებს მაცხოვარი: **„რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი, მწყუროდა და მასვით მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ, შიშველი ვიყავ და შემმოსეთ, სნეული ვიყავ და მომხედეთ, საპყრობილეში ვიყავ და მომინახულეთ, ჭეშმარიტად, გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ“** (მთ.25, 35-36,40).

ღმერთთან და მოყვასთან ერთობის სულით არის განმსჭვალული საუფლო ლოცვაც. ამიტომაც ვამბობთ: „მამაო ჩვენო“ და არა „მამაო ჩემო“, ან „მოგვიტევე ჩვენ“ და არა „მომიტევე მე“. და როცა მას წარმოვთქვამთ, ეს უნდა გავაცნობიეროთ და აუცილებლად გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ლოცვა ლოცვად შეირაცხოს. **არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამა თუ იმ ადამიანმა შეიძლება შეგვცოდოს და უსამართლოდ გული გვატკინოს, მაგრამ ვინც სათანადო სინანული ექნება და ამას გამოხატავს, უნდა შევუნდოთ.**

ვისაც მოყვასისადმი ასეთი დამოკიდებულებები არა აქვს,



**იმ დროს, როდესაც ტაძარში ჩაკეტილი სომხები უფლის ნიშს ელოდნენ, ანაზდად მოწმენდილ ცაზე დაიქუხა, ტაძრის მარმარილოს სვეტი გაიბზარა და მასზე გაჩენილი ნაპრალიდან ცეცხლი გადმოვიდა. სვეტიდან გამოტყორცნილი მადლმოსილი ცეცხლი აიტაცა მართლმადიდებელმა პატრიარქმა და ეს ცეცხლი გადასცა ყველა იქ მყოფს... ეს სვეტი კი დღესაც დგას, გაბზარული, მართლმადიდებლობის ძლევამოსილების ნიშნად**

მტრობს საკუთარ თავს, რადგან ჭეშმარიტი სიყვარულის ვერშემცნობია და ღვთის ნების წინააღმდეგი.

**როგორ უნდა მოვექცეთ მათ, ვინც ჩვენ გვმტრობს?**

ვინაიდან უფალს მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა ზედა და აწვიმებს მართალთაც და უსამართლოთაც (მთ. 5,45), **ჩვენ, თუ საკუთარი თავი გვიყვარს და ღვთისშვილობა გვსურს, მაცხოვრის მსგავსად, უნდა მოვექცეთ ჩვენს მოძულეს, ანუ გულწრფელი სიყვარული ვაჩვენოთ, სიკეთე მივაგოთ, მისთვის ვილოცოთ და ბოროტებაზე ბოროტებით არ ვუპასუხოთ.**

* * *

სულ სხვა წესებს ემორჩილებიან და სხვაგვარად აზროვნებენ ისინი, ვისაც სულიერი თვალი დახშული აქვს და არც ღვთისა სწამს და არც მისი აღდგომისა.

მათ შესახებ წმინდა **გრიგოლ ნოსელი** ასე წერს:

თუკი არ არსებობს აღდგომა და სიკვდილით სიცოცხლე მთავრდება, დაუბრკოლებელი თავისუფლება ეძლევა კაცის მკვლელს; დაე, მეძავმა კადნიერად ხლართოს ბადეები ქორწინების წინააღმდეგ და მომხვეჭელნი ფუფუნებას მიეცნენ სხვათა დაჩაგვრის ხარჯზე, ნურავინ შეაჩერებს მაგინებელსა და ბილწის მთქმელს; დაე, ფიცის დამრღვევი მუდამ იფიცებდეს ტყუილად; დაე, იცრუონ, რამდენსაც ინებებენ, რადგან არავითარი სარგებელი არ არის ჭეშმარიტებისაგან.

და ასკვნის:

ამგვარი მსჯელობა სულს ამღვრევს და წარღვნამდელზე უარესი უწესრიგობა მოაქვს; **თუ არ არის აღდგომა, არ არის უფლის სამსჯავროც; თუ უარყოფილია სამსჯავრო, უარყოფილია ღვთის შიშიც; ხოლო სადაც არ არის მოკრძალებული შიში ღვთისა, იქ ზეიმობს ეშმაკი.**

ასე იყო მუდამ, როცა ურწმუნოება მძლავრობდა ხალხში. ეს დღესაც ასეა, ოღონდ უფრო რთული ვითარება გვაქვს და თუ რატომ, მოკლედ შემდეგს ვიტყვით:

ნებისმიერი პიროვნება რომ არ არის სრულყოფილი, ამას, ჩვენს მსგავსად, ურწმუნონიც აცნობიერებენ, მაგრამ, ღმერთთან კავშირისა და სულიერი განწმენდის ნაცვლად, ისინი ამჟამად ისეთ ყოფას გვთავაზობენ, სადაც ერთი მხრივ, დომინანტური ფუნქცია ექნება რობოტებს, მეორე მხრივ კი, ადამიანის არასრულფასოვნებას, ხელოვნური ინტელექტი „შეავსებს“.

ამავე დროს, **ათეისტური თანამედროვე აზროვნება სხვა რეალობის შესაქმნელად ემზადება და ცდილობს ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტური პრინციპების გადახედვას, რათა თვითნებური მოდელირების გზით წაშალოს ზღვარი ნამდვილსა და წარმოსახვითს, ადამიანურს, მექანიკურს,**

„თუკი არ არსებობს აღდგომა და სიკვდილით სიცოცხლე მთავრდება, დაუბრკოლებელი თავისუფლება ეძლევა კაცის მკვლელს; დაე, მეძავმა კადნიერად ხლართოს ბადეები ქორწინების წინააღმდეგ და მომხვეჭელნი ფუფუნებას მიეცნენ სხვათა დაჩაგვრის ხარჯზე,... ნურავინ შეაჩერებს მაგინებელსა და ბილწის მთქმელს; დაე, ფიცის დამრღვევი მუდამ იფიცებდეს ტყუილად; დაე, იცრუონ, რამდენსაც ინებებენ, რადგან არავითარი სარგებელი არ არის ჭეშმარიტებისაგან“ (გრიგოლ ნოსელი).

სულიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ცხოველურსა და ქიმერულს შორის და კონტროლისა და ძალაუფლების ახალი, აქამდე უცნობი ფორმები დაამკვიდროს.

ფილოსოფოსები საზოგადოების განვითარების ამ პერიოდს პოსტ-ჰუმანისტურს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ **მიზანმიმართულად ხდება ზოგადად არსებული ნორმების რღვევა, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების დაკნინება, განათლების დონის დაცემა, სიღმისეული აზროვნებისთვის საფუძვლების მოშლა; „კრიზისული წესრიგის“ ფონზე კი ხელი ეწყობა ისეთი შემეცნების ჩამოყალიბებას, სადაც ეროვნული გრძნობები გამქრალია, სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა — გაყალბებული, პიროვნების იდეალი — უპერსპექტივო და გაუფერულებული; წაშლილია ადამიანობის განმსაზღვრელი ტრადიციული იდენტობები: „მამაკაცი“ და „ქალი“, „ოჯახური ფასეულობები“.**

ამგვარ სივრცეში საზოგადოების კლასიკური გაგება ნელნელა ქრება, ხალხში დაუცველობის განცდა მატულობს და ადამიანური ფაქტორი უკანა პლანზე იწევს;

ამას ემატება ზოგადად რელიგიისადმი და, კონკრეტულად საქართველოში, მართლმადიდებელი ეკლესიისადმი საზოგადოების გარკვეული ნაწილისა და ზოგიერთი მედიასაშუალების მხრიდან მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, სიძულვილის ენით მეტყველება, ორგანიზებული სახით პიროვნული და ინსტიტუციონალური დისკრედიტაციის მცდელობის მხარდაჭერა და მათი წახალისება, რომელნიც ამ პროცესში არიან ჩართულნი.

გვახსენდება ბოლო ჟამის შესახებ მოციქულის სიტყვები: **„უკანასკნელ ჟამს მოვლენ მკრეხელნი, თავიანთ უკეთურ გულისთქმათაებრ მავალნი; ესენი არიან განხეთქილების მოქმედნი, მშვინვიერნი, სულის არმქონენი... მდრტვინავნი, უკმაყოფილონი, თავიანთ გულისთქმათაებრ მავალნი, რომელთა ბაგენი მედიდურობენ და სარგებლის გამო პირფერობენ“.**

* * *

დაახლოებით ასეთად აღიქმება თანამედროვე მდგომარეობაც.

სამწუხაროდ, ამ სივრცეში კარგად არავინ არის და ყველას დიდი განსაცდელი აქვს: „ახალი სამყაროს“ წარმომადგენლებს თუნდაც იმიტომ, რომ ტექნიკური პროგრესი იმდენად წინ წავიდა და საზოგადოების სულიერი განვითარება მას იმდენად ჩამორჩა, რომ ინოვაციების დამნერგავი ადამიანი თვითონ დამცირდა თავისი ქმნილების წინაშე და მისგან მართული ხდება. მათ შორის უფსკრული მომავალში უფრო გაღრმავდება და სწორედ ესაა ერთ-ერთი არსებითი პრობლემა, თორემ ტექნიკურ მიღწევებს, რა თქმა უნდა, სიკეთეც მოაქვს, მაგრამ უღვთო და სულიერებისაგან დაცლილი პიროვნებების ხელში იგი სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს.

არც მორწმუნეთათვის არის ცხოვრება ადვილი; მათი გული ბოროტსა და კეთილს შორის სულიერი ბრძოლის ისეთ ასპარეზად იქცა, რომლის მსგავსი უწინ არასოდეს ყოფილა (აღარაფერს ვამბობთ საერთო ეკონომიკურ გაჭირვებაზე, რომლისგანაც ქვეყანა ათწლეულებია ვერ გამოდის).

გამოსავალი ორივე შემთხვევაში ერთია:

**მთელი არსებით უნდა მივიქცეთ ღვთისკენ — ყოვლადწმინდა სამებისკენ და ჩვენი ცნობიერება მის უზენაესობას დავუმორჩილოთ.**

ამასთან, რაკი ღვთისაგან ყველაფერი სიყვარულით და სიყვარულისთვის შეიქმნა, ასეთივე გრძნობით უნდა ვუპასუხოთ შემოქმედს და გარე სამყაროსაც.

**აღდგომილი მაცხოვარი, მოციქულ პეტრეს მსგავსად, ნებისმიერ ჩვენგანს მოგვმართავს: „გიყვარვარ მე?“**

ამ კითხვას საქართველოში თითქმის ყველა დადებით პასუხს გასცემს, მაგრამ არის რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც ადვილად მიგვახვედრებს, სინამდვილეში ვართ თუ არა მართლები.

ჩვენი რწმენის სიმტკიცე და უფლისადმი ერთგულება გამოცდას ჩვენს ცხოვრებაში არსებული განსაცდელებით გადის; ყველაზე მეტად ამ დროს ხდება ნათელი, მართლაც მთელი გულითა და მთელი არსებით გვიყვარს თუ არა უფალი, რაც შემოქმედისადმი ჩვენი ნდობის ხარისხით განისაზღვრება.

მაგალითად, თუ ჩვენ ვლოცულობთ და ვევედრებით უფალს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ ვაღწევთ, გვაქვს კი რწმენა იმისა, რომ ჩვენს თხოვნაზე უკეთესი იქნება ის, რასაც მაცხოვარი მოგვაგებს? და თუ გვაქვს, ე.ი. მინდობილნი ვართ მას და მადლიერებით მივიღებთ ყოველივეს. ამასთან, ამ განწყობამ არ უნდა დაგვტოვოს მაშინაც, როდესაც დიდი ტკივილისა და მწუხარების წინაშე აღმოვჩნდებით.

ამქვეყნად არაფერი არ უნდა იყოს ისეთი, რაზეც, ძლიერი მიჯაჭვულობის გამო, შეიძლება, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდეთ. წუთისოფელი წარმავალია და ყოველივეც — მას შინა. ამიტომაც, ცათა სასუფევლის მჭვრეტელი გონება კარგად აცნობიერებს მაცხოვრის სიტყვების სიღრმესა და მნიშვნელობას: „ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი.“ (მთ.10,37).

თუ ჩვენ ღმერთს ისეთი სიყვარულით შევიყვარებთ, რომლის გადამწონი ამქვეყნად არავინ და არაფერი იქნება, ჩვენშიც და ჩვენ გარშემოც ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება, ჭეშმარიტი წესრიგი დამყარდება და უფლისაგანაც საოცარ შეწევნას მივიღებთ.

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, ჩავიხედოთ ჩვენს გულში და პირუთვნელად შევაფასოთ საკუთარი თავი. თუ მყარი რწმენა არა გვაქვს უფლისადმი, ვთხოვოთ მას დახმარება, როგორც სთხოვა სნეული შვილის მამამ იესო ქრისტეს, რათა შესწეოდა მის ურწმუნოებას და განეკურნა მისი შვილი. უფალმა ისმინა მისი, ორივე სურვილი აღუსრულა და სიხარულითა დიდითა აღავსო იგი (მკ.9,24).

მსგავსი სიხარულის თანაზიარნი ჩვენც რომ გავხდეთ, ღვთის შეცნობისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადავდგათ: ვიკითხოთ წმინდა წერილი, წმინდანთა ცხოვრება და დარიგებანი. ასევე, მუდმივად უნდა ვთხოვდეთ მაცხოვარს, განგვაძლიეროს, და იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებით ვევედროთ: **„განმკურნე, უფალო, და განვიკურნები, გადამარჩინე, უფალო, და გადავრჩები, რადგან შენ ხარ ჩემი დიდება“** *(იერ.17,14).*

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა, და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, ყოველნო ერნო:

ქრისტე აღდგა!

მკვდრეთით აღმდგარი ღმერთი გვიხმობს სამეუფეო გზისკენ, მარადიული დიდებისა და ნეტარებისკენ, მარადიული სიყვარულისა და სიხარულისკენ.

**მის შესახვედრად „უწინარეს ყოვლისა იპყარით რწმენის ფარი, რითაც შესძლებთ უკეთურის ყველა ცეცხლოვანი ისრის დაშრეტას“** *(ეფ.6.11)* **და „შეიმოსეთ გულმოწყალება, შემწყნარებლობა, სიტკბოება, სიმდაბლე, სიმშვიდე, დიდსულოვნება; მიუტევეთ და თქვენი თავი მიჰმადლეთ ურთიერთს... შეიმოსეთ სიყვარული, რომელიც არის სიმტკიცე სრულქმნილებისა. ყველაფერს განაგებდეს თქვენს გულებში მშვიდობა ღმრთისა და მადლიერნი იყავით“...** *(კოლ. 3.12-16).* **შეირტყით წელზე ჭეშმარიტება და შეიმოსეთ სიმართლის აბჯრით (ეფ. 6,12), რათა „დავიმკვიდროთ შეუძვრელი სასუფეველი“** *(ებრ.12,28)* **გახსოვდეთ, „იესო ქრისტე გუშინ, დღეს და უკუნისამდე იგივეა“** *(ებრ. 13.8)* **და ჟამთა ცვლა მას არ ეხება.**

**გიხაროდეთ, ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!“**

## ლარნაკში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები არის სიკვდილის ძლევის სიმბოლო. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა კი მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: «მე ვარ პური ზეცით გარდამოსული»



# ღვთაებრივი ცეცხლი მხოლოდ მართლმადიდებლებს მიემადლებათ



**ხშირად გაიგონებთ ასეთ ნათქვამს: „რატომ გგონიათ, რომ მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოებაა ჭეშმარიტი? კათოლიკენიც ხომ ამბობენ, ჩვენი სარწმუნოებაა ჭეშმარიტიო?!“**

მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება თვით უფალმა მისცა თავის მოციქულებს და ეს სარწმუნოება წმიდად, უცვლელად და შეურყეველად არის დაცული მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში და ადამიანთა რწმენას ის ნიშნები და სასწაულები განამტკიცებდა, რომელთაც უფალი ყოველთვის აღასრულებდა ჩვენს ცხოვრებაში.

**მადლმოსილი საღმრთო ცეცხლის გარდამოსვლა უფლის საფლავზე,** რომელიც ყოველწლიურად აღესრულება აღდგომის დღესასწაულის წინა დღეს, დიდ შაბათს.

როცა კუვუკლიაში (უფლის საფლავზე აღმართულ სამლოცველოში) მართლმადიდებელი პატრიარქი შედის, ზეციდან მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის პატრიარქის ხელში, სასწაულებრივად ინთება სანთლები და იგიც უსაზღვრო სიხარულით აღსავსე ანთებული სანთლებით გამოდის მორწმუნეებთან. ცეცხლი მაშინვე ყველას გადეცემა, ამასთან სულაც არ არის საჭირო სანთლების ერთმანეთზე შეხება, ანდა ძალზე მიახლოება ერთმანეთთან.

დიდ შაბათს იერუსალიმის ტაძარში მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა საკვირველი მტკიცებაა მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებისა და დიდებულებისა. უნივთო ცეცხლმა, ნათელმა, მოციქულთა და წმიდა მამათა მოწმობით, ჯერ კიდევ აღდგომისას განაბრწყინა მაცხოვრის საფლავი. წმიდა გრიგოლ ნოსელთან ვკითხულობთ: „პეტრე ხედავდა არა მარტო ხორციელი თვალით, არამედ მოციქულებრივი გონებითაც, — მაცხოვრის საფლავი აევსო ნათელს და, თუმცა ღამე იყო, ორგვარი ხედვით ჭვრეტდა შინაგანს — გრძნობიერად და სულიერად“. წმიდა იოანე დამასკელი წერს: „პეტრე დადგა საფლავიდან და შეძრწუნდა მხედველი ნათლისა“.

პირველი ცნობა მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლის შესახებ IV საუკუნეში გვხვდება ევსები კესარიელის საეკლესიო მატიანეში. IV საუკუნეში ელენე დედოფალმა ააგებინა მაცხოვრის აღდგომის ტაძარი და იმავე წელს უფალმა მადლი — საღმრთო ცეცხლი გარდამოუვლინა მას. უკვე რამდენიმე საუკუნეა, საფლავს მართლმადიდებელი მღვდელმთავრები მეთვალყურეობენ და მადლმოსილი ცეცხლის მისაღებად უფლის საფლავთან დიდ შაბათს აუცილებლად მართლმადიდებელი პატრიარქი უნდა წარსდგეს.

მღვდელ-მონაზონი იპოლიტე თავის მოგონებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცეცხლი გარდამოვალს ზეციდან მხოლოდ მართლმადიდებელთა კანდელზე მაშინაც კი, როდესაც გვერდით სხვა სარწმუნოების ეკლესიათა კანდელები დგას: სომხური, კათოლიკური, კოპტური.

XIX საუკუნის შუა წლებში წმიდა მიწა მოილოცა ათონელმა ბერმა პართენიმ, რომელიც აღწერდა დიდ შაბათს წმიდა ტაძარში არსებულ ვითარებას: „საზეიმო მწუხრის შემდეგ არაბებმა დაიწყეს ყვირილი და ტაძარში სირბილი. ვკითხე, რას ყვირიან-მეთქი. ამიხსნეს, რომ ისინი აქებენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, კათოლიკეებს საყვედურობენ, რომ მადლი არა სწამთ, ხოლო სომხებს კიცხავენ, რომ სურდათ, თვითონ მიეღოთ მადლი, უწმინდურებით კი აღივსნენ“.

აქ იგულისხმება ის შემთხვევა, რომელიც ქრისტეს საფლავთან მომხდარა: სომხებს გასჩენიათ პრიორიტეტის პრეტენზიები მადლმოსილი ცეცხლის მისაღებად. მათ მოისყიდეს მუსულმანი არაბი, რომლის მფლობელობაშიც იყო მაცხოვრის საფლავის ტაძარი. შეასწრეს ტაძარში მართლმადიდებელთა პატრიარქს, კარები გადარაზეს და დაიწყეს ლოცვა საღმრთო ცეცხლის მისაღებად. სომხები დიდხანს ელოდნენ სასწაულს, მათი სულიერი წინამძღოლი, პატრიარქი ბეჯითად ლოცულობდა საფლავის წინ, მაგრამ გაუცრუვდა იმედები — ღვთაებრივი ცეცხლი არა და არ გადმოდიოდა. მართლმადიდებელი პატრიარქი მრევლითურთ გარეთ იდგა და ცრემლთღვრით ლოცულობდა.

და აი, იმ დროს, როდესაც ტაძარში ჩაკეტილი სომხები უფლის ნიშს ელოდნენ, ანაზდად მოწმენდილ ცაზე დაიქუხა, ტაძრის მარმარილოს სვეტი გაიბზარა და მასზე გაჩენილი ნაპრალიდან ცეცხლი გადმოვიდა. სვეტიდან გამოტყორცნილი მადლმოსილი ცეცხლი აიტაცა მართლმადიდებელმა პატრიარქმა და ეს ცეცხლი გადასცა ყველა იქ მყოფს. აქ მოხდა მეორე, არანაკლებ ღირსშესანიშნავი ამბავი: ერთმა თურქმა ოფიცერმა, სახელად ანვარმა, რომელიც თავის ჯარისკაცებთან ერთად სადარაჯოზე იდგა მახლობელი შენობის ზედა სართულზე, ცეცხლის გადმოსვლა რომ იხილა, გადმოეშვა მარმარილოს ფილებზე ტაძრის შესასვლელის წინ და შესძახა: „ძლიერ არს ღმერთი ქრისტიანეთა, მე ქრისტიანი ვარ!“ ქვის იატაკზე ანვარს არაფერი დაშავებია, ხოლო მისი ფეხის კვალი დღემდე შემოინახეს ქვის ფილებმა. თურქებმა თავი მოკვეთეს ანვარს, ტანი კი დაწვეს. მოწამის ფერფლი, რომელმაც სისხლით მიიღო წმიდა ნათლობა, დაცულია ერთ-ერთ მონასტერში.

მონოფიზიტ სომეხთა ლოცვის გაცუდება, ეკლესიის მამათა განმარტებით, უფლისაგან ჭეშმარიტი სარწმუნოების მინიშნებას წარმოადგენს. მას შემდეგ არამართლმადიდებლური კონფესიის ვერც ერთი წარმომადგენელი ველარ ბედავს მადლმოსილი ცეცხლის მისაღებად მისვლას. ეს სვეტი კი დღესაც დგას, გაბზარული, მართლმადიდებლობის ძლევამოსილების ნიშნად! *(წიგნიდან „მადლმოსილი საღმრთო ცეცხლი“, თბილისი, 2002).*

იმ დროს, როდესაც ტაძარში ჩაკეტილი სომხები უფლის ნიშს ელოდნენ, ანაზდად მოწმენდილ ცაზე დაიქუხა, ტაძრის მარმარილოს სვეტი გაიბზარა და მასზე გაჩენილი ნაპრალიდან ცეცხლი გადმოვიდა. სვეტიდან გამოტყორცნილი მადლმოსილი ცეცხლი აიტაცა მართლმადიდებელმა პატრიარქმა და ეს ცეცხლი გადასცა ყველა იქ მყოფს...

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ТУ-160-ის საბრძოლო ნათლობა მოხდა სირიაში. 2015 წლის 17-დან 20 ნოემბრამდე „თეთრმა გედებმა“ ფრთოსანი რაკეტები (X-555) დაუშინეს ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებს. ამის შემდეგ ის კიდევ ერთხელ გამოიყენეს სირიის კამპანიაში. რუსეთის სამხედრო-კოსმოსურ ძალებში ამჟამად 16 ასეთი ბომბდამშენია.**

# 5 საუკეთესო ბომბდამშენი მსოფლიოში

**შორ მანძილზე ფრენა, მაღალი სიჩქარე, დიდი საბრძოლო ტვირთი და იუველირული სიზუსტე — თუ ერთი ბომბდამშენი მაინც შეძლებს მიზანთან მიახლოებას, მოწინააღმდეგისთვის შედეგი ძალიან სამწუხარო იქნება. დღეს ხშირად იყენებენ ჰიბრიდებს — გამანადგურებელ-ბომბდამშენებს, მაგრამ „სუფთა სისხლის“ ბომბდამშენებიც ძველებურად მწყობრშია. გაეცანით რუსეთის, აშშ-ისა და ჩინეთის შეიარაღებული ძალების ყველაზე მრისხანე მანქანებს.**





## ყველაზე შეუმჩნეველი

მძიმე ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენი B-2 Spirit-ი კომპანია Northrop Grumman-ის მიერ შექმნილი თვითმფრინავია; აშშ-ის არმიის შეიარაღებაში 1997 წლიდანაა. ეს ყოველმხრივ საინტერესო და უცნაური მანქანები მსოფლიოში პირველი სერიული სტრატეგიული და უჩინარი საფრენი აპარატებია. თვითმფრინავის ნაკლებად შესამჩნევობას უზრუნველყოფს სქემა „მფრინავი ფრთის“ ორიგინალური კონსტრუქცია, რადიომშანთქმელი მასალებით დაფარული ფუზელაჟი, აგრეთვე, განსაკუთრებული ტიპის ძრავები. თითოეულ თვითმფრინავს შეუძლია, ჰაერში აიტანოს 27 ტონა საბრძოლო მასალა, მათ შორის ბირთვულქობინიანი ბომბები და რაკეტები. B-2 საწვავის დამატების გარეშე შეუძლია იფრინოს 11 ათას კილომეტრი.

B-2 Spirit -ის დანიშნულებაა ღრმადეშელონირებული ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის გარღვევა. ამ თვითმფრინავებს ჯერჯერობით ღირსეული მოწინააღმდეგე არ შეხვედრია. პირველად გამოიყენეს იუგოსლავიაში ნატოს ოპერაციის მიმდინარეობისას, შემდეგ — ერაყში, ავღანეთსა და ლიბიაში.

აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ამჟამად 19 ერთეული B-2 Spirit-ია, მიუხედავად იმისა, რომ პენტაგონს 100-ზე მეტი ასეთი თვითმფრინავის შესყიდვა სურდა. საქმე ის არის. რომ B-2 Spirit-ი დიდძალი თანხა ჯდება (2 მლრდ დოლარი) და მისი შეძენა პენტაგონისთვისაც კი ძვირი სიამოვნებაა. ეს მსოფლიო ავიაციის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული თვითმფრინავია.

## ყველაზე მძიმე

რუსული ბომბდამშენი-რაკეტმზიდი Ту-160 მსოფლიო აბსოლუტური რეკორდსმენია შეიარაღების მხრივ. „თეთრ გედს“ (ასე ეძახიან Ту-160-ს) შეუძლია აწიოს 45 ტონა ბომბი და რაკეტა (ამერიკულ B-2-ს — 27 ტ, B-52-ს — 22 ტ).

Ту-160-ის მაქსიმალური ასაფრენი მასა 275 ტონაა, ეს გაცილებით მეტია კონკურენტების მასაზე. ამას გარდა, რუსულ სტრატეგიულ ბომბდამშენს ყველაზე მძლავრი ძრავი აქვს ამ კლასის თვითმფრინავებს შორის. მისი სიჩქარე კი 2300 კმ/სთ-ია. ეს ბომბდამშენთა შორის საუკეთესო მაჩვენებელია.

Ту-160-ის საბრძოლო ნათლობა მოხდა სირიაში. 2015 წლის 17-დან 20 ნოემბრამდე „თეთრმა გედებმა“ ფრთოსანი რაკეტები (X-555) დაუშინეს ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებს. ამის შემდეგ ის კიდევ ერთხელ გამოიყენეს სირიის კამპანიაში. რუსეთის სამხედრო-კოსმოსურ ძალებში ამჟამად 16 ასეთი ბომბდამშენია. 2025 წლამდე იგეგმება ამ თვითმფრინავის მოდერნიზაცია. მათ აღჭურვავენ ახალი გამომთვლელი და სანავიგაციო სისტემებით, კონტროლისა და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით.





## ყველაზე გამოცდილი

სტრატეგიული ბომბდამშენი B-52 აშშ-ის არმიის შეიარაღებაშია 1955 წლიდან და 2040 წლამდე დარჩება აშშ-ის შორი მოქმედების ავიაციის ძირითად თვითმფრინავად. ამჟამად აშშ-ის არმიაში 70 ერთეული B-52H-ია. საბრძოლო მოქმედების რადიუსი 7 ათას კმ-ს შეადგენს, სიჩქარე 950 კმ/სთ-ია. შეუძლია წაიღოს 31,5 ტ სხვადასხვა საბრძოლო მასალა, მათ შორის მაღალი სიზუსტის ბომბები და რაკეტები. B-52 პირველად გამოიყენეს ვიეტნამის ომში. 1972 წელს ოპერაციის მიმდინარეობისას Linebacket II-თან ერთად B-52-ებმა 12 დღეში 729 საბრძოლო გაფრენა შეასრულეს და ჰანოიში, ჰაიფონსა და სხვა დასახლებულ პუნქტში 15 ათასი ტონა ბომბი ჩაყარეს. ვიეტნამელებმა საზენიტო რაკეტებით 15 B-52 ჩამოაგდეს. სულ კი აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა 30 ასეთი თვითმფრინავი დაკარგეს ვიეტნამში, ავღანეთში, ერაყში, იუგოსლავიასა და სირიაში საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას.

## ყველაზე უნივერსალური

ზებგერით ბომბდამშენ Ту 22M3-ს რუსეთის ავიაციის „უნივერსალურ ჯარისკაცად“ მიიჩნევენ. ამ თვითმფრინავების დანიშნულება სახმელეთო და საზღვაო საომარი მოქმედებების თეატრებში საბრძოლო ამოცანების შესრულებაა. შეუძლია, დღისითა და ღამით რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში გაანადგუროს მოძრავი და უძრავი, ერთეული და მრავალრიცხოვანი მიზანი რაკეტებითა და ბომბებით. სიჩქარე — 2200 კმ/სთ. ფრენის სიშორე — 6800 კმ; შეუძლია წაიღოს 12 ტ ბომბები და რაკეტები. რუსეთის სამხედრო-კოსმოსურ ძალებში ასეთი 61 საჰაერო მანქანაა. ამ თვითმფრინავის მოდიფიცირებულ ვარიანტს შეუძლია გამოიყენოს „ჰაერი-მიწის“ ახალი რაკეტა X-32.

Ту 22M3-მა საბრძოლო ნათლობა მიიღო 1988 წელს ავღანეთში — მოწინააღმდეგის პოზიციებს უშენდა 3-ტონიან ბომბებს. ჩეჩნეთში ბომბავდა „ბოევიკების“ დაჯგუფებებს. ეს თვიმფრინავები 2015 წლიდან მონაწილეობდა სირიის ტერიტორიაზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში.

## ყველაზე ბევრი

ჩინური რეაქტიული ბომბდამშენი Xian H-6 საბჭოთა Ту-16-ის ლიცენზირებული ასლია. ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაში სხვადასხვა ვარიანტის 170 ერთეული ასეთი თვითმფრინავია. ეს მაქსიმალური მაჩვენებელია ამ კლასის ბომბდამშენებში. მოდიფიკაციის მიხედვით შეუძლია წაიღოს 9 ტონამდე საბრძოლო მასალა, მათ შორის თერმობირთვული, ფრთოსნიანი რაკეტები: „ჰაერი-მიწა“ და „ჰაერი-ხომალდი“. ბოლო მოდიფიკაცია Xiani H-6k-ზე განახლებულია ძრავა, რადიოელექტრონული მოწყობილობები, ეკიპაჟის კაბინა. საბრძოლო მოქმედების რადიუსი 3 ათასი კმ-ია. შეუძლია წაიღოს 12ტ საბრძოლო მასალა. აღჭურვილია ახალი ფრთოსანი რაკეტა CJ-10A-ით, რომელის სიჩქარე 1000 კმ/სთ-ია. შეუძლია გაშვების წერტილიდან 2500 კმ-ით დაშორებული მიზანი გაანადგუროს. ამ ბომბდამშენებს შეუძლიათ დაარტყან კორეის ნახევარკუნძულზე განლაგებულ ნებისმიერ სამხედრო ობიექტს, ხოლო ქალაქ გუანჯოუს სამხედრო ოლქში განლაგებული თვითმფრინავებს შეუძლიათ დააზიანოს მიზნები ამერიკულ კუნძულ გუამაზე.



**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

**ყველა, ვინც ფელიქსთან ადრეულ წლებში მუშაობდა, აღნიშნავდა, რომ ის, ღმერთისგან ბოძებულ ათლეტიზმთან ერთად, გამოირჩეოდა დისციპლინით, შრომისმოყვარეობითა და შეუპოვრობით. სავინმა, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის პარალელურად, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, მოგვიანებით — ასპირანტურაც.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფელიქს სავონი — «მოკრივე-გამარჯვება»

## კარიერის დასრულების მომენტში ფელიქს სავონს 357 გამარჯვება და 17 დამარცხება ჰქონდა. ის კრივის ლეგენდების — კუბელი თეოფილო სტივენსონისა და უნგრელი ლასლო პაპის — გვერდით დგას

**სახელგანთქმული კუბელი მოკრივე, სამგზის ოლიმპიური და 5-გზის მსოფლიო ჩემპიონი ფელიქს სავონ ფაბრე 1967 წლის 22 სექტემბერს დაიბადა კუბის პროვინცია კუანტანამოში, დასახლებულ პუნქტ სან-ვისენტეში.**



ფელიქსი ღარიბ ოჯახში იზრდებოდა. მისი თქმით, ბავშვობაში სულაც არ მოსწონდა ადამიანებთან ჩხუბი და დებიც კი მასზე გაბედულები იყვნენ.

ბავშვობიდან იყო გატაცებული მამლების ჩხუბითა და ბეისბოლით — გუანტანამოს მცხოვრებთა საყვარელი გასართობით. მოგვიანებით სავონი სპორტის სხვა სახეობებმაც გაიტაცა — ცურვამ, ფეხბურთმა, ჭადრაკსაც კი თამაშობდა.

სპეციალიზებულ სკოლაში სწავლისას 13 წლის სავონის ანთროპომეტრიული მონაცემები კრივის მწვრთნელმა შეამჩნია — სიმაღლე და ხელების სიგრძე. ამასთანავე, მოზარდი კარგად მოძრაობდა, შესანიშნავად ითვისებდა მწვრთნელის რჩევებს და დარტყმაც გააძლიერა. ფელიქ სავონში სპეციალისტებმა ლეგენდარული კუბელი მოკრივის, **თეოფილო სტივენსონის,** მემკვიდრე დაინახეს.

1981 წელს სავონმა თავისი პირველი ტიტული მოიპოვა, როცა კუბის მოსწავლეთა პირველობაში გაიმარჯვა. **პედრო როკემ,** ქვეყანაში ყველაზე პოპულარულმა მწვრთნელმა, პასუხისმგებლობა დაიკისრა ახალგაზრდა მოკრივის მომზადებაზე, სანამ სავონს 19 წელი შეუსრულდებოდა. შემდეგ კი მისი გაწვრთნა განაგრძო **ალკიდ საგარამ,** იმხანად კუბის საუკეთესო მოკრივემ. **ყველა, ვინც ფელიქსთან ადრეულ წლებში მუშაობდა, აღნიშნავდა, რომ ის, ღმერთისგან ბოძებულ ათლეტიზმთან ერთად, გამოირჩეოდა დისციპლინით, შრომისმოყვარეობითა და შეუპოვრობით. სავონმა, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის პარალელურად, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, მოგვიანებით — ასპირანტურაც.**

1985 წელს მან თავისი პირველი ჩემპიონატი მოიგო კუბის მძიმე დივიზიონში და ამ ტიტულს ზედიზედ 11 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა.

სწორედ 1985 წლიდან დაიწყო სავონის ერა სამოყვარულო კრივის მძიმე წონაში (91 კგ წონით კატეგორიაში). გაიმარჯვა ცენტრალური ამერიკის ჩემპიონატებში. სამჯერ მოიგო პანამერიკული თამაშები და 5-ჯერ — მსოფლიო ჩემპიონატი. **ფელიქ სავონი სამ მოკრივეს შორის ერთ-ერთია, რომელმაც სამჯერ მოიგო ოლიმპიური თამაშები — ბარსელონაში (1992 წ), ატლანტასა (1996 წ. და სიდნეიში (2000 წ.).**

მოყვარულთა შეჯიბრებებში ფელიქს სავინი შეხვდა ბევრ იმ მოკრივეს, რომლებმაც 1990-იანი და 2000 წლების დასაწყისში პროფესიონალური სუპერდივიზიონის ელიტა შექმნეს. მაგალითად, ახალზელანდიელი **დევიდ ტუა** 20 წამში დაამარცხა ნოკაუტით. **შეონონ ბრიგსმა** ცოტა მეტხანს გაუძლო, მაგრამ ორი ნოკდაუნის შემდეგ დამარცხდა. კუბელმა მოკრივემ სხვადასხვა პერიოდში დაამარცხა **ანჯეი გოლოტა, კირკ ჯონსონი, ლამონტ ბრიუსტერი** და **რეი მეისერი.** კეთილი ნების თამაშებში კი პირველივე რაუნდში გაანადგურა **დევარილ უილიამსონი.**

„ყოველი ორთაბრძოლის წინ ძალიან ვღელავდი, იმიტომ, რომ დამარცხების მეშინოდა, მაგრამ პირველი დარტყმის შემდეგ თავდაჯერებულობა და საკუთარ ძალებში რწმენა მიბრუნდებოდა“, — აღიარა სავონმა.

პროფესიონალურ კრივში გადასვლის უამრავი წინადადების მიუხედავად, სავონი ყოველთვის უარყოფდა ამ იდეას და მოყვარულ მძიმეწონიანთა მეფედ რჩებოდა. ასე გაგრძელდა 20 წლის განმავლობაში. ცნობილი ამერიკელი პრომოუტერი **დონ კინგი** კუბელ მოკრივეს „ოქროს მთებს“ ჰპირდებოდა **მაიკ ტაისონთან** მატჩის სანაცვლოდ, მაგრამ სავონმა უარით უპასუხა.

**„მოკრივე-გამარჯვება“** — ასე ეძახდნენ მას სამშობლოში (ფელიქს სავონის კიდევ ერთი მეტსახელია — **გუანტანამერა**).





ფიდელ კასტრო და ფელიქს სავონი



სავონის საუკეთესო ფსიქოლოგი იყო კუბის ლიდერი **ფიდელ კასტრო.** „ყოველთვის, როცა მივდიოდით ოლიმპიადაზე ან სხვა რომელიმე დიდ ტურნირზე, ის გვაცილებდა და თავისი საუბრებით პატრიოტიზმს გვინერგავდა“, — ამბოს სავონი.

კარიერის დასრულების მომენტში ფელიქს სავონს 357 გამარჯვება და 17 დამარცხება ჰქონდა. ის კრივის ლეგენდების — კუბელი თეოფილო სტივენსონისა და უნგრელი ლასლო პაპის — გვერდით დგას. ამ მიღწევების გამო სავონი კუბის გმირად იქცა.

2001 წელს დააჯილდოვეს ოლიმპიური ორდენით. იმ წელს დაასრულა თავისი კარიერა — კრივის წესების მიხედვით მოყვარულ მოკრივეს 34 წლის შემდეგ აღარ შეუძლია რინგზე გამოსვლა. შემდეგ ფელიქს სავონმა მწვრთნელობა დაიწყო: „მე დაკავებული ვარ კუბის კრივის განვითარებით, ვცდილობ, ვიპოვო თეოფალო სტივენსონისა და ფელიქს სავონის ღირსეული მემკვიდრეები“, — ამბობდა სავონი მის ცხოვრებაზე გადაღებულ ფილმში „ფლიქს სავონი და მისი ისტორია“.





**ფელიქს სავონის პირადი ცხოვრება:**

მეუღლე — **მარია სავონი.** წყვილს ჰყავს 5 შვილი.

2018 წლის 18 სექტემბერს სავონი პედოფილიის ბრალდებით დააპატიმრეს.

* სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **სპორტული მიღწევები:**

— 1992, 1996, 2000 წლებში.

* 5-გზის მსოფლიო ჩემპიონი — 1986, 1989, 1991, 1993 წ.

* პანამერიკული თამაშების სამგზის ჩემპიონი — 1987, 1991, 1995 წ.

* მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი — 1987, 1990, 1994 წ.

* კეთილი ნების თამაშებში 2-გზის გამარჯვებული — 1990, 1994.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ღმერთო, გვიშველე! — ბრიტანელები შოკში ჩააგდო ბაიდენის მორიგმა კონფუზმა

**Dauly Mail-ის მკითხველებმა პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მორიგი კონფუზის შემდეგ აშშ-ს „მთელი მსოფლიოს სასაცილო“ უწოდეს. ბრიტანული გამოცემის მკითხველებში შოკი გამოიწვია აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის საქციელმა ჩრდილოეთ კაროლინის შტატში გამოსვლისას.**

ტელეარხ NBC News-ის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოზე ჩანს, ინფრასტრუქტურის რეფორმაზე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ როგორ შებრუნდა ბაიდენი მარჯვნივ და ხელი გაიშვირა ჩამოსართმევად, მიუხედავად იმისა, რომ მის ახლოს არავინ იყო. შემდეგ ამერიკის დაბნეულმა ლიდერმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ტრიბუნის გასწვრივ — სავარაუდოდ, სცენიდან გასასვლელის მოძებნის მიზნით.




Dauly Mail-ის ბევრმა მკითხველმა გააკრიტიკა ამერიკელები, რომლებმაც 2020 წელს მხარი დაუჭირეს ბაიდენს პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლაში, ზოგიერთმა კი ივარაუდა, რომ „ბაიდენმა წარმოსახვით ამომრჩეველს ჩამოართვა ხელი“.

* **„პრეზიდენტ ტრამპის შეცვლა ბაიდენით ჰგავს მილიონდოლარიანი „ფერარიდან“ გადაჯდომას 40 წლის წინანდელ პიკაპზე, რომელსაც ცილინდრები დაზიანებული აქვს. არჩევნების მოპარვას მძიმე შედეგები მოაქვს. სირცხვილი დაბალი IQ-ის მქონეთ, რომლებმაც ხმა მისცეს დემოკრატიულ პარტიას**“, — აღნიშნავს მომხმარებელი Democrat Apocalypse.

* **„მეცოდება ეს ადამიანი, მაგრამ ამერიკელებმა, რაც დაიმსახურეს, ის მიიღეს“,** — მიაჩნია Anton the berk-ს.

* **„დიდ ბრიტანეთში რომ ეცხოვრა, მანქანის მართვის უფლებას არ მისცემდნენ, ამერიკელებმა კი მას ბირთვულ ღილაკზე ხელის დაჭერის უფლება მისცეს. ღმერთო, გვიშველე!“** — დაწერა makesensenow-მ.

* **„ამერიკა ცოცხალი კარიკატურა და მთელი მსოფლიოს დასაცინია“**, — აღნიშნა Ohnoitsnot-მა.

ეს არ არის პირველი კურიოზული ვითარება, რომელშიც ამერიკის 79 წლის სახელმწიფო მეთაური ხვდება.

ადრე ბაიდენმა პრეზიდენტი უწოდა **კამალა ჰარისს**, ერთმანეთში აერია სირია და ლიბია, აგრეთვე, „სისხლისსამართლებრივი დევნა“ და „პროსტიტუცია“.

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S.** აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა მარჯორი ტეილორ გრინმა აღშფოთება ვერ დამალა ჯო ბაიდენის ზემოაღნიშნული საქციელის გამო. **„ეს გაუგონარი სირცხვილია. ის არ არის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი! ყელში ამოვიდა უკვე! იმპიჩმენტი ბაიდენს“, — დაწერა გრინმა სოციალურ ქსელში.**

**ნ.კ.**



# აშშ-ში «სატანის ტაძარმა» მხარი დაუჭირა უკრაინას

## პრეზიდენტ ჯო ბაიდენის და თეთრ სახლში რიტუალი ჩაატარა «ბოროტი სულის» განსადევნად

**ორგანიზაცია „სატანის ტაძარმა“, რომელსაც აშშ-ში რელიგიური სტატუსი აქვს, 15 აპრილს სოციალურ ქსელ ინსტაგრამში განათავსა უკრაინის დროშა ოკულტური სიმბოლიკითა და წარწერით „ჩვენ მშვიდობა გვინდა“.**

გამოქვეყნებულ ტექსტში ნათქვამია, რომ ორგანიზაცია ეხმარება თავის ადეპტებს უკრაინაში.

„უკრაინის შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეული მასშტაბური ჰუმანიტარული კრიზისის გამო „სატანის ტაძარმა“ სწრაფად მიიღო ზომები უკრაინელი სატანისტების დასახმარებლად, რათა ისინი უზრუნველყონ საცხოვრებლითა და ელემენტარული პირობებით უკრაინიდან გაქცევის შემდეგ“. „სატანის ტაძარი“ უკვე დაეხმარა თავის რამდენიმე მომხრეს საცხოვრებლის პოვნაში და შექმნა ვებგვერდი შემოწირულობების მისაღებად ლტოლვილთა დახმარების მიზნით“, — ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

იმავე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** დამ, **ვალერია ბაიდენ ოუენსმა,** აღიარა, რომ თეთრ სახლში ჩაატარა ეგზორცისტული რიტუალი და ამით თეთრი სახლიდან დონალდ ტრამპის „ბოროტი სულის განდევნას“ შეეცადა.

iz.ru —ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

# დასავლეთი ომის შეწყვეტით კი არა, მისი გახანგრძლივებითაა დაინტერესებული

**ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის, ვაცლავ კლაუსის, ნათქვამი, რომ უკრაინაში დაპირისპირება მიმდინარეობს არა მოსკოვსა და კიევს, არამედ რუსეთსა და დასავლეთს შორის, ევროპიდან წამოსულ მცირე სიგნალთაგან ერთ-ერთ რაციონალურ სიგნალად იქცა.**

ვაცლავ კლაუსმა შესანიშნავად იცის, როგორ მუშაობს პროპაგანდისა და მანიპულაციის მანქანები და ეჭვი შეაქვს „უკრაინელებისადმი სიყვარულში“, რომელმაც მოულოდნელად მოიცვა დასავლური მასმედია.

ჩეხეთის პრეზიდენტი სვამს დიაგნოზს — დასავლეთი დაინტერესებულია არა ომის შეწყვეტით, არამედ მისი, რაც შეიძლება, გახანგრძლივებით და მოქმედებს პრინციპით — **„რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ომი, მით მეტად დაზარალდება და დასუსტდება რუსეთი“.**



ამასთანავე, დასავლეთი არა მხოლოდ ეხმარება კიევის რეჟიმს, არამედ სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში.

news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

# რუსეთმა ქვეყნებს, რომლებიც უკრაინას იარაღით ამარაგებენ, ნოტა გაუგზავნა

**„რუსეთმა ყველა ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, ნოტა გაუგზავნა უკრაინისთვის იარაღის მიწოდების გამო“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ. კითხვაზე — რომელ ქვეყნებს გაუგზავნეს ნოტა, ზახაროვამ უპასუხა: „ყველას“.**

უფრო ადრე მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ **მოსკოვმა ვაშინგტონს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამი იყო „გაუთვალისწინებელ შედეგებზე“, თუკი ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ შეწყვეტს უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას.**



მანამდე პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ჯონ კირბიმ** თქვა, რომ ნატოს ახლო მომავალში განზრახული აქვს, განაცხადოს უკრაინაში ტანკების გაგზავნის შესახებ და რომ დასავლეთი უკრაინაში ყოველდღიურად 8-9 ავიარეისს განახორციელებს და კიევს იარაღით მოამარაგებს.

vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

# მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაცია გეოპოლიტიკურ ბლოკებად

## «ყველაზე სერიოზული პრობლემა» მსოფლიოეკონომიკური სისტემისთვის

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა კრისტიანა გეორგიევამ პანდემიისა და უკრაინაში შექმნილი ვითარების ფონზე მსოფლიო ეკონომიკის გეოპოლიტიკურ ბლოკებად ფრაგმენტაციის რისკზე განაცხადა.**

„პანდემიისა და ომის სახით ორმაგი კრიზისის ფონზე ვითარების დარეგულირების ჩვენი შესაძლებლობები უფრო რთულდება კიდევ ერთი მზარდი რისკით — მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაციით გეოპოლიტიკურ ბლოკებად, რომლებშიც მიმდინარეობს სხვადასხვა ვაჭრობა, დადგენილია სხვადასხვა ტექნოლოგიური სტანდარტი, მოქმედებს სხვადასხვა საგადასახადო სისტემა და სარეზერვო ვალუტა“, — განაცხადა **გეორგიევამ**, რომლის გამოსვლაც გადაიცემოდა ორგანიზაციის ვებგვერდზე. გეორგიევას თქმით, ეს არის „ყველაზე სერიოზული პრობლემა“ მსოფლიო ეკონომიკური სისტემისთვის.

„ეს უკვე ართულებს ჩვენს ერთობლივ მუშაობას ორი კრიზისის მიმართ, რომლებსაც ჩვენ შევეჯახეთ, და შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ ვერ შევძლებთ ვუპასუხოთ სხვა გამოწვევებს, როგორიც არის, მაგალითად, კლიმატის ცვლილება“, — დასძინა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა.



1prime.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894